

140
1980

ISSN 0132-5073



საქართველო

6
1980



სამზადისმა და ფუსფუსმა მთელ კვირას ვასტანა თბილისის 132-ე საშუალო სკოლაში. იქნებ ამ მოწადინებულ ფუსფუს-სამზადისშიც დაიბადა ის, ხალისიანი განწყობილება და ინტერესი, რითაც დაამახოვრა თავი უმცროსკლასელთა საკავშირო თამაშის — „ოქტომბრელები — ოქტომბრის ქვეყანაში“ წლებანდელმა, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილმა კვირეულმა სკოლის მოსწავლეებსა და მათ სტუმრებს.

მრავალფეროვანი იყო კვირეულის პროგრამა. ვეტერან კომკავშირელებთან, შრომის მოწინავეებთან შეხვედრები, კონცერტები, ოქტომბრელთა „დიღები“...

კვირეულში ყველა მონაწილეობ-

მაკულაბურის მოტანა ფელსაც ვე-
რაჰინ დაასწრო მერთხეკლასელ
ნინო კუპულაძეს.



ჩვენი გეგმები



და. ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ ოქტომბრელები, პიონერები, კომკავშირელები...

სკოლის ლენინის ოთახის გაფორმებაზე ადრევე იზრუნეს უმცროსკლასელებმა — ეკა ნახლიძემ, ნათია გოციოიძემ, ზაზა კერესელიძემ და სხვებმა. ოქტომბრელთა საზრუნავი მათმა შეფებმა — უფროსკლასელებმა გოდერძი ჯავარაშვილმა, რომან ქარქუთაშვილმა, გოჩა შუბითიძემ, გოჩა ყიყილაშვილმაც გაიყვეს. ამიტომ თუ მიუხაროდან ასე ლენინის ოთახის გახსნაზე მესამეკლასელებს, თანაც საბრძოლო დიდების სასკოლო გაღერვა რომ მოინახულეს, ამ სიხარულს სხვა გამართლებაც გამოუჩნდა: მესამეკლასელი გოგო-ბიჭები პირველად ეზიარნენ ვინ იცის, რამდენჯერ ნაოცნებარს.

ნამდვილი სავაჟაჟო სჰჰჰა ჯარ-
თის შავროჰვაა.

მერე გადაწყვიტეს, კვირეულის „შრომის დღე“ მაქსიმალურად გამოეყენებინათ. ასეც მოხდა. ოქტომბრელებმა ღია ბეკურაშვილმა და ხათუნა ჯალაბაძემ, მაკა მომცელიძემ და ნინო ხორნაულმა ყვავილებით დაამშვენეს სკოლის ეზო, პონერებმა გია ჩიბუხაშვილმა, ნინო მურელიანმა, ღია გვაზავამ და სხვებმა „ხსოვნის ხეები“ დარგეს; ღია ნასიბოვამ, ნანა ჩიტაშვილმა და გია სოლოლაშვილმა კი ჯართისა და მაკულატურის შეგროვებით გამოიჩინეს თავი. ვინ მოთვლის, რამდენი ბავშვი გაისარჯა მაშინ სკოლის სასიკეთოდ.

იმ დღესაც დიდი ღონისძიება ჰქონდათ 132-ე სკოლელებს. ელმავალმშენებელი ქარხნის ინჟინერი, შრომის ვეტერანი გიორგი მარიამული ჰყავდათ მოწვეული სტუმრად.

საუბარი დიდხანს გაუგრძელდათ. მოსათხორობიც ბევრი ჰქონდა და მოსაგონარიც სამამულო ომისა და კომ-



ხალხმრავლობა ახალგაზსნელ ლენინის ოთახში

ბი არ ასვენებდნენ სტუმარს: მისი მონათხრობიდან ყველა წვრილმანის შეტყობას ეშურვოდნენ, შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან, არ

ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრები ნორჩმა ვოკალისტებმა შეცვალეს; ვოკალისტებს არც დეკლამატორები და თეატრის მოყვარულები ჩამორჩნენ. მთელი დღის განმავლობაში არ შენელებულა ტაში და ყრია-მული სადღესასწაულოდ მორთულ სკოლაში.

ზეიმურობითა და მონაწილეთა სიმრავლით ყველა ღონისძიება მაინც ოქტომბრელთა „დიღებმა“ დაჯაბნა. და ის სიხარულიც და შთაბეჭდილებაც, „დიღების“ მონაწილე მოსამზადებელი და მესამე კლასების ოქტომბრელებმა რომ განიცადეს და მიიღეს, ალბათ, კარგა ხანს გაჰყვებათ კიდევ.

იქნებ, ლენინის ორდენოსან, ქვეყნის მოწინავე ადამიანებთან შეხვედრაც ამის გამო დაამახსოვრდათ. ხუმრობა როდია, როცა სასკოლო

ოქტომბრელები

კავშირული მუშაობის ვეტერანს, ხუთ ათეულზე მეტი წლის პარტიული სტაჟის მქონე კომუნისტს. მეტადრე სულ პატარები, ოქტომბრელები

გამოეკითხათ გადახდილი ომისა და შრომის ამბები.

ეს შეხვედრაც, ჩვეულებისამებრ, კონცერტით დასრულდა. სკოლის



პარკა
ხანი,
ლემისი
კითხვა
გატაცვად
იქცა
ამ
პატარა
გოგონასთვის.

ფოტო
3. გორისნაოსი

საქართველოს აკადემიის და
პ. ი. ლენინის სახელობის
პრონათა ოკრანისაიის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი

პრონათა

6 ივნისი 1980

საქ კა მ-ის გამომცემლობა

საქართველოს სსრ სსრ
საბავშვო ჟურნალი
პრონათა



განული წლების შაბათობაზე უზ-
როსკლასელთა მიერ დარგულმა ხეხი-
ლმა უკვე იშვავილა სკოლის ბაღში.

ლონისძიებებში აქტიური მონაწილე-
ობისა და გარჯისათვის ასე საჯაროდ,
მთელი სკოლის მოსწავლეების, უფ-
როსკლასელების, პედაგოგების და
საპატიო სტუმრების წინაშე გაჯილ-
დობენ.

132-ე სკოლელი ოქტომბრელები ვ.
ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვა-
წეობის ამსახველი ფოტოალბომებით
შეხვდნენ დიდი ბელადის დაბადე-
ბის დღეს, მოაწყვეს თავიანთი ნახა-
ტებისა და ნაძერწების ექსპოზიცია;
ინსცენირებების — „ცრუპენტელასა“
და „ლალი და მანანას“ ნახვას ხომ
არაფერი სჯობდა. ეს კი მათი პედა-

გოგების, სკოლის ორგანიზატორის
ნათელა ჩაჩუასა და პიონერხელმძღ-
ვანელის ნახული ქავთარაძის შრომის
ნაყოფი იყო და იმ პიონერთა დამსა-
ხურების შედეგიც, რომლებიც ოქ-
ტომბრელთა ვარსკვლავებს ხელმძღ-
ვანელობენ.

მათ გააცნეს უმცროსკლასელებს
მხატვრული და სხვა სახის ლიტერა-
ტურა ბელადის შესახებ. გააკეთეს
იუბილესადმი მიძღვნილი საკლასო
ფოტოსტენდები და ალბომები, მო-
აწყვეს ექსპოზიციები...

ოქტომბრელთა ვარსკვლავების
საუკეთესო ხელმძღვანელებს შორის
ბევრ პიონერს გვისახელებენ: მეშ-
ვიდეკლასელ ქეთინო კუკულაძეს,
მეხუთეკლასელ ნატო გელაშვილს,
მეექვსეკლასელ ნანა უჩანეიშვილს...

მრავალ საინტერესო ღონისძიე-
ბაში მიიღეს მონაწილეობა კვირეუ-
ლის მანძილზე 132-ე სკოლის მოს-
წავლეებმა. ბევრი საინტერესო რამ
შეიტყვეს... ყველაფერმა ამან ნათე-
ლი გახადა: მათ უკვე დიდ ძალად
აქციეს ურთიერთდახმარებისა და
მეგობრობის ტრადიცია, ტრადიცია,
რომლითაც კიდევ ბევრ კარგ საქმეს
დაუდებენ სათავეს.

ნიმუ ხარაზიშვილი



უკრავს
132-ე
სკოლის
ინსტრუ-
მენტული
ანსამბლი.

თანამედროვე ოლიმპიური თა-
მაშების 80-წლიანი ისტორიის
მანძილზე ოლიმპიადები ბარდ-
ვოდა ეპროკისა და აზრიკის, აზი-
ისა და აზსტალიის ქალაქებში.
ამჟამად ამ თამაშების ორგანი-
ზატორი პირველად არის სოცია-
ლისტური სახელმწიფოს დადას-
ტავი. ოლიმპიადის აღვილად მო-
სკოვის გამოსცხადება იყო მშვი-
დობისათვის ზამოლაში, სპარტა-
ში ოლიმპიურ მოძარბაში
საპროტა კავშირის — უდიდესი
წვლილის აღიარება. ოლიმპიური
მოძარბის იდეები — ჰუმანიზმის,
მეგობრობის და მშვიდობის იდე-
ები — განსაკუთრებით მაღლო-
ბელია საპროტა აღამიანებისათ-
ვის. მათთვის ოლიმპიური თამა-
შები მართო უდიდესი საერთაშო-
რისო შაჯიბრებაები როდია — შა-
სანიშნავი საშუალებაა შეხვდნენ
და გააცნონ სხვადასხვა ქვეყნების
წარმომადგენლებს, განამტკიცონ
კავშირი სხვადასხვა კოლიტი-
კური შეხედულებებისა და რელი-
გიური რწმენის აღამიანებთან.
მათ სჯერათ, რომ ოლიმპიად —
80 იძებაა კლანების ახალგაზ-
დობის ქროვის ზეიმი, მეგობრო-
ბის, მშვიდობისა და ურთიერთ-
გაგების დემონსტრაცია.
ეს ხომ დიდად მნიშვნელოვან-
ია!.. ოლიმპიური მოძარბის ჰუ-
მანიტური მიმართულება სავსე-
ბით ეპასუხება ჩვენი ქვეყნის სა-
ბარეო და საშინაო კოლიტიკის
პრინციპებს.



ოლიმპიადის 80-ე კომპის, კომპონების და პევილოების ზეიმი

ოლიმპიადის დასაწყისი

ბევრი საიდუმლო აქვს ბერძნულ კულტურას. აი, თუნდაც ისტორია ერთ დროს უძლეველი და აყვავებული ქალაქისა, რომელიც დრომ, უღმობელმა ომებმა და მიწისძვრებმა ნანგრევებად აქცია და წარსულის სქელი მტკრით დაფარა. ეს ქალაქია ოლიმპია, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ძველი და თანამედროვე სამყაროს ყველაზე დიდი და ლამაზი სპორტული ტრადიცია — ოლიმპიური თამაშები.

ოლიმპიზმის აღორძინების იდეამ, რომელიც მე-18 საუკუნის მიჯნაზე წარმოიშვა, ფრთები შეისხა მხოლოდ 1875 წელს, როცა სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა ერთობლივი მეცადინეობით სინათლეზე იქნა გამოტანილი მდინარე ალფეოსის ხეობაში წარმოებული გათხრების შედეგები. აღმოჩენა მართლაც მოულოდნელი იყო. ანტიკური ეპოქის 130-ზე მეტმა ქანდაკებამ, 13 ათასამდე ბრინჯაოს ნივთმა, 10 ათასამდე ფილამ თავისი ადგილი ნახა ბერძნული კულტურის ისტორიაში.

ყოფილი ქალაქის ცენტრი ალტისი საღმრთო ტყეა. ერთ დროს ქვის მაღალი კედლით ყოფილა შემორჩენილი. გალავანი დიდი ხანია დაინგრა, სამაგიეროდ აქა-იქ ძველი შენობების ჩონჩხია შემორჩენილი. ყოველ შენობას თავისი სახელი აქვს, თავისი ისტორია.

აი თუნდაც გიმნასია. მასიური კოლონები მიგვანიშნებენ, რომ უწინ აქ სპორტის სასახლის მსგავსი შენობა

მდგარა, სადაც ვარჯიშობდნენ და შეჯიბრებებში გამოსვლისთვის ემზადებოდნენ ათლეტები, გიმნასიის მთავარ სარბიელზე ე. წ. შერჩევითი ტურნირები იმართებოდა. გამარჯვებული სპორტსმენი ოლიმპიურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლებას იღებდა.

გიმნასიის კოლონებს ერთგან ვეებერთელა თალის ნანგრევები ებჯინება. ეს ადგილი დახურულ დარბაზს ეკავა. უამინდობის დროს აქ ტარდებოდა ყველა სახის შეჯიბრება, ასე ვასინჯეთ, მორბენალთა ტურნირებიც კი.

გიმნასიის ეზოში თავს იყრიდნენ შერჩევით შეჯიბრებებში გამარჯვებულნი და ისინიც, ვისაც მთავარ ტურნირში ასპარეზობის უფლება, ადრინდელი დამსახურებების გამო, უბრძოლველად ჰქონდათ მინიჭებული. ოლიმპიადის მონაწილეთა საზეიმო სვლაც სწორედ აქედან იწყებოდა.

გიმნასიის გვერდით კოლონათა ჯგუფი კვადრატულ ეზოს ქმნის. ეს პალესტრაა — მოჭიდავეებისა და მოკრივეების სასპარეზო. პალესტრას ბევრი მომცრო სათავსო ჰქონია. ზოგში მოასპარეზენი ტანსაცმელს ინახავდნენ, ზოგში — აბაზანებს იღებდნენ, ზოგიც შეჯიბრების წინ დასასვენებელი ადგილი ყოფილა.

ოლიმპიადის მონაწილეთა საზეიმო სვლა-პროცესია მზის პირველ სხივთან ერთად იწყებოდა და ყველაზე დიდი ნაგებობის — ლეონიდიონისკენ მიემართებოდა. ეს შენობა, რომელიც მდიდარ მეცენატს ლეონიდასს აუშენებია თავისი აახსრებით, გან-



კუთვნილი იყო ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობისათვის. აქვე ცხოვრობდნენ ოლიმპიადის საპატიო სტუმრები.

ქალაქის ცენტრალური მაგისტრალი; ორ თანაბარ ნაწილად ჰყვეთს ალტისს და ზევსის ცნობილი ტაძრისკენ მიემართება. ეს ადგილი ძველ ბერძნებს განსაკუთრებულად უყვარდათ, ვინაიდან ზევსი ოლიმპიადის მფარველ ღმერთად ჰყავდათ წარმოდგენილი. საღმრთო ტაძარს ამშვენებდა ანტიკური სამყაროს გამოჩენილი მოქანდაკის ფიდიასის მიერ ოქროსა და სპილოს ძვლისაგან გამოთლილი ზევსის ქანდაკება. არქეოლოგებმა საუკუნეთა ტყვეობისგან იხსნეს ტაძრის ნანგრევები, მაგრამ უგზო-უკვლოდ დაიკარგა ზევსის ქანდაკება — ერთ-ერთი მსოფლიოს შეიდ საოცრებათაგან.

სამაგიეროდ ისტორიის ქარტეხილს შემორჩა ძველი მონეტა, რომელზეც ეს ძეგლია გამოსახული. ფიდიასის ზევსი თურმე მშვიდად და მედიდურად იჯდა სამეფო ტახტზე. ცალ ხელში გამარჯვების ქალღმერთის ნიკეს გამოსახულება ეკავა, მეორეში კი უმაღლესი ძალაუფლების სიმბოლო — კვერთხი.

ოლიმპიაში სხვა ქანდაკებებიც ბლომად იყო. ზოგი მათგანი იდგმებოდა თამაშების წესების დამრღვევთა ჯარიმის ხარჯზე. ოლიმპიადებში სამგზის გამარჯვებულ ათლეტს შეეძლო საკუთარი ქანდაკებაც დაედგა ამ მიზნისათვის სპეციალურად გამო-

ყოფილ ტერიტორიაზე, ღმერთების ხეივანის გვერდით. ჩვენამდე შემორჩენილი ერთი ლეგენდის თანახმად ოლიმპიადებში ექვსგზის გამარჯვებულმა მილონ კროტონელმა ზურგით მოიტანა ოლიმპიაში თავისი ქანდაკება და იქ სხვა ტრიუმფატორთა გვერდით დადგა.

ძველი ბერძნები ძლიერი ათლეტები იყვნენ. ოლიმპიის მუზეუმში ინახება ერთი ქვა წარწერით: „ბიბონმა ამწია თავს ზემოთ ცალი ხელით“. ეს ქვა 143,5 კილოგრამს იწონის. აი კიდევ ერთი მაგალითი: მარმარილოს უძველეს ფილაზე ამოკვეთილი წარწერა გვამცნობს, რომ ვინმე ფილი 16 მეტრზე გადამხტარა სიგრძეში. ამ თითქოსდა ისტორიულად სარწმუნო წყაროებში თანამედროვე სპორტის თვალსაზრისით ბევრი რამ არის გაუგებარი. შესაძლოა ისიც, რომ დღეს ჩვენ კარგად არც კი ვიცით, თუ რას უწოდებდნენ ბერძნები სიგრძეზე ხტომას.

მიწისქვეშა გვირაბს ალტისიდან ძველი სტადიონისკენ მივყავართ. ეს ადგილი თითქოს საგულდაგულოდ შექმნა ბუნებამ. იდეალურად სწორი, მწვანე მინდორი სამი მხრიდან შემორკალულია ფერდობებით — იქმნება ბუნებრივი ტრიბუნები. ჩრდილოეთის მხრიდან სტადიონს კრონიონის მთის კალთა დაჰყურებს, რომლის ძირში აღმართულ კვარცხლბეკზე თამაშების დღეებში იჯდა ხოლმე ქალღმერთ დემეტრას ქურუმი — ერთადერთი ქალი ოლიმპიაში.

საპირისპირო მხარეს კი მცირე ხელოვნური ტრიბუნაა — ოლიმპიადების განმკარგულებელთა ადგილ-

სამყოფელი. მაყურებელთა და სპორტსმენთა ძირითადი მასა, რომელიც ხშირად 40 ათას კაცს აღემატებოდა, მოკალათებული იყო ფერდობებზე და აქედან ადევნებდა თვალყურს თამაშების მსვლელობას. ვინ არ ყოფილა აქ, როგორც მაყურებელი, ან როგორც შეჯიბრების მონაწილე — სოკრატე და პლატონი, ალექსანდრე მაკედონელი და ნერონი, პითაგორა და კიდევ ანტიკური სამყაროს ბევრი სხვა გამოჩენილი ადამიანი.

ოლიმპიური თამაშები, დღემდე მოღწეული საბუთების თანახმად, იწყება 776 წლიდან ჩვენს ერამდე. ანტიკური სამყაროს ბოლო ოლიმპიადას უკვე IV საუკუნით ათარიღებენ. 394 წელს იმპერატორმა თეოდოსიოს I-მა აკრძალა თამაშები, როგორც წარმართული დღესასწაული. 32 წლის შემდეგ თეოდოსიოს II-მ ბოლომდე მიიყვანა ეს განაჩენი — გადაბუგა ოლიმპია და სამაგალითოდ დაამხო მისი ღმერთები და გმირები.

საუკუნეების მანძილზე ეზიდებოდა ლოდებს ბერძენი გლეხი ალტისიდან — ოლიმპია ქვის კარიერად იყო გადაქცეული. მერე გათხრები დაიწყო და მიწის ტყვეობიდან განთავისუფლდა დროის, სტიქიისა და ტირანთა ფანატიზმის შედეგად განადგურებული ქალაქი. სწორედ მაშინ წარმოიშვა იდეა ძველბერძნული ოლიმპიადების აღორძინების შესახებ. სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი ბრძოლას ოლიმპიური თამაშების განახლებისათვის.

ნოდარ გუგუშვილი

ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში დაიბადა ოლიმპიადების ორი არაოფიციალური ტრადიცია: თამაშების გახსნას მომხიბვლელობა შეჰმატა ცაში აჭრილმა ათასობით თეთრათ მოქათქათე მტრედმა — მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და მეგობრობის სიმბოლომ. ხოლო თამაშების დახურვის დღეს ელექტროტაბლოზე აენთო სიტყვები: „მშვიდობით, ჰელსინკო! მეღბურნში შეხვედრამდე!“



**ქალ
ჩინაღოქი**

ჯვანე ილინი

ცეცხლი არის მრავალგვარი, მის თვისებას იცნობს ყველა: ზოგჯერ არის მოჩხუბარი, ზოგჯერ — წყნარი, ჩუმჩუმელა. ან გველივით ხეს ეხვევა, შენთება ტყეს და საფარს, ან რიჟრაჟზე დაირხვევა, მოგაგონებს წითელ ფაფარს. აი, ასანთს უზის თავში, იმალება შიგ და ნატრობს — ბარემ გაჰკრან, ჯებირს დაშლის, გააკეთებს ვეფხვის ნახტომს.

ცეცხლი არის მრავალგვარი — სისხლისფერი, ლურჯი, ყლავი, ან ყვითელი ოქროსავით, ძლიერ კარგი, ანდა ავი. ავი ცეცხლი — ხანძრისაა, ავი ცეცხლი — ომისაა. ყოველივეს წვავს და დაგავს ეს ორივე ცეცხლი ავი, უღმობელი აღმურისგან დღე ბნელია, ღამე — შავი.

დედამინის ყველა ხალხმა, ქვეყნის ყველა მოქალაქემ — ზღვის გაღმა თუ ზღვის გამოღმა — ავი ცეცხლი უნდა ვაქროთ!

ხაკლითი ღვეპა

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ დამტკიცებული რიტუალის მიხედვით, მორიგ ოლიმპიურ თამაშებს ხსნის იმ სახელმწიფოს მეთაური, რომლის ქალაქებშიც ტარდება შეჯიბრებები, ხოლო ოლიმპიურ თამაშებს ხურავს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.

კარგი ცეცხლი სხვა ცეცხლია,
უმისოდ ვერ გვიცოცხლია.
ეს ერთგული მეგობარი
ძლევს სიბნელეს,
ძლევს სიცივეს,
მისი ალი სანუკვარი
ხან ბრიალებს, ხან ციმციმებს.
კარგი ცეცხლი ყველას უნდა,
ამიტომაც ვაქებთ მუდამ.

გვახალისებს,
კიდევ გვათბობს,
ფოლადს ანართობს
და პურს აცხობს.

ძველ, ანტიკურ სამყაროში,
ოცდახუთჯერ ასი წლის წინ,
დიდ ქალაქთა ცხარე ომში
ძმებს უღვრიათ ძმათა სისხლი.
ბოლოს ბრძენთა დაადგინეს:
„საზარია ომი მუდამ;
განა ღონის გამოვლენას
ხმლის ქნევა და
სისხლი უნდა?“



ოლიმპოში მამაცებმა
გაუნოდონ ერთურთს ხელი,
სტადიონი იყოს მათი
ვაჟკაცობის გამომცდელი!..“

და აინთო ჩირალდანი!
და მინდორზე ჭვრეტად ღირდა —
შუბი, მძლავრად გატყორცნილი,
რა მანძილზე გადაფრინდა.
შეხეთ იმ ორ მოჭიდავეს:
მოგვერდს ბრჯენი შეაშველეს.
რა ცეცხლია! მაგათ მხოლოდ
გამარჯვება გააშველებს!..

როცა ეტლთა დაცხრა რბოლაც,
მორჩა ზეიმის დიდი დღე.
ხალხმა ერთხმად იგრილა:
„ოლიმპიელნო, იდიდეთ!“

და ცეცხლმა ოლიმპიურმა
პლანეტას „ხელი დარია“.

სპორტულ დავაში მეტოქე
მეტოქის მეგობარია.
ოლიმპიადის კანონი
საქვეყნოდ იუნყებოდა:

ომი თუ იყო იმჟამად,
დროებით მაინც წყდებოდა.
ოლიმპიადის წესდება
უნდა დაეცვა მეფესაც:
არაჯის ჰქონდა უფლება,
იმ დროს სიკვდილი ეთესა!
ჰოდა, ძველი ელადიდან



წამოვიდა მაგალითი,
აიტაცა იგი ყველამ,
მოიწონა მაღალი ხმით.
ხომ კარგია, როცა შორით
სპორტსმენები ჩამოდიან
(უცხო ენით, უცხო რწმენით)
და თავს სტუმრად არა თვლიან?..
მაგრამ როცა სარბიელზე
სხვას სჯობნი და ხარ პირველი,
შენი ძალის, შენი ხალხის
რწმენა გიპყრობს საკვირველი.
გულიც უფრო მაგრად გიცემს,
შენი დროშა რომ ფრიალებს,
როცა ჰიმნი მშობლიური
გამარჯვებას იგრილებს!
ვიწრო, სარბენ ბილიკებზე,
გატყორცნილი შუბის წვერზე,
კოპლებიან ლამაზ ბურთზე
და გაფრენილ მეკარეზე,
მოზრდილებზე, პატარებზე,
მერნებსა და მათ მხედრებზე,
ტანად კალათბურთელებზე,
მაღალ ხალხზე, სასახლეზე,
ლამეზე და დღეზე მაღლა,
მთელი ქვეყნის მთა და ბარში
ოლიმპიურ ცეცხლის ტალღა
მოკაშკაშე ალის ფრთას შლის!
კეთილია მისი ალი,
მისი ყველა ნაპერწკალი
მეგობრობას ჭედავს.
მოდის ჯილდოდ ოქრო, ვერცხლი,
ოლიმპიურ თასში ცეცხლი
მზეს ჰგავს — თავის დედას.
კარგია, რომ ჩვენს მიწაზე
მზის ანთია ჩირალდანი,
დე, ის იყოს პლანეტისთვის
ბედნიერი შუქნიშანი!



მოდი, მოდი, ნათელო დღევ,
შენც იხარე, ჩვენც გვახარე,
სიმღერებს და ლხინს ელოდე —
ბევრს გიმზადებს ჩვენი მხარე.
რა ლექსი და რა სიმღერა
წამოვიდა შესახვედრად!
თვით მოსკოვი მზედ იღვრება —
ნეტა ერთი შეგახედათ!
დრომ იფრინოს, როგორც ჩიტმა...
იქნებ თქვენგან ერთმა-ორმა
მამულს უთხრას გმირის სიტყვა,
ოლიმპიის ეცვას ფორმა.
მერე მათზეც იტყვის ზოგი
ჩვეულებრივ, სადა ტონით:
— ჩვენს ეზოში ცხოვრობს გოგი —
ოლიმპიის ჩემპიონი!..
აქ ოცნება არა კმარა,
ნიჭი უნდა პირველ რიგში,
მერე შრომა, წრთობა მარად:
სპორტი წვრთნაა და ვარჯიში!

მზემ დილა გაგვიდიადა,
ალი ამოჰყვა განთიადს.
წინაა ოლიმპიადა —
მზის ჩირალდანი ანთია!
დღეს ყველა გზა მოსკოვს მიდის
და გვაქვს მტკიცე საფუძველი,
რომ ყველანი — მცირეც, დიდიც —
ვიყოთ კარგი მასპინძელი.
იმედს ნურვინ გაგვიწილებს,
ნუ დავზოგავთ ძალას, ღონეს.
ვაშა ყველა მონაწილეს
და დიდება ჩემპიონებს!

თარგმან ნისტორ მაღაჯონიამ





დიდი აკაკი

დაბადების
140
წლისთავი



ას ორმოცი წლის წინათ, 1840 წლის 9 ივნისს (ახალი სტილით — 21 ივნისს), განთიადისას, ზემოიმერეთის პატარა სოფელ სხვიტორში, როსტომ წერეთლის სასახლეში, გავარდა თოფი და ქვეყანას ამცნო, რომ თავადის მეუღლეს ეკატერინეს მესამე ვაჟი იყოლა. ბავშვს, რომელსაც სახელად აკაკი დაარქვეს, შემდგომში ბედმა არგუნა ქართველი ხალხის უდიდესი და უსაყვარლესი პოეტი გამხდარიყო. მას საქართველოს უგვირგვინო მეფეს უწოდებდნენ და მართლაც ბევრ გვირგვინოსანს არ გაუკეთებია იმდენი თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის, რამდენიც შეძლო აკაკიმ თავისი ფხაალესილი კალმით.

აკაკი წერეთელი ხალხის გულის მესაიდუმლე, მისი საუკეთესო სურვილებისა და მისწრაფებათა გამოხატველი პოეტია, რომელიც დიდ ილიასთან ერთად სათავეში ჩაუდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას XIX საუკუნის 60-იან წლებში და მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში წინ მიუძღოდა ხალხს ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის დროში.

ის ხანა, როცა ილია და აკაკი გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე, მეტად ძძიმე იყო ჩვენი ქვეყნისათვის. მეფის რუსეთის კოლონიური რეჟიმისა და დიდმპყრობელური, შოვინისტური პოლიტიკის პირობებში არსებობდა დიდი საშიშროება იმისა, რომ არ გამჭრალიყო ეროვნული ერთიანობის შეგნება, ქართველი ხალხი არ დაშლილიყო წვრილ-წვრილ ეთნიკურ ერთეულებად და არ დაეკარგა საკუთარი ენა, მაღალი კულტურა და ისტორიული ტრადიციები. სწორედ ამ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის და ამასთანავე სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის მედროშედ მოეკვინა ქართველ ხალხს რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებზე აღზრდილი თაობა „თერგდალეულებისა“, რომელსაც ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი მეთაურობდნენ.

თუ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა სახუკვარი ოცნება და საბრძოლო მიზანი სოციალური უსამართლობის აღმოფხვრა და პიროვნებისთვის თავისუფლების მინიჭება იყო, ქართველ სამოციანელთა ნააზრევში ამას

ორგანულად ერწყმოდა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა, რადგან პიროვნების თავისუფლება წარმოუდგენელია სამშობლოს თავისუფლების გარეშე. აკაკი წერეთელთან დაკავშირებით ამის თაობაზე კარგად თქვა მწერალმა თ. ჭილაძემ: „აკაკი წერეთლის შემოქმედების მთავარი მამოძრავებელი ძალა თავისუფლების იდეაა, რომელიც, თავის მხრივ, ორ მძლავრ შენაკადად იყოფა: ეს არის სამშობლოს თავისუფლება და პიროვნების თავისუფლება. თუმცა ეს ორი შენაკადი კი არა, ერთი იდეის ორი მხარეა, რომლებიც ცალ-ცალკე არაფერს წარმოადგენენ, ერთად კი იმ დიად მოტივს ქმნიან, ასე რომ ამალგებს აკაკი წერეთლის შემოქმედებას“.

მისივე საგულისხმო დაკვირვებით, აკაკი წერეთლის ერთ-ერთი უსაყვარლესი სიტყვაა თავისუფლება. ასევე შეიძლება ითქვას ილია ჭავჭავაძის შესახებაც. ეს სიტყვა სხვადასხვა კონტექსტში ხშირად გვხვდება ორივე პოეტის შემოქმედებაში. გავიხსენოთ ილიას მიმართვა ქართველის დედისადმი: შვილი ისე აღზარ-

დღე, რომ „შთაგონებდნენ კაცთა სიყვარულს, ძმობას, ერთობას, თავისუფლებას“. „თავისუფლებაც, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარიო“, — ამბობს პოეტი, აღტაცებული იმით, რომ „ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედებს, კასპიის ზოვიდამ შავ ზღვამდინა ერთ ფიქრსა ჰფიქრობს, — და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება!“ ასევე შეჰხარის თავისუფლებას აკაკი, რომელიც დედის პირით უმღერის ყოფილი ყმის შვილს: „გაიზრდები, გენაცვალე, თავისუფალიო“. „ასრულდა თითქმის, რასაც ვნატრობდითო“, — ამბობს ხალხის გამოფხიზლებითა და რევოლუციური აღმავლობით აღტაცებული პოეტი: „გამოიღვიძა ხალხმა მძინარმა, რომ მოიპოვოს თავისუფლება სიტყვის, მწერლობის, კრება-ერთობის და აასრულოს საერთო ნება!..“ რუსთაველის ცნობილი აფორიზმის თავისებური „გარდათქმა“ და პატრიოტული აულერება აკაკის სიტყვები:

**სკობს მონობაში გადიდგაცებულს,
თავისუფლების ძებნაში მკვდარი.**

აკაკი წერეთელი იყო დიდი პატრიოტი და ამავე დროს დიდი ინტერნაციონალისტი, რადგან, იაკობ გოგებაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ძლიერი სიყვარული სამშობლოსი ჰბადავს ძლიერს სიყვარულს კაცობრიობისას“. იგივე აზრი პოეტს ასე აქვს გამოხატული: „ვისაც არ უყვარს მშობელი დედა, ის მის მაგივრად ვის შეიყვარებს?“

თავის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში აკაკის ქვეყნიერება სახატედ აქვს წარმოდგენილი, სამშობლო კი — თავის სალოცავ ხატად:

**ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა.**

მაგრამ ყველაზე ხშირად აკაკი სამშობლოს სატრფოს სახით გვიხატავს, რომელიც ხან ფეხშიშველა, თავზე ლეჩაქმოსილი და საღალათს ძილით შეპყრობილი თუ ცოცხალ-მკვდარი ავადმყოფია, ხან მტრის მიერ მოხიზლული და აღერსით მთვრალი, რომელიც ვერ გრძნობს, რომ შარბათში გარეულ საწამლავს ასმევენ, ხანაც ის ნესტან-დარეჯანივით ქაჭეთის ციხეშია გამოკეტილი და გამომხსნელ გმირებს მოელის. სწორედ სამშობლოს თავისუფლებას გულისხმობს პოეტი თავის „სურვილში“, როცა სატრფოზე ლაპარაკობს:

**მინდა, რომ ჩემსა სატრფოსა
ვხედავდე თავისუფალსა,
რომ ძალით ვერ აშინებდნენ,
ვერც ნებით უხვევდნენ თვალსა!..**

**მინდა, რომ მისი სახელი
გაისმას ძველებურად
და მისიანი ყველანი
ერთად სცხოვრობდნენ ძმურად!**

**მინდა, რომ მისხა დიდებას
დამღერდეს რუსთველის ქნარი
და იღვიძებდეს იმ ხმაზედ
ტაშის-კვრით ხალხი მძინარი!..**

თავის თავს პოეტი ხან ხატის წინ ანთებულ სანთლად წარმოგვიდგენს, ხან გარემოების საყვირად, ზოგჯერ „უსამართლობით დევნილი, სამართლიანად მკბენარი“ ფუტკარი მოაგონებს მგოსნის ბედს, ზოგჯერ კი აღეშფოთებული ზღვის ანალოგიას იშველიებს და მოუწოდებს პოეტს: „ძილის დროს ქუხილს ნუ მოშლი და სიბნელის დროს ელვასაო“. სამშობლოსათვის ტანჯვა და თვით სიკვდილიც პოეტს ნეტარებად მიიჩნია და მზად არის მამულს მსხვერპლად შეეწიროს:

**თუ ჩემს სამშობლოს გამოადვიძებს
ჩემი სიკვდილი, აჰა, მეც მზად ვარ!..
მოდ, ჭალათო, შენი მახვილი
შეუბრალებლად ზედ გულზე დამჰქარ!..**

**არა! სიკვდილი ვერ შემაშინებს
მომზადებულსა მამულის მსხვერპლსა!
მზად ვარ შევწირო სული და ხორცი
და სამშობლოზე ვპყრიდე თვით
ფერფლსა!**

ხალხის ფიქრი და გრძნობა, მისი ტკივილი და სიხარული, რწმენა და ოცნება აკაკის პოეზიაში გამოხატულია უაღრესად ნათლად და შთამბეჭდავად, მსუბუქი და ყველასთვის გასაგები ფორმით. დახვეწილი ხალხური ენით. ამიტომ იყო, რომ ხალხმა მისი ლექსები იმთავითვე შეიტკბო და შეითვისა, შეიყვარა და ბევრი მათგანი სიმღერებად აიტაცა. ეს ლექსები და სიმღერები აკვანშივე ესმის და სამარის გარამდე მიაცილებს ქართველ კაცს, განუყრელად თან ახლავს ჭირსა თუ ლხინში, შრომასა და ბრძოლაში, სატრფოსთან ურთიერთობაში, ქორწილში, ნათლობაში, სამშობლოს სიყვარულში... პოპულარობის მხრივ აკაკის ლექსს ბადალი არა ჰყავს ქართულ პოეზიაში.

აკაკი პირველ რიგში ლირიკოსია და შეუდარებელია, როგორც ლირიკოსი პოეტი, მაგრამ მისი მძლავრი ტალანტი სრულყოფილად მკლავნდება აგრეთვე სხვა ლიტერატურულ ჟანრებშიც. მის კალამს ეკუთვნის ეპიკური პოემები, დრამატული თხზულებანი, მოთხრობები, ფელეტონები, პუბლიცისტური წერილები, თარგმანები და სხვანი. ასე რომ, მას

ძნელად თუ ვინმე შეედრება მრავალფეროვნების მხრივაც.

აკაკის არაერთი პოემის, დრამატული თუ პროზაული ნაწარმოების, ფონად აღებულია განსაკუთრებით მძაფრი და მნიშვნელოვანი მომენტები ძველი საქართველოს ისტორიიდან და ამ ფონზე ნაჩვენებია სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ცხოვრება და მოღვაწეობა.

მწერლის აზრით, უბედურია ის ხალხი, რომელსაც წარსულში საამაყოდ მოსაგონარი არაფერი გააჩნია, მაგრამ კიდევ უფრო უბედური და სატირალია ის, ვისაც დიდებული წარსული ჰქონია და აღარ ახსოვს, დავიწყებია იგი. ასეთი ხალხი, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „დამდგარა გადარჯულებს გზაზე და სიკვდილი უახლოვდება“. ისტორიულ გმირთა მამულიმელოური თავადების მაგალითებით მწერალი ცდილობს გაამხნევოს მკითხველი, გაუღვივოს ეროვნული სიამაყის გრძნობა, უჩვენოს მისაბაძი ნიმუშები. ამით აიხსნება, რომ აკაკი რამდენადმე იდეალიზებული, რომანტიკული ფერებით გვიხატავს წარსულს. გავიხსენოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთის ამსახველი და ჟანრობრივადაც განსხვავებული მხატვრული შედეგები: ისტორიული პოემები „თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“, „ბაგრატი დიდი“, დრამატული პოემები „პატარა კახი“ და „თამარ ცბიერი“, პოემა „გამზრდელი“, მოთხრობა „ბაში-აჩუკი“... რა დიდებულ სახეთა გალერეა იშლება მკითხველის თვალწინ მწერლის უბადლო კალმით დახატული ისტორიული თუ მხატვრული ფანტაზიით შექმნილი გმირების სახით, როგორიცაა თორნიკე ერისთავი, ცოტნე დადიანი, ბაგრატი დიდი, მეფე ერეკლე, მგოსანი გოჩა, ბათუ, პირიმზისა, პირიმთვარისა, ბაში-აჩუკი...

აკაკი წერეთლის პროზის შედეგებია „ბაში-აჩუკთან“ ერთად „ჩემი თავგადასავალი“, რომელიც „ქართული ლიტერატურისათვის ისეთივე მნიშვნელობის ნაწარმოებია, როგორც რუსულ მწერლობაში ლევ ტოლსტოის „ბავშვობა, ყრმობა და ჭაბუკობა“, გერმანულში — გოეთეს „პოეზია და სინამდვილე“ და სხვ.“ (ლ. ასათიანი). ამ ნაწარმოებში მწერალმა წარმოგვიდგინა ბატონყმური საქართველოს საოცრად სწორი და რეალისტური სურათი, გვიჩვენა მეფისდროინდელი სკოლა და მასწავლებლები, იქაური მკაცრი რეჟიმი, რომლის წყალობითაც მოსწავლეებს ზრდიდნენ მეფის მოხელეებად და მხედრებად, ხოლო



ახალი

ოთხი ფიცარი კუბოსთვის,
უბრალო, შეუმკველადა,
და ოთხი მუშაც წამლები,
რომ გამასვენონ ხელადა.

არც გვირგვინები, არც სიტყვა,
არცა-რა ცერემონია,
არ მინდა!.. მოლას ანდაზა
მეც ბევრჯელ გამიგონია.

მინდა რომ ბალში დამმარხონ,
სადაც არ იყოს სხვა მკვდარი...
ზაფხულმა მწვანით შემოსოს
და თოვლს მაყრიდეს. ზამთარი...

მზე, საფლავს სხივებს
ტყორცნიდეს,
დაჰქათქათებდეს ზედ მთვარე,
და ვარსკვლავები ჭიჭიკა,
მიბნედილ მოსხივიცისკარე.

დიღ-დიღით გასალვიძებლად
შაშვემა მისტივინოს ზევსური,
რომ მის მაღალ-ბან სალამურს
სიკვდილმაც დაუგდოს ყური.

სალამოს ვარდის ჩიტუნამ
ჩასკვნით ჩამკვნესოს „ნანიანა“,
იქვე მახლობლად ბუჩქებზე
მას აერჩიოს რა ბინა!..

და ამდენ ნატვრის გვირგვინად
ერთსაც დავსახავ სხვა რამეს:
კავშირსა სიკვდილ-სიცოცხლის,
ორივე სოფლის სიამეს...

ის მირჩევნია ძვირფას ძეგლს,
ყოველგვარ სანახაობას,
რომ იქ უქმე დღე ვხედავდე
მოზარდულ ქართველ თაობას...

იქ თამაშობდეს, ცელქობდეს,
ეხორცებოდეს ქართველ ერს,
თავისებურად დამღერდეს
ძველებურ „მრავალ-უამიერს“.

აბაპი წერეთელი 1894 წ.

ადამიანებად და სამშობლოს ერთ-
გულ შვილებად მათ აღზრდაზე კი
არაუინ ზრუნავდა. აქვე ავტორმა და-
გვიხატა თავის თანამედროვე მწერა-
ლთა და მოღვაწეთა შესანიშნავი პო-
რტრეტები.

ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ
კრილოვის იგავ-არაკების აკაკისე-
ულ ბრწყინვალე თარგმანებზე, მის
მრავალრიცხოვან და მრავალფერო-
ვან ლიტერატურულ წერილებზე,
ფელეტონებზე, რომლებიც იმდროი-
ნდელი პოლიტიკური და საზოგადო-
ებრივი ცხოვრების მრავალ საჭი-
ბოროტო საკითხს ეხება და მხატვრუ-
ლი პუბლიცისტიკის საუკეთესო ნი-
მუშებს წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, აკაკი თავის
თავს „გარემოების საყვირად“ თვლი-
და და თითქმის ყველა საჭირობო-
ტო საკითხს ეხმაურებოდა ლექსით,
ფელეტონითა თუ წერილით. ზოგ
მათგანს დღეისათვის მხოლოდ ის-
ტორიული მნიშვნელობა შერჩა, მა-
გრამ დიდი მწერლის თხუთმეტო-
მეოთხე საუკუნის ლიტერატურულ მემკვიდრეო-
ბაში ბევრი ისეთი მარგალიტებია,
რომელიც სამუდამოდ შევიდა ქარ-
თული ლიტერატურის ოქროს ფო-
ნდში.

დიღია აკაკის როლი სალიტერა-
ტურო ქართული ენის განვითარების
საქმეში. აკაკი, ილიასთან და იაკობ
გოგებაშვილთან ერთად, ახალი ქა-
რთული სალიტერატურო ენის ერთ-
ერთი ფუძემდებელია. ამ მხრივ მისი
დამსახურება ჯერ კიდევ ელის სათა-
ნადოდ შესწავლასა და დაფასებას.

აკაკის ღვაწლი და დამსახურება მა-
რტო მხატვრული შემოქმედებით არ
ამოიწურება. დიდი მწერალი ამავე
დროს დაუცხრომელი საზოგადო მო-
ღვაწეც იყო. XIX საუკუნის 60-იანი
წლებიდან ჩვენი ქვეყნის ცხოვრე-
ბაში არ ყოფილა ცოტად თუ ბევ-
რად მნიშვნელოვანი საზოგადოებ-
რივი საქმე, რომლის მხურვალე მო-
ნაწილე და ერთ-ერთი მესვეური არ
ყოფილიყოს აკაკი წერეთელი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აკა-
კის როლი ქართული თეატრის გა-
ნახლებისა და აღორძინების საქმეში.
ის იყო არა მარტო დრამატურგი და
თეატრალური კრიტიკოსი, არამედ
მსახიობობდა კიდევ, ხოლო ერთ-
ხანს უშუალოდ უძღვებოდა დასს,
თანაც უაღრესად კრიტიკულ პერი-
ოდში, როცა ქართულ თეატრს და-
ხურვის საფრთხე ემუქრებოდა. „ქა-
რთული დრამატული საზოგადოება“
რომ ჩამოყალიბდა, მის თავმჯდომე-
რედ არჩეულ იქნა ილია ჭავჭავაძე.
თავმჯდომარის ამხანაგად ახუ მოად-
გილედ კი — აკაკი წერეთელი.

ასევე მხარდამხარ ვხედავთ ილია-
სა და აკაკის „ქართველთა შორის
წერა-კითხვის გამავრცელებელი სა-
ზოგადოების“ ხელმძღვანელად. ცნო-
ბილია, რა დიდი როლი შეასრულა
ამ საზოგადოებამ ჩვენი კულტურის
აღმავლობის საქმეში, როგორც ქა-
რთული სკოლების დაარსებით, ისე
წიგნების გამოცემით და მრავალი
ეროვნული საქმის წამოწყებით.

აქტიურ მონაწილეობას ღებუ-
ლობდა აკაკი წერეთელი „ვეფხის-
ტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კო-
მისიის მუშაობაში, რომელიც 80-იან
წლებში გაიშალა. ეს მუშაობა დაგ-
ვირგვინდა 1888 წელს პოემის ძვირ-
ფასი გამოცემით, რომელიც შემკუ-
ლი იყო ზიჩის საუცხოო ილუსტრა-


ციებით. ამ გამოცემამ თავის დროზე
დიდი როლი ითამაშა, როგორც
„ვეფხისტყაოსნის“ პრეპარატი
კინის, ისე ქართველთა ეროვნული
გრძნობების გაღვივების საქმეში.

აკაკის თვალსაჩინო დამსახურე-
ბათა რიგს მიეკუთვნება მისი დაუცხ-
რომელი ზრუნვა ხალხური ზეპირ-
სიტყვიერების ნიმუშების შესაკრე-
ბად და გამოსამზეურებლად. თავისი
საკუთარი თხზულებების გამოცემას-
თან ერთად სწორედ ქართული
ფოლკლორის ნიმუშების გამოქვეყ-
ნებას ისახავდა მიზნად პოეტი, როცა
ყოველთვიურ ჟურნალ „კრებულს“
აარსებდა (1897 წ.). აკაკის „კრე-
ბული“ იყო პირველი ქართული
ფოლკლორული ორგანო, „მან მძლავ-
რი სტიმული მისცა ხალხური შე-
მოქმედების შეგროვება-შესწავლის
საქმეს ჩვენს ქვეყანაში. პირველი
ავტორიტეტული პროპაგანდისტი ამ
დარგში თვითონ აკაკი იყო, რომე-
ლიც პერიოდულად აქვეყნებდა სა-
ხელმძღვანელო წერილებსაც ამ
საკითხზე“, — აღნიშნავს კრიტიკო-
სი ლ. ასათიანი. აკაკი იყო აგრეთვე
რედაქტორი პირველი ქართული იუ-
მორისტული გაზეთისა „ხუმარას“
სახელწოდებით. მაგრამ მისი გამო-
ცემა პირველ ნომერზევე შეწყდა
მეფის ცენზურის მიზეზით (1905 წ.).

აკაკი წერეთლის სახელთან დაკავ-
შირებულია ჭიათურის შავი ქვის
ახუ მარგანეცის საბადოების აღმო-
ჩენა-შესწავლა და მისი დამუშავე-
ბის დაწყება.

აკაკი ბევრს მოგზაურობდა, გამო-
დიოდა საჯარო ლექციებით საქართ-





ბ ი ჯ ი ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე

**ჩიკო-ჩიკო,
გარმონიკო!**

საცეკვაოდ დასცხეს დოღზე,
გაინვია თამრო ნიკომ
და გარმონიც ანიკნიკდა:
— ნიკო-ნიკო-გარმონიკო!
შეიყარა ხის ქვეშ ხალხი,
უჰ, ამდენი ან სად იყო!
— ტაში, ბიჭო! ტაში! ტაში!
— ნიკო-ნიკო-გარმონიკო!
გოგნი, გოგნი, გოგონასა
ნიაქარში თმა გაშლია,
ისე ნაზად დაგოგმანობს,
როგორც გნოლი ყანაშია...
— მაინც წუნელა გოგო ხარ და
ბევრი ცეკვით არ მოიკლო.
— მერე შენ რა გენაღვლება!
ნიკო-ნიკო-გარმონიკო!
„ნეტა დიდხანს ვიცეკვოთ“ —
ნიკო ფიქრობს, თამროც ფიქრობს,
დოღს კი უკვე ტყავი სძვრება,
ძლივს წრიპინებს გარმონიკოც.

შესვენების დროც დამთავრდა,
შრომის ველი კვლავ მოგვიხმობს
და მიჩუმდა დოღთან ერთად
ნიკო-ნიკო-გარმონიკოც.

ყანა

ცაზე ღრუბელი აღარ ჩანს,
კვლავ ცხელი ამინდებია.
ყაყაჩომ ყანა დალაშქრა.
ცეცხლივით ნაჰკიდებია.
წყურვილი ახრჩობთ თავთავებს,
ღეროებს მალლა იშვერენ:
— მგონი სიცოცხლეს ვამთავრებთ,
სადა ხართ, ხალხნო, გვიშველეთ!
— აქ ვართო — უცებ დასძახეს
და გაჩნდნენ პიონერები...
და სარეველა ბალახი
დაგლიჯეს ციცქნა ხელებით.
მერე მახლობელ წყაროდან
არხი გათხარეს ყანამდე
და, ვიდრე მოსაღამოვდა,
ცეკვა-თამაშიც გამართეს.
გალაღდა ყანა და როცა
წყლის წრუპვას თავი ანება,
ბავშვები ასე დალოცა:
— იხარონ თქვენისთანებმა!

ველოს სხვადასხვა კუთხეში. ესეც ერთ-ერთი საშუალება იყო ხალხთან დასახლოებლად, მისი ჭირ-ვარამის უკეთ გასაცნობად, პატრიოტული სულისკვეთების გასაღვივებლად. მეორე მხრივ, ხალხსაც საშუალება ეძლეოდა ამგვარი შეხვედრების დროს უფრო ახლო კონტაქტი დაემყარებინა საყვარელ პოეტთან, გამოეხატა თავისი გულითადი პატივისცემა მისადმი.

ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის გამო, დიდი ილია „ივერიის“ ფურცლებზე წერდა: „ჩვენდა სასიხარულოდ, ჩვენშიაც თითქმის ჩვეულებად შემოდის პატივისცემა ერისათვის გარჯილი კაცისა, საჯაროდ მადლის გადახდა მისი, ვისაც ერისათვის სამსახური რამ გაუწევია, შრომა დაუდვია, სიტყვით თუ საქმით შესწევნია თავის მამულსა და თანამემამულესა. ამისი მაგალითი ბ-ნ აკაკი წერეთლის მოგზაურობაა ამას წინათ გორში და ამ ბოლო ყამს კახეთში; ერთგან და მეორეგანაც შესაბამის პატივით დახვედრია ქართველობა თავის პოეტსა და პირუთვნელის სიტყვით გამოუცხადებია თავისი მადლობა და პატივისცემა მისთვის, ვინც ტკბილის და გრძნობიერების სიტყვით ამ ოცდასუთ წელიწადში ატეობდა ქართველის ყურს, აფხიზლებდა გონებას და ჰმართავდა ქართველის გულს ქართველისა და საქართველოს სიყვარულისათვის. ამ სიყვარულის აღფრთოვანებაში ბ-ნ აკაკის გამოჩენილი ადვილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში. ბედნიერია, ჩვენის ფიქრით, აკაკი, რომ იღვაწა და თავისი ღვაწლის ნაყოფი სიცოცხლითვე თავისის საკუთარის თვალთ იხახულა. ვამბობთ, იხახულა, იმიტომ, რომ საქართველოს და ქართველის სიყვარულისაგან არის წარმომდგარი ის პატივისცემა, რა პატივისცემითაც დახვედრიან ჩვენს პოეტს გორსა და თელავში, და ამ სიყვარულის აღორძინებისათვის თვითონ აკაკი წერეთელს არაერთხელ დაუკვნესებია თავისი ტკბილი ქნარი, უმოქმედებია თავისი მიმზიდველი ნიჭიერება, თავისი მარილიანი სიტყვა, თავისი სიტურფით სავსე ქართული. საცა წავიდა ბ-ნი აკაკი, წინ დახვდა მისგან ფრთაასხმული და გაღონიერებული სიყვარული საქართველოსი და ქართველისა, წინ დახვდა გულწრფელი პატივისცემითა და მადლიერებით აღსავსე გულთათა. აგრეთ თვითონვე იგემა ბ-მა აკაკიმ ნაყოფი თავის დანერგულისა და დათესილისა“.

ამ სიტყვებში კარგად ჩანს, თუ რა მალაღ შეფასებას აძლევდა ქა-

რთველი ხალხის სულიერი მამა და ბელადი დიდი ილია ხალხის მეორე უსაყვარლეს შვილსა და გამოჩენილ მოღვაწეს. შემდეგ იმავე წერილის ბოლოს ნათქვამია:

„ღმერთმა ადიდოს, ასახლოს, გაუმარჯოს იმ შვილს, რომელიც მამას დაემჯობინება ქვეყნის სამსახურში და რომელიც ეგრე ეჭირვება ჩვენს მშვენიერს მიწა-წყალს, ჩვენს საყვარელ საქართველოს! გაუმარჯოს აკაკი წერეთელსაც, რომლის სამსახურს და ღვაწლს ქართველი გულში ჩაირჩენს სამუდამო სახსოვრად და რომლის მშვენიერის ლექსებით არა ერთხელ დაიტკბობს ყურს და გრძნობას, და არა ერთხელ გულს მოიციმს მამულის-შვილობისათვის“.

დიდი ილიას თქმისა არ იყოს, აკაკი მართლაც ბედნიერი პოეტი იყო იმიტომ, რომ სიცოცხლეშივე მოესწრო თავისი ღვაწლის ნაყოფს, მოესწრო ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და პატივისცემას. ამ სიყვარულისა და დაფასების განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულება იყო აკაკის შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლის აღსანიშნავი იუბილე, რომელიც დიდ ეროვნულ ზეიმად იქცა.

მსცოვანი და ღვაწლმოსილი პოეტი გარდაიცვალა 1915 წლის 26 იანვარს თავის მშობლიურ სოფელში, იმავე სახლში, რომელშიაც ის დაი-

ბადა სამოცდათხუთმეტი წლის წინათ.

მატარებელს, რომლითაც მის ცხედარს თბილისში მიასვენებდნენ, ყოველ საღმურში ზღვა ხალხი ხვდებოდა. მგლოვიარე საქართველო მუხლმოყრილი ეთხოვებოდა თავის უსაყვარლეს მგოსანს. იღვა ზამთარი. მძვინვარებდა პირველი მსოფლიო ომი. მიუხედავად ამისა, აკაკის დაკრძალვას თბილისში ასიათასზე მეტი კაცი დაესწრო, — ამბობენ; ამ უზარმაზარ პროცესიას კი წინ მიუძღოდა ერთადერთი გვირგვინი მოკლე და მრავლისმეტყველი წარწერით: „აკაკის — საქართველო“.

მთაწმინდის კალთამ მიიბარა პოეტის ის ნაწილი, რაც მასში მოკვდავი იყო, უკვდავი ნაწილი კი, მისი თხზულებების სახით, საუკუნოდ დარჩა ქართველ ხალხს. ასრულდა მგოსნის სურვილი, უბრალოდ და გულში ჩამწვდომად ნათქვამი ქართული პატრიოტული პოეზიის უჭკნობ შედეგში — „განთიადში“:

დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირფუხ, ხმელეთ-წურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!

ხელსუხვეობა

ფარეხიდან კარგად ჩანდა ახმეტა. იქაც აფეთქებულ იყო თეთრად და ვარდისფრად ტყეშალი, ალუბალი და ატამი. აქეთ კიდევ, დაბლობში, ზვრებს მოსდებოდა ხასხასა სიმწვანე. ხევგალმა ფერდობზე ცხვარი ძოვდა ქორფა ბალახს. ფარეხში მეცხვარეები ფუსფუსებდნენ — ხვალ მთაში აპირებდნენ წასვლას და თადარიგს იჭერდნენ: ერთი დევით ვაყკაცი ცხენს ჭედავდა, მეორე იარაღს წმენდდა, მესამე კომბალს ალამაზებდა, სხვები ბარგს კრავდნენ და ჭიშკართან აქუჩებდნენ.

ნაშუადღევი იყო. სასიამოვნო სითბო იწვა იმ არემარეში. მიწას ოდნავ შესამჩნევი, თხელი ნისლივით ორთქლი ასდიოდა. ჰაერი ყვავილების მძაფრი სურნელით იყო გაჟღენთილი.

მირიანმა და გიომ ჩვეულებას არც ახლა უღალატეს. გზა დაიგრძელეს და ფარეხზე ჩამოიარეს. მეცხვარეებს არ გაჰკვირვებიათ მათი დანახვა: ბიჭები ტყუპებივით შეეზარდნენ ერთმანეთს — მეზობლად ცხოვრობდნენ, ერთ კლასში სწავლობდნენ. გაკვეთილებს ერთად ამზადებდნენ და უერთმანეთოდ ნაბიჯსაც არ გადადგამდნენ ხოლმე. ძაღლებმაც იცნეს ბიჭები, ფერდობებს შესეულ ცხვარს თვალი მოარიდეს, გიომ და მირიანი წამით შეათვალიერეს და მაშინვე ფარისკენ იბრუნეს პირი.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — მარჯვენა ხელი ასწია და დაიძახა სარქალმა, რომელიც ბრტყელი ქლიბით ნალის ლურსმანს წვერს უმახვილებდა. — ვაჰ, ბიჭებო, რა კარგ დროს მოხვედით! ნუ დაიზარებთ, მიირბინეთ ერთი, აგე, ბეჟანასთან, ფარეხის ბოლოს, უთხარით, კობა ძიას ქლიბი დაუჩლუნგდა-თქო, სალესი გაგვატანეთ-თქო... ეს ოხერა, რა ცუდ ქლიბებს უშვებენ ამ ბოლო ხანს, კაცო!..

ბიჭებმა ჩახთები იქვე დაალაგეს და ფარეხის ბოლოს მიამურეს, საქმით გართულ ბეჟანას და მის ამხანაგებს თავს წაადგნენ და თითქმის ერთად მიამახეს:

— ძია კობამა — სალესავიო! ქლიბი დამიჩლუნგდაო!

ბეჟანა წელში გაიმართა და ბიჭებს განცვიფრებული მზერა შეანათა. საპასუხოდ პირი გააღო. მაგრამ უცებ რალაც მოისაზრა, სარქლისკენ გაექცა მზერა. მერე თავის არანაკლებ განცვიფრებულ ამხანაგს თვალი ჩაუკრა და ბიჭებს მიუბრუნდა:

— სალესავი უნდა? რა მოუვიდა მაგ დალოცვილს, სულ მაგას როგორ უნდა დაუჩლუნგდეს ის ქლიბია თუ დოზანა!.. აი, ემანდა გდია და წაუღეთ! — თითი ღობის ძირას დავდებულ მოზრდილ ლოდზე მიუთითა და საქმეს მიუბრუნდა.

ბიჭებმა ერთი ჭაპანწყვეტით, ხვნეშითა და კრუსუნით წაათრიეს ის ლოდი და სარქლის ფეხებთან რომ დააგდეს, მიწა შეზანზარდა მეცხვარეების ხარხარისაგან, აქეთ ძია კობას ეჭირა ხელით ფერდები, იქით ბეჟანა და მისი ამხანაგები ასკდებოდნენ ერთმანეთს. გიომ გაკვირვებული იდგა, მირიანს თავი დაეხარა და კეფას იქეპავდა.

— დააცადეთ, დაიზარდონ, მერე ნახავთ, როგორი ყოჩაღი მეცხვარეები დადგნენ, მერე უყურეთ თქვენ! ეგრე არ არი, ყმაწვილებო? — სული რომ მოითქვეს, გული გაუმეგრა ბიჭებს ჭაღარა მეცხვარემ, დათამ.

— ეგეც მალე იქნება, კეთილად გაუღიმა ბავშვებს გიგომ, სწორედ იმ დეკაცმა, წელან ცხენს ნალს რომ უმაგრებდა ფლოქებზე.

— ჰო, ოღონდ თუკი მეცხვარეობას მოინდომებენ! — ცრემლების წმენდით თქვა კობამ. — მაგრამ... ეჰ, მე არ ვიცი მაგათი ამბავი? ეგ ახლა აინტერესებთ, თორემ აი, ნახავთ, დაამთავრებენ სკოლას, წავლენ ქალაქში და სოფლისკენ პირსაც არ მოიბრუნებენ. — ხელში შერ-



ჩენილი ლურსმნები კასრზე დაალაგა და დათას მიუბრუნდა: — კაცო, აი, ჩემი შვილიშვილისა მიკვირს! ეგ დალოცვილიშვილი, ინსტიტუტში რომ მოხვედრილოყო, ხო კარგი, მაგრამ დილიდან საღამომდე ქალაქის ქუჩებში რომ დაყიალობს, საჩემო სამუშაოს დავეძებო, ჩამოვიდეს და საქმის მეტს რას ვუშოვიო! კაცი იყოს, თორემ სამუშაოს რა გამოიღვეს... რა, ეგრე არ არის?

მირიანი და გიომ უსმენდნენ კობას და უკვირდით: მართლაც, რისთვის უნდა წასულიყო ადამიანი ქალაქში სამუშაოს საძებნად, როცა სოფელში ხალხი საქმეს ვერ აუღის?!

— არა, ეს ბიჭები სულ სხვანაირები იზრდებიან, ვერა ხედავთ, რა ყოჩაღები არიან? — გადახედა გიოსა და მირიანს კობამ, თან სახეზე ღიმილი გადაეფინა.

ბიჭებს ყოველთვის ახარებდათ ძია კობას შექება, არც მისი ხუმრობა სწყინდათ და ყოველთვის ცდილობდნენ, რალაცით გამოდგომოდნენ სარქალსა და ცხვარს.

— ბედი არ გინდა?! — უცებ მოისმა ბეჟანას ხმა. ყველამ მისკენ მიიხედა. ბეჟანა მოდიოდა და ცარიელ ვედროებს მოაჯღარუნებდა.

— კაცო, დენი გამოირთო, ვაითუ მთელ ღამეს უსინათლოდ დავრჩეთ. ბაღლებო, ნუ დაიზარებთ, თქვენს გახარებას, ერთი ქვემოთ ჩაირბინეთ, ელექტროსადგურში, მანტიორ ლევანასთან, და ეს ორიოდ ვედრო ელექტრონი ამოაცუნცურეთ. სამაგიეროდ მე ვიცი თქვენი



პატივისცემა, აი, თუ გინდათ, ჩემს იორლაზე შეგსვამთ და გაგაჭენებინებთ!

— ეჭვე, ნურას უკაცრავად! — გაეცინა გიოს. — ვედროებით დენის მოტანა ვის გაუგია, ამდენი კი ვიცით, მართლა ეგრე ნუკი გვიყურებ! არა, მირო?

მეცხვარეები ერთხმად ახარხარდნენ.

— ვერ გამოგივიდა, ბეჟან! ხომ ხედავ, როგორი ყოჩაღები არიან. მაგათ უკვე ვეღარ მოატყუებ, — თქვა სარქალმა და ბიჭებს თმები მოუჩჩია.

მეცხვარეები თავ-თავის საქმეს რომ მიუბრუნდნენ, გიომ და მირიანმა ეზო მოათვალიერეს. თევრას ბებერი თუთის ქვეშ შეეჩრდილებინა. უკანა ფეხები შეეკეცა. წინა გაეწვართა, თავი ზედ დაედო და თვლემდა. ბებერი იყო თევრა, წლებს დაემძიმებინა, დაზანტებულიყო. ფარების ეზოდან აღარ გადადიოდა, ადგილს თუ შეიცვლიდა ხანდახან, ეგ იყო და ეგ აღარცერთი კბილი აღარ

რე ადვილად, თორე რო იცოდენ... ზოგი ადამიანი ვერ მოუვლის ცხვარს ისე, ეგრე უვლიდა. მაშა! მირიანი და გიო ბერდია პაპას აქეთ-იქით მიხუტუნდნენ. მოხუცმა ალერსით გადაუსვა ხელი ბაღლებს თავზე. მისი შეყვირება სხვა მეცხვარეებსაც გაეგონათ და ისინიც ბებერი თუთის ჩრდილში შეგროვდნენ. ბერდიამ სათითაოდ შეათვალიერა ყველა, ჩიბუხი გააბოლა და ჩაახველა.

— აბა, გვიამბე რამე თევრაზე, თუ ეგრეა, ბერდია პაპავ, — სთხოვა ბეჟანამ.

მოხუცმა მძიმედ დააქნია თავი:

— გეტყვით, რატომაც არა, ვიამბობთ, აი, მომისმინეთ:



შერჩენოდა, აოარც ყურში ესმოდა საწყალს. მეცხვარეები ფარას მთაში რომ არეკავდნენ, თევრას ფარეხში მოხუცი პენსიონერი, ძველი სარქალი ბერდია პაპა აკითხავდა ხოლმე და სალაფავი მიჰქონდა მისთვის.

ბერდია პაპა ახლაც თევრას გვერდით იჯდა, ჯდომისაგან მუქ ყავისფრად გაპრიალებულ ჭირკზე, და თევრას თავზე ხელს უსვამდა.

— ჭამე, ჩემო ბებერო, ჭამე! — ეუბნებოდა ალერსით.

ბიჭები მივიდნენ და ხმადაბლა მიესალმნენ ბერდია პაპას. ერთხანს იდგნენ და უყურებდნენ, როგორ ჭამდა სალაფავს ბებერი ნაგაზი. არც კი გაუგიათ, ისე წამოადგათ თავს ბეჟანა.

— გამარჯობა, ბერდია პაპავ!

— ღმერთმა გაგიმარჯოს, შვილო.

— ბერდია პაპავ, ან შენ რასა წვალომ ყოველდღე აქ სიარულით, ან ამ საწყალს რაღას ვაწვალებთ? მოდი, გადავიყვან აქვე ხევში, მივცემ შუბლში ჟაჟანსა და გავათავებ! მაღლი არ იქნება?

— რაებს მიჰქარავ! — შეუძახა ბერდია პაპამ და მუხლზე ისეთი ძალით დაირტყა ხელისგული, რომ ბიჭები შეკრთდნენ და ნაბიჯი უკან გადადგეს. — ეგ ერთხელ გითქვამს და მეორედ აღარ ვამაგონო, გესმის შენა?


— ტყუილი წვალეზაა, ბერდია პაპავ...

— ეჭ, შვილოსა, შენ ჯერ ბაღლი ხარ, ამ დალოცვის თავგადასავალი არ იცი და იმიტომაც იმეტებ ეგ

თევრა ახლა, ჩემო კარგებო, ოცდახუთი წლის მოხუცია. ოც წელზე მეტი ემსახურა ჩვენს ფარას. მე, აგერ, სამოცი წელი მივლია ცხვარში, ეგეთი ჭკვიანი და ერთგული დარაჯი კი არც მე მინახავს და არც სხვისგან გამიგონია. პატარა ლეკვი იყო, როცა ახმეტელმა ძმაკაცმა, დავით დავითაშვილმა მაჩუქა — ღმერთმა გაანათლოს, ადრე დაიღუპა საწყალი... გამოვზარდე და ცხვარს ავადევე. ისეთი ერთგულებით დარაჯობდა ფარას ეს დალოცვილი, რომ აი, კობასა ჰკითხეთ, თქვენს სარქალს, ეგ დამიმოწმებს, მაგის სიახლოვეს მეგელი ვერ გაიჭაჭანებდა. ვინ მოსთვლის, რამდენი ნადირი დაუგლეჯია და მოუგუდავს, თოფის დატენვას ვერ ვასწრებდით, ტყვიანაშალს გვიზოგავდა ეს მაღლიანი, ესა.

აი, ერთ შემთხვევას მოგახსენებთ:

ერთ გაზაფხულზე, ჩვეულებრივ, ცხვარს მთაში მივერეკებოდით. მე წინ მივდიოდი და გზას ვზევრავდი: იმ დროს ომი არც ისე დიდი ხნის დამთავრებული იყო, ცოტა ჭირდა ცხოვრება და ათასი ძალდი და მამაძალი ბილიყებზე ორმოებს თხრიდა. ზედ ტოტებსა და ბალახებს ჭაფარებდა და თვითონ ტყეში შეიმალებოდა. ფარა



რომ ჩაივლიდა, ყაჩაღები ტყიდან გამოიძურწებოდნენ, ჩაჩეხილ ცხვარს ორმოდან ამოათრევდნენ, დაკლავდნენ და მოუღებდნენ. მე მუდამ რაღაც გუმანით ვგრძნობდი ხოლმე საფრთხეს, შენიღბულ ორმოსთან დავდგებოდი და ვიდრე ფარა არ ჩამოივლიდა, გვერდზე ნაბიჯსაც არ გადავდგამდი. ერთხელაც ზემოთუნის ტყის პირას ვიპოვე ისეთი ორმო, იქვე დავდექი და ფარა უვნებლად გავატარე. ტყიდან თურმე ყაჩაღები გვითვალთვალდნენ და გულზე სკდებოდნენ, კოვზი ნაცარში რომ ჩაუვარდათ. უცებ ცხენის თქარათქური მომესმა. გავიხედე და რას ვხედავ: ვილაც ჭყელმა ცხენდაცხენ ჩაუჭროლა ფარას, მეწინავეებს რომ გაუსწორდა, ვადმოიხარა, ერთ ბატკანს ქეჩოში ხელი ჩაავლო, უნაგირზე აიტაცა და გაჭქუსლა. თოფი უნაგირზე მქონდა მიკრული, ცხენი ფარას უკან მოსდევდა, რა უნდა მექნა ცარიელა ხელით? ერთი კი დავკეცივლე და ამ დროს გვერდით რაღაცამ შურდულივით ჩამიჭროლა. თვალი ვკიდე — თევრა იყო. ყაჩაღმა ის იყო ბილიკი აათავა, ცოტაც და, ტყეს მისცემდა თავს, მაგრამ თევრამ მოკლულზე მოსჭრა და იმ დროს, როცა ცხენოსანი ტყეში უნდა შევარდნილიყო, კამარა შეჭრა და მხედარი ბავშვივით ჩამოიღო ცხენიდან, ვადმოავლო და კბილებ-დაღრეჯილი თავზე დაადგა. ქურდმა უნამუსოდ ხანჯალი იძრო და თევრას მოუქნია — აი, ნახეთ ყბაზე ეხლაც ეტყობა ნახანჯლარი. მაშინ თევრამ, ეგრე არ უნდაო, ისკუპა და მაჯაში კბილებით სწვდა, ხანჯალი დაავდებინა და კინალამ ძვალი გადაუღრღნა ავაზაკსა... მაშ!..

მეცხვარეებმა ისე დახედეს თევრას, თითქოს პირველად ხედავენო. იგი ისევე გაუნძრევლად იწვა, თავი წინა

თათებზე დაედო და ბერდიას შესცქეროდა, თითქოს ყველაფერი ესმოდა და კმაყოფილებით ჭუტავდა თავის ჭკვიან, სიბერისაგან უკვე გაწყალებულ-გათეთრებულ თვალებს.

ბერდიამ ერთხელ კიდე გატენა ჩიბუხი და ისევე ჩაახველა.

— ეს — ცხვარში, მაგრამ ერთი დიდი ვაჟკაცობა თევრამ სოფელშიაც ჩაიღინა. კობასა და დათას ეს ამბავი კარგად ესმოდათ, ბეჟანამ და ამ პატარა ბიჭებმა კი შეიძლება არ იციან და ამიტომ მოგიყვებით.

ერთხელ შემოდგომაზე თინა ხახუტაშვილს, ჩვენი სკოლის მასწავლებელს, ქალაქიდან ჩვილბავშვიანი დისშვილი ჩამოუვიდა. ჩვენ ის იყო, მთიდან ჩამოვბრუნდით და ფარა სოფელში ჩამოვრეკეთ. სოფლის თავში, წესისამებრ, ხალხი შემოგვეგება პურ-ღვინით, მშვიდობით ჩამოსვლა მოგვილოცეს, ბარაქა გვისურვეს. ცხვარს წინ მე და თევრა მივუძღოდით. იმ სტუმარ ქალს ბავშვი ავად გახდომოდა, თინა სახლში არ ყოფილა და ისიც ბავშვიანად აფთიაქში წასულიყო წამალზე. ბავშვი იმაში ეწვინა... ე. რა ჭკვიან, კაცო... ჰო კალიასკას რომ ეძახიან, აი იმაში. დაუყენებია ეს კალიასკა აფთიაქის წინა, თვითონ კი შესულა წამლისთვის. ჩვენი აფთიაქი, თქვენც კარგად იცით, ფერდობზე დგას. არ ვიცი, როგორ მოხდა, ალბათ ბავშვი თუ შეტოვდა ძილში ღონიერად, ის კალიასკა დაგორდა და პირდაპირ ხევისკენ არ დაეშვა?! ჯერ ნელა წავიდა, მერე თანდათან უმატა სიჩქარეს. ჩვენ მაშინლა შევნიშნეთ, როცა აფთიაქიდან გამოვარდნილმა დედამ კივილი მორთო, მიშველეთო. მერე სხვა დედაკაციებიც აპყვენენ და ატყდა ერთი ამბავი. არა და, ხომ იცით, ის ხევი რა ღრმაც არის, ჯერ ჩაჩეხვა თქვი, მერე მდინარის დინების სიჩქარე... ყველანი მონუსხულივით გავშეშდით, რომ დავდევნებოდით, სულერთია, მაინც ვეღარ დავეწეოდით. და სწორედ ამ დროს ჩემს წინ მიმავალი თევრა დაიძაგრა, ადგილს მოსწყდა, შურდულივით გავარდა, გეგონებოდათ,



გაფრინდაო, ზედ ხევის პირას მიუსწრო კალიასკას, პირი თვალში წაატანა და შეაჩერა. მაშინღა გამოფხიზლდით და ყოყინით მივირბინეთ. საწყალმა დედამ შეილი გადარჩენილი რომ ნახა, ჩაირბინა, თევრას შემოეხვია და თვალები დაუქოცნა, თან ქვითინებდა, ლამის გული ამოუვარდა. თევრა კი შემომცქეროდა და წკმუტუნებდა და წკმუტუნებდა... — ბერდია პაპამ თავი დააქნია. — შენ კი, ბეჟანავ, უკანო, ამბობ...

მირიანმა და გიომ ცრემლიანი თვალეებით ახედეს ბეჟანას. ახალგაზრდა მეცხვარემ ყველას მზერა აარიდა, შებრუნდა და ნირწამხდარი ბაკისკენ წავიდა.

ბერდია პაპამ მიმავალს მზერა მოსწყვიტა და კობას მიუბრუნდა.

— აბა, მამ ხვალ მიერეკებით, კობავ?

— ჰო, ალენელები უკვე დაძრულან და ჩვენ რაღას ველოდით?

— აბა, თქვენ იცით, ყოჩაღად იარეთ, ღმერთი შეგეწიოთ და ბარაქა მოგეთ. ხვალ დილით, თუ შევიძელ, სოფლის თავში ამოვალ, გაგაცილებთ. — ბერდია პაპამ წამოიწია, დაცარიელებულ ქვაბს ხელი დაავლო, ერთი კიდევ გადაუსვა თევრას თავზე ხელი და ჭიშკრისაკენ წავიდა.

დილით, მშემ გომბორის წვერი გაანათა თუ არა, მთელმა სოფელმა მეცხვარეების გასაცილებლად სოფლის თავში მოიყარა თავი. მირიანი და გიომ აქ იყვნენ თავიანთ ამხანაგებთან ერთად. კოლმეურნეობის თავმჯდომარე თედომ წამსვლელებს გზა დაულოცა, ერთ-ორი სიტყვა ძია კობამაც თქვა, ბერდია პაპამ პაწია ყანწით მშვიდობის გზა და ბარაქა უსურვა მეცხვარეებს, ჰიონერებმა კი სიმღერა გაადევნეს.

მეორე დღეს კვირა იყო. მირიანმა და გიომ მაინც შეიარეს მოწყენილი, დაცარიელებული ფარეხის ეზოში. თუთის ქვეშ თევრა იწვა. ეტყობოდა, ბერდია პაპა უკვე ყოფილიყო თევრასთან: ძაღლს წინ ცარიელი ქვაბი ედვა, სალაფავი შეეჭამა და თვლემდა. ცარიელმა ფარეხმა ბიჭები ცუდ გუნებაზე დააყენა. თევრას მიეფერნენ და ერთმანეთისათვის ხმა არ გაუციათ, ისე გადავიდნენ ჭიშკარში. სოფლის აფთიაქს რომ გაუსწორდნენ, ორივეს ბერდია პაპას ნამბობი გაახსენდა და შეთანხმებულივით ვაჭყვენ დაგორებული საბავშვო ეტლის წარმოსახვით ჩაკვალეს. აი, აქედან ეტლი უფრო სწრაფად დაგორდებოდა, აი, აქ როგორ არ გადაბრუნდა, საოცარი! აბა, ხევის პირიც, რამსიღრმეა ეს ტიალი, გადაიხედავ და ტანში დაგბურჭლავს, თვალეები ავისიორდება... გიომ მაინც წაადგა ხევის პირს და აქაფებულ მდინარეს ჩახედა, ჩახედა და შეკრთა:

— ბიჭო, მირო, აბა ერთი გადაიხედე, მგონი კლდეში რაღაც უნდა იყოს ჩაჩხილი!

— აბა სადა? — იკითხა მირიანმა, ჩაკუცქდა, ცალი ხელით მიწას დაეყრდნო და გადაიხედა. — ე! — გაიოცა უცებ. — ცხვარია, ბიჭო!

— მართლა, ხო იცი!

— ალბათ გუშინ ჩვენებმა ფარა რომ ჩაატარეს, მაშინ ვადავარდა და არავის შეუნიშნავს, — დაასკვნა გიომ.

— რაღა თქმა უნდა, ეგრე იქნება, — თავი დააკანტურა მირიანმა.

— რა ვქნათ? — შეფიქრიანდა გიომ.

— რაა? მოდი, შენ აქ დამელოდე. მე სახლში ავირბენ, თოქს ჩამოვიტან, ავე, იმ კაკალს გამოვაბათ, ჩაკუცურდები, ცხვარს მოვაბამ და მერე ორივემ ერთად ამოვიყვანოთ! — მირიანი საკუთარმა მოსახრებულობამ ისე გაახარა, შენტა და შემოტრიალდა. — რას იტყვი, პა?

— მიდი, გარეკე! — დაეთანხმა გიომ. — ოღონდ მაგარი თოკი იყოს, იცოდე.

ცხვარი კლდეში გამოზრდილი ტირიფის ტანში შეეკვროდა. ფეხქვეშ ზუსტად იმოდენა მიწის ნაჭერი ელო, მარტო ოთხი ფეხის დასადგამად რომ კმაროდა. საწყალმა მთელი ღამე ალბათ ბლავილში გაათენა, დილით, რასაც მისწვდა, ტირიფს ყლორტები შეაკვნიტა და ახლა უნიათოდ იცოხნებოდა.

— გამაგრდი, შე საცოდავო, შენა, ცოტაც მოითმინე! — ჩასძახა გიომ.

ცხვარმა ცოხნა შეწყვიტა, ზევით ამოხედვა სცადა, შეიჩინა. უცებ წინა ფეხებთან მიწა ჩაუშვავდა, ერთი შეტორტმანდა, მოსწყდა და დგაფუნით ჩავარდა მდინარეში. დინებამ სწრაფად გაიტაცა თავქვე, საწყალს ხან ჩაყურყუმელავებდა, ხანაც ზემოთ ამოაგდებდა. გიომ ჯერ დაიბნა, უთავბოლოდ აწრიალდა, მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ ქვემოთ ხევი დაბლდებოდა და მდინარე ტოტებად იყოფოდა, იქვე ფონიც იყო, მხოლოდ აქ შეიძლებოდა ცხვრის გადარჩენა, თუკი მიუსწრებდა. ბიჭუნა ადგილს მოსწყდა და ფრთები გამოისხა. მდინარე შორიდან უვლიდა, გიომ კი მოკლეზე ჩაირბინა და თავი გადაუსწრო. აქეთა ტოტი თხელი ჩანდა, თუ დინება ამ ტოტში შემოაგდებდა ცხვარს, არ გაჭირდებოდა მიშველება, ხოლო თუ შუა ტოტი გაიტაცებდა, საქმე გათავებულნი იყო, დაილუპებოდა ცხოველი. საწყალ ცხვარს, როგორც ჩანს, დღე არ დალეოდა და სწორედ პირველ ტოტში შემოტივტივდა. გიომ სწრაფად გაიხანა შარვალი და მდინარეში შევარდა. წყალი ყინულივით ცივი იყო, ბიჭს შეაქანკალა. მაგრამ უკან აღარ დაუხევია. ცხვარი გაუსწორდა თუ არა, მატყლში ხელი ჩაავლო და ნაპირისაკენ გამოსწია, რის ვაი-ვაგლახით რიყეზე გამოიყვანა, შარვალი ჩაიცვა და ცხვრის გარშემო სირბილს მოჰყვა გასახურებლად. ცხვარს მოშიებოდა, ერთი-ორჯერ ღონივრად შეიბერტყა. იქვე ნაპირზე ბალახს წასწვდა და მადიანად დაუწყო ყო. გიოს გაეცინა.

ამ დროს თოკით ხელში მირიანმაც მიიბრინა.

— იქ რომ აღარ დამხვდით, შევშინდი, — ქოშინით ყვებოდა ბიჭუნა. — მაგრამ მერე მივხვდი, ცხვარს მდინარე გაიტაცებდა-მეთქი, და აქეთ გამოვიქეცი. კარგად გიმარჯვია, ბიჭო, ყოჩაღ! მე იქნებ ვერც მომეხერხებინა!

— მოახერხებდი! — დიდსულოვნად უთხრა გიომ. — ისეთი რა მოხდა!

მირიანი ცხვართან მივიდა, ჩაკუცქდა და დაკვირვებით შეათვალიერა.

— კი, ნამდვილად ჩვენია. აი, ის ნომერიც, იმ დღეს ძია კობამ ცხვრები რომ დანომრა, ხომ გახსოვს? აბა, დახედე: ხუთას ჩვიდმეტი აწერია.

გიომაც დახედა.

— ახლა რა ვუყოთ ამ ცხვარსა, პა? — იკითხა მირიანმა.

— კოლმეურნეობას რომ ჩავაბაროთ?

— არა, კოლმეურნეობაში დაკლავენ და დამზადებას ჩააბარებენ.

ბიჭები ჩაფიქრდნენ.

— მოდი, იცი, რა ვქნათ, მირიან? — თქვა გიომ. — ავდგეთ და ჩვენ მოვუაროთ შემოდგომამდე. ვითომ რა, ვერ მოახერხებთ? როცა ფარა მთიდან დაბრუნდება, ჩუმად შევეუროთ შიგა. აი, მაშინ ნახე ჩვენი მეცხვარეების გაკვირება. ეს ცხვარი ხომ დაკარგული ჰგონიათ, როცა დაბრუნდებიან და აღწერენ, ეს დაკარგული ცხვარი სასწაულივით მოევიწინებათ. ა, რას იტყვი, ცუდი აზრია?

მირიანმა ტაში შემოჰკრა:



— ცუდი კი არა, მშვენიერია! ნამდვილი ჭკუის კოლოფი ხარ! ოღონდ, — ხმას დაუწია, ვითომ ვინმეს შეეძლო გაგონება, — ეს საიდუმლოდ უნდა შევიინახოთ, თორემ ისე რა ინტერესი ექნება! შევთანხმდეთ?

— მოიტა ხელი!
ბიჭებმა ხელი ხელს დაჰკრეს.
— კარგი, მაგრამ სად დავმალოთ, რომ არავინ შეამჩნიოს? — კეფა მოიქექა მირიანმა.

— ეგ რა ძნელი საქმეა! — ხელი აიქნია გიომ. — აი, იმ განაპირა ბაკში ერთ ადგილს მივუჩენთ, უკანა ჭიშკარიდან გავიყვანთ ხოლმე და ტყისპირა ფერდობზე ვაძოვებთ.

— ჰო, მაგრამ ფარეხში ბერდია პაპა რომ დაიარება თევრასთან?

— ეგეც არაფერი! ბერდია პაპას დღეში ორჯერ ამოაქვს სალაფავი, თანაც ყოველთვის ერთსა და იმავე დროს მოდის. იმ დროს ცხვარი დამალული გვეყოლება. ან კიდევ, იცი, რა შეიძლება? მოდი, ბერდია პაპას შევთავაზოთ, თვითონ სალაფავი გაამზადოს, ატანით კი ჩვენ ავუტანთ ხოლმე თევრას. ვითომ უარს გვეტყვის?

მირიანს გიომ ახრი მოეწონა.
ბიჭები მდინარის პირს ჩაჰყენენ და ცხვარი ისე ჩაიყვანეს ფარეხში, გზად ძე ხორციელს არ შეუნიშნავს. ბატკნების ბაკში ერთი ადგილი მოუსუფთავეს, ბალახიც დაუყარეს და ფარეხის ჭიშკარი გამოიხურეს.

— ხვალ დილით ადრე გამომიარე, სკოლაში წასვლამდე უნდა მოვამძოვოთ და წყალი დავალეგინოთ, ხომ იცი? — გააფრთხილა გიომ მეგობარი და თავისი ეზოს ჭიშკარი შეაღო.
მირიანმა თავი დაუქნია.

მეორე დღეს ცხვარს ალიონზე ააკითხეს. გამოიყვანეს, მოაძოვეს, წყალი დაალეგინეს, ისევ ბაკში შეამწყვდიეს და ტირიფის ნორჩი ყლორტებით მოამარაგეს.

გაკვეთილებს შორის, შესვენებებზე ბიჭები შეთქმულებით ცალკე დადიოდნენ, ჩვეულებრივ არ ცელქობდნენ. ერთმა-ორმა ამ უცნაური დაბრძენების მიზეზი ჰკითხა, მაგრამ ვიო და მირიანი ფიცვერცხლნაჭამივით მეგობრობდნენ და საიდუმლოს შენახვაც კარგად იცოდნენ.

გაკვეთილების შემდეგ შორიდან მოუარეს და ღობე-ღობე, ბილიკ-ბილიკ მივიდნენ ფარეხამდე. ისევ უკანა ჭიშკრით შეიპარნენ, ბაკს შემოუარეს და გულს შემოეყარათ: ბერდია პაპა ეზოში წინ და უკან დადიოდა, რაღაც ნაბიჯით ზომავდა და თავისთვის ბუტბუტებდა.

— აუ, ბიჭო, ხომ არ უნახავს ნეტა, ჰა? — ჩაიხურჩულა გიომ.

— რაღაც არ ეტყობა. — დააიმედა მირიანმა. — წამო, მივიდეთ.

ის იყო, მოხუცმაც შენიშნა ბავშვები. შუბლი მოიჩრდილა.

— აქ რას აკეთებთ, შვილებო? — გაიკვირა.

— ისე ამოვიარეთ, — მიუგო მირიანმა. — გაკვეთილები გავვიცდა...

— რას ათვალეირებ, პაპავ? — ჰკითხა გიომ.

— რასა, შვილო და. კოლმეურნეობამ ამ ბაკების შეკეთება გადაწყვიტა. თულომ მითხრა, ერთი მიდი, შეხედ-შემოხედე, ძველი რა შევაკეთოთ, ახალი რა ავაგოთო. ბარემ მერეც ყური უგდე, დურგლებმა გულიანათ იმუშაონო. ჰოდა, აპა, მეც ვათვალეირებ, ვზომავ და ვწონი ჩემებურადა.

— მერე, როდის უნდა დაიწყონ. პაპავ? — მღელვარებისაგან ხმა ჩაეხრინწა მირიანს.

— რაც ადრე დავიწყებთ, უფრო კარგია. აქ ცოტა სა-

ქმე კი არ არის გასაკეთებელი. აი, თედოს მოველაპარაკებო და ვნახოთ.

პაპა ბერდიამ თევრას თავზე ხელი გადაუსვა, სალაფავიმოსვლეპილი ქვაბი აიღო და წავიდა.

— ახლა რაღა ვქნათ, მირო? — იმედგადაწურულივით იკითხა გიომ.

მირიანი ერთხანს შუბლშეჭმუხნული იდგა და ფიქრობდა.

— რა და, სოფლის ბოლოს რომ მიგდებული საბძელია, იქ დავმალოთ! — თქვა ბოლოს.

თქმა იყო და მაშინვე წავიდნენ საბძლის დასათვალიერებლად. ძველი შენობა სანახევროდ სავსე იყო შარშანწინდელი ჩალითა და ნემოთი. მეგობრებმა საბძლის ერთი კუთხე გულმოდგინედ გამოასუფთავეს, ის კუთხე ფიცრებით გადალობეს, ცხვარი უჩუმრად გამოლაღეს, საბძელში შეიყვანეს, ფარეხიდან წამოდებული ბალახიც დაუყარეს და წყალიც დაუდგეს. მეორე დილით კი გაიყვანეს და ერთხანს ტყის პირას აძოვებდნენ.

სწორედ ერთი კვირის თავზე მთიდან ბეჟანა ჩამობრუნდა. ორი დღით ჩამოსულყო, რაღაც საქმეები ჰქონოდა. ბიჭებმა გაკვეთილების შემდეგ კოლმეურნეობის კანტორასთან რომ ჩაიარეს, ბეჟანა კიბის საფეხურზე იჯდა და ეტყობა მთის ამბებს ყვებოდა. სწორედ ამ დროს დაინახა მეგობრები.

— ვაჰ, თქვენა, ბიჭებო? რასა იქთ, ქლიბის სალესავს აღარ ეზიდებით? — იკითხა თვალმოხუჭულმა.

იქვე მდგარმა პაპა ბერდიამ თითი დაუქნია:
— შენ ნუ ლაზღანდარობ, ჯობს, ისა თქვა, როგორ ახვედით?

— კარგად, ბერდია პაპავ, კარგად. გზაზე ისეთი ამინდები დაიჭირა, კაცი უკეთესს ვერ ინატრებდა. მარტო ეგ არის, ერთი ჭედლია დაკვარვით გზაში: სადღაც თუ შეჩაჩა.

— *ეგ არაფერი, შვილო, ერთი ჭედლია რა ბედენა: სხვაფრივ იმარჯვით თქვენა, თორემ ერთი?... შე კაი კაცო... — გააგრძელა პაპა ბერდიამ.

მირიანმა და გიომ ერთმანეთს გადახედეს და ჩაეღიმათ.

— ბეჟანას არც დაეისზმრება, ის ჭედლია ცოცხალი რომ არის და ბატონივით ვაპატივებთ. — გაიცინა გიომ, როცა კანტორას გასცდნენ. — ნეტა რას იტყვის, რომ იცოდეს?

— რაც უნდა, ისა თქვას. — ხელი ჩაიქნია მირიანმა. — დაე, დაკარგული ეგონოთ, აი, როცა შემოდგომაზე ფარეხში ნახავენ, მაშინ იკითხე შენ თვალის სერიო!...

მეგობრებმა ხელი გადახვიეს ერთმანეთს და დაღმართი კუხტრუმით ჩაიბრინეს.

საზაფხულო არდადეგები დადგა. მირიანი და გიომ წარჩინებით გადავიდნენ მეხუთე კლასში და მშობლების გული გაახარეს. ახლა ბიჭებს დრო თავზე საყრელად ჰქონდათ, მაგრამ მალე ისევ ცუდად შებრუნდა საქმე: მშობლებმა, თითქოს პირი შეჰკრესო, გადაწყვიტეს გიოს და მირიანის ქალაქში, ნათესაებთან გაგზავნა. ეგონათ, ბიჭებს გავასარებთო, პირიქით კი გამოვიდა.

— ახლა კი წახდა საქმე! — ყურები ჩამოყარა გიომ.

— მართლაც. — შეფიქრებდა მირიანი. — მე მგონი, სხვა გზა აღარ არის, ისევ პაპა ბერდიას უნდა გავანდოთ ჩვენი საიდუმლო. ის თუ მიგვიხედავს.

გიომ ხელები გაასავსავა:

— არა, მირო, რას ამბობ! ეგ რალა გამოვა, ჩვენს საქმეს მთელი მარლიო დაეკარგება... დაიცა, დრო გვაქვს. რამე მოვიფიქროთ.

— რა მოუვიდა ამ ბაღს? სხვა დროს, როგორც კი არა დეგები დაიწყებოდა, გული შეჭმული მქონდა. ქალაქში გამიშვიო! — უკვირდა მირიანის დედას.

— შენც თავი დაანებე, თუ არ უნდა. ძალას ნუ დაატან, იყოს სოფელში, თვალწინ გვეყოლება! — მხარი დაუჭირა შვილს მამამ.

გიოს კი არ გაუვიდა ხვეწნა-მუდარა. მაინც გააგზავნეს ქალაქში.

სამაგიეროდ, მირიანმა აქ ასი თვალი, ყური და ხელი გამოიბა. წელზე ფეხს იდგამდა და ყველაფერს ასწრებდა — დედ-მამასაც ეხმარებოდა, წიგნსაც კითხულობდა, ცხვარს ზომ არაფერს აკლებდა. სადაც უნდა ყოფილიყო — მდინარეზე საბანაოდ, გახურებული ლახტის თუ ფეხბურთის თამაშში, სულ ერთია, ცხვარს ჭამის ან წყლის დაღვეის დრო რომ მოუვიდოდა, თავჭედმოგლეჯილი გარბოდა საბილისაკენ, ბიჭებთან კიდევ ხან რას მოიგონებდა და ხან რას.

ერთ საღამოს, ცხვარი რომ დააბინავა და სახლში დაბრუნდა, დედამ წერილი გაუწოდა.

— აჰა, დაიჭი, გიოს გამოუგზავნია თბილისიდან, არც კი დაბიხედავს. ბიძაშენისა იყო მეგონა და გავხსენი.

მირიანს გული შეუქანდა. ვაითუ გიო ცხვარზე რამეს მწერს და დედაჩემმა ჩვენი საიდუმლო გაიგოო. მაგრამ დედას სახეზე ვკარაფერი შეატყო და დამშვიდდა. წერილი გაშალა. გიო სულ ორიოდვე წინადადებას სწერდა:

საღამი, ძმაო მირიან!

როგორა ხარ? როგორ არის ც- - - ი? აბა, შენ იცი მალე ჩამოვალ. მომიკითხე თქვენები.

შენი გიო.

— ეს ც- - - ი რალას ნიშნავს? — შეეკითხა დედა მირიანს.

მირიანს სული შეეგუბა. ხველა აიტეხა, ვითომ სასულეში ნერწყვი გადამცდაო. მაგრამ მალე მოისაზრა და დედას უპასუხა:

აგვისტოს შუა რიცხვებში გიო ქალაქიდან დაბრუნდა. ცხვრის ნახვამ გაახარა: ვასუქებულიყო, დამსხვილებულიყო. გაზრდილიყო: მატყლი ისე გაზრდოდა, ლამის მიწაზე მიეთრეოდა.

გიო და მირიანი ისე დაჰკანკალებდნენ ცხვარს თავზე, იმდენ დროსა და შრომას ახარჯავდნენ, ბოლო ხანს საერთოდ დაევიწყდათ. ამ ქვეყნად თევრა რომ არსებობდა.

— აუ, ხალხი ვართ ახლა ჩვენ? — სინანულით გადააქნია



— არაფერი, დედი, გიო რომ მიდიოდა, ბურთს ვთამაშობდით, მე კარში ვიდექი, ოლიერად დარტყმული ბურთი სახეში მომხვდა და ცხვირიდან სისხლი წამსკდა. იმაზე მეკითხება, ცხვირი როგორა გაქვსო.

— ჰოო! — ხმადაბლა თქვა დედამ და შვილის ცხვირი ეჭვიანი მზერით შეათვალიერა.

თავი გიომ. — რამდენი ხანია თევრა არ გვინახავს: ვინ იცის, რა დღეშია?

— რა დღეში უნდა იყოს? — მხრები აიჩეჩა მირიანმა. — ბერდია პაპა იმას არ მოაშიებს, ყოველდღე არ ადის ხოლმე ფარეხში?



— კი, მაგრამ, — არ იშლიდა გიო, — ხომ შეიძლება, პაპა ბერდია ავად გამხდარიყო?

მირიანი შეფიქრებდა:

— ეს კი აზრად არ მომსვლია. მოდი, ახლავე წავიდეთ. ავეისტოს დილა იყო, ღამით უხვად მოსული ნამი ჯერ კიდევ ვერ აეშრო ახალგაზრდა მზეს. მზის გულზე უკვე იგრძნობოდა მოახლოებული შუადღის ხვატი, ჩრდილში კი, ერთი-ორი წუთით რომ შეჩერებულიყავი, ნესტიანი სიგრილე კბილებს აგაკაწკაწებინებდა. ბიჭები ტყე-ტყე მიდიოდნენ, დაჩრდილულ ბილიკს მისდევდნენ, ამიტომ გვარიანად შესცივდათ და ფარების უკანა ჭიშკარი რომ შეაღეს და მზვარეში გავიდნენ, მხრებში გაიშალნენ და თბილი ჰაერი სიამოვნებით ჩაისუნთქეს. ის იყო, ბაყებს შემოუარეს, რომ მაშინვე დაინახეს თუთის ძირას ჩამუხლული ბერდია პაპა. იქვე თევრა იწვა. ძალი კანკალებდა, ჯერ თავი შეუკრთებოდა, მერე ცახცახის ტალღა სწრაფად გადაუვლიდა თავიდან ფეხებამდე. თვალები ღია ჰქონდა, სველი, თითქოს ცრემლით სავსე, და მზერამოუშორებლად შეჰყურებდა პაპა ბერდიას. მოხუცმა შუბლზე ხელი დაადო, ყვრიმალეები მოუსრისა.

— თევრა, შე საცოდავო — ჩაიხურჩულა.

თევრას თვალებიდან ორი წვეთი ცრემლი გადმოუვარდა, ბალახებს დაეცა და ნამივით შერჩა ზედ. ისევე თავიდან ფეხებამდე დაუარა ცახცახის ტალღამ. მუცელზე გადმობრუნდა, თითქოს წამოდგომა სცადა, მაგრამ ძალამ უმტყუნა და ახლა მეორე გვერდზე გადავარდა. იქით კავკასიონის თოვლიანი ქედი ჩანდა. თევრა ერთხელაც შეთრთოლდა და იმ თოვლიან მწვერვლებს მიაცივა მზერა.

— წავიდა, — თავის ქნევითა და ბებრული ჩიფჩიფით თქვა პაპა ბერდიამ. — იყო, იცხოვრა, იშრომა და წავიდა... ეჰ!.. — ძლივ-ძლივობით წამოდგა, მუხლზე შარვალის არ გაუბერტყავს, შებრუნდა და მთავარი ჭიშკრისკენ წალასლასდა. ჭიშკართან შეჩერდა, მოიხედა, ბიჭებისთვის რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, ხელი ჩაიქნია და წავიდა.

გიომ და მირიანმა თევრა ფარების გვერდით, ნეკერჩხლის ჩეროში დამარხეს და კარგახანს უხმოდ ისხდნენ საფლავის ბორცვთან.

დადგა პირველი სექტემბერიც. სოფელი დიდი არ იყო, მანქანებიც ქალაქივით ყოველ წამს როდი დაჭირითობდნენ შუკებსა და თემშარაზე და სკოლის ზარის წკრიალი მთელმა სოფელმა გაიგონა, გაიგონა და დიდსა და პატარას ნათელი ღიმილი გადაეფინა სახეზე.

გიოსა და მირიანს ისევე ხშირ-ხშირად გაჰყავდათ ცხვარი საძოვრად. გაკვეთილების შემდეგ შინ შეირბენდნენ, ცხვარს უჩუმრად ტყისპირა მინდორში გაიყვანდნენ, თვითონ კი ჩრდილს თავს შეაფარებდნენ და სახვალთ გაკვეთილებს ამზადებდნენ. ცხვარი ისე შეეჩვია ბიჭებს, რომ თუ ძოვდა, მათ ახლოს ძოვდა, შორს არ მიდიოდა, ხოლო როცა ბიჭები წიგნისაგან დაიღლებოდნენ და ბალახზე გაგორდებოდნენ, რქებით ერჩოლებოდა ხოლმე. იყო ერთი კოტრიალი და სიცოცხლე-ხარხარი.

ერთხელაც სკოლის პიონერხელმძღვანელმა შემოუღო კარი ელენე მასწავლებელს, ბოდიში მოიხადა და ბავშვებს გამოუცხადა, ხვალ, გაკვეთილების შემდეგ, დარჩებით, ჩვენს მეცხვარეებს შეხვედრა უნდა მოუწყობო.

მეორე დღეს გიო და მირიანი ბოლო ორი გაკვეთილიდან დაეთხოვნენ კლასის ხელმძღვანელს, საბძელთან აირბინეს, ცხვარს თოკი ჩააპეს და აუყვნენ ტყის ბილიკს, იქით, საიდანაც კოლმეურნიობის ფარას უნდა ჩამოეყო.

— ნამეხარ წაბლ-თან უნდა ავას-წროთ, — სირბილში

სულს ძლივს იბრუნებდა მირიანი. — ბორცვის ძირას ერთი ნაღვარევი, სულ ბუჩქებით დაფარული მწველი ჩავიძლო.

— ვიცი, კარ-გი აღ-გილია, — ქოშინებდა გიოც.

იმ ბორცვთან მთის გზა მარცხნივ უხვევდა და თვალს ეფარებოდა. ნაღვარევი ზევით ციკაბო და ღრმა იყო, მერე კი თანდათან დაბლდებოდა და შეუმჩნევლად უერთდებოდა გზას. ხშირი ბუჩქნარიც ხელს უწყობდა ბიჭების ჩანაფიქრის შესრულებას. მთავარი იყო, მეცხვარეებს არ შეენიშნათ ჩასაფრებული ბავშვები, ძაღლებისა კი არ ეფიქრებოდათ, ისინი ისე ჰყავდათ გაშინაურებული, ხმასაც არ გასციემდნენ.

ის იყო, ბიჭები ნაღვარევის ბუჩქნარში მოკალათდნენ. რომ ზევიდან სტვენისა და შეძახილების ხმა გაიგონეს. გიომ და მირიანმა ღიმილით გადახედეს ერთმანეთს და ცხვარს მატყლში უფრო მაგრად ჩაავლეს ხელი. ცოტაც და, გზაზე ბაყი-ბუკი და ჭივილის ჩხრიალი გაისმა. აგერ, წინმომავალი ბეჟანა გამოჩნდა მწვანე ფერდობის იქით, სტვენა-სტვენითა და კომბლის ქნევით ჩაიარა. გვერდით ენაგადმოგდებული კეება ძაღლი მიჰყვებოდა.

— აბა, ჰე, დროა! — ჩაუჩურჩულა მირიანმა გიოს, ცხვარს პირი ქვევით უყვეს და ჯიკავ-ჯიკავით წინ გაიგდეს. ცხვარი გაჩუტდა. მაგრამ მერე, როგორც ჩანს, იცნო თანამოდმეები, ხმადაბლა დაიბლაჟა, ბუჩქნარში მარად გაძვრა და ფარას შეერია.

შეხვედრის ცერემონიალი რომ დამთავრდა, გიო და მირიანი შინ არ წასულან. ან კი რა გულით წაიღოდნენ: მთავარი ამბავი წინ ელოდათ, უნდა ენახათ, როდის შენიშნავდნენ მეცხვარეები ვითომდა დაკარგული ცხვრის სასწაულებრივ გამოჩენას. აკი ბიჭებს მთელი ზაფხული ამის მოლოდინში ელოდათ სული.

ეფექტი კი მართლაც ძლიერი გამოდგა:

ბეჟანა ფარების ეზოში იდგა, ჭიშკართან და შემოსულ ცხვარს ითვლიდა. ცოტა მოშორებით გიო და მირიანი იდგნენ. ძია ბერდია და ვიგი გარედან აწესრიგებდნენ ფარის შემოსვლას, თვალს ადევნებდნენ, რომ ცხვრები ერთბაშად არ შეცვივნულიყვნენ ეზოში. ის იყო, გარეთ ათი-ოცი ცხვარი დარჩა, რომ ბერდიას გაკვირვების შეძახილი აღმოხდა და თვალეები გაუფართოვდა:

— ბეჟან! — გასძახა და ერთი მოუსვენარი ბატყანი კომბლის კაუჭით შეაჩერა. — ერთი უმაგ ცხვარს შეხედე, ავე, ჭიშკარში რომ შემოდის! როგორ დარჩენილა, კაცო, გაუკრეჭავი, ნახე, რამოდენა მატყლი ასხია!

— მოიცა, მოიცა, როგორ თუ გაუკრეჭავი! — ბეჟანამ გრძელმატყლიან ცხვარს ქეჩოში ხელი სტაცა და გაინაპირა. — მოდი აქა, ტიალო, საით მიიწევ! — ცხვარი შეათვალთვარა, ყური გადაუწია და სახე გაუნათდა: — მოდი და ნუ გადაირევი, კაცო! ძია ბერდიავე, ესეც ჩვენი ხუთსამეჩვიდმეტე, დაკარგული რომ გვეგონა! აი, სასწაული თუ გინდათ, ეს არის! ნახეთ, რა ჩასუქებულია, ან რა მატყლი აქვს, კაცო! მოიცა, შე სამგლევე, საითმეთქი!

ბეჟანას ცხვარი ხელიდან გაუსხლტა და შორიანლო მდგარი გიოსა და მირიანისაკენ გაექანა.

— დაიჭი, ბეჟან, ბავშვები არ დაამარცხოს! — დაიძახა ბერდიამ და ეზოში შევარდა.

ცხვარი კი შურდულივით მოიმართა, კამარა შეჰკრა და ჯერ გიოს დახვედრებულ ჩანთას დააჯახა შუბლი, მერე კი ხარხარით გაქცეულ მირიანს გამოეკიდა.

რის დამარცხება, რა დამარცხება! რა იცოდა ან ძია ბერდიამ, ან ბეჟანამ, რომ ცხვარს ბიჭებთან გათამაშება მონატრებოდა!

დღეს, როგორც იტალიის გარდა სხვა ქვეყანაში იხილოს ტურისტმა მეტი მშვენიერება. იტალიაში მოგზაურობის შემდეგ კიდევ დიდხანს გესიზმრება მისი განუმეორებელი ვენეცია — ზღვათა დედოფალი, განსაკუთრებით ვენეცია ღამით, როცა ნაირფერად განათებული და მორთული სასახლეები ირეკლება ჩამუჭებულ წყალში. შორს ციციანთელეზივით გაფანტული პატარ-პატარა სინათლეები მოჩანს. ეს გონდოლების ფარნებია. მხიარული და თავაზიანი გონდოლიერები ან მღერაინ, ან გამვლელთა გონდოლებით სასიერნოდ ეპატიუებიან...

დიდხანს გემახსოვრება ჭრელი და მცხუნვარე ფლორენცია თავისი ვიწრო ქუჩაბანდებით, ოქრომჭედელთა უბნებით, უმშვენიერესი „დავითით“ — მიქელანჯელოს ამ უკვდავი

დიდი ბრიტანეთის ბაჰრ საბრაფოში საერთოდ არ არის ბავშვთა ბაბაჰი და ბაღები. ზოგმა მშობელმა აი, ასეთი ბავშვთა ბაღები...



ალტამურას ტრაგედიათა ფართო რეჟონანსი მიიღო. თვითმკვლელობის ვერსია არავინ არ ირწმუნა. ფიქრობდნენ, აქ ან მათის ხელი ურევია, ან რაიმე ვენდეტასთან —

მანქანა შეშალ, 12 ლიტრა ზეთუნის ზეთად და 10 კილოგრამ მარილად. მაგრამ მიქელემ ვერ აანაზღაურა მასზე დანახარჯი — თავი მოიკლა, რადგან ვერ აიტანა დღე-ღამეში 16 საათი ხრიოკ ველზე მცხუნვარე მზის ქვეშ წაწალი, მარტოობა და ნახევრადმშვიერი ყოფნა.

მიქელეს დრამამ შეაფოთა იტალიის საზოგადოება. მისი საქმის ირგვლივ გამართული სასამართლო პროცესი პირველი იყო მას შემდეგ, რაც 1970 წელს მიღებული იქნა კანონი, რომელიც კრძალავდა 14 წელზე მცირე ასაკის ბავშვების დაქირავებას.

პატარა მწყემსის ყოფილი პატრონები დააჯარიმეს და „არასრულწლოვანთან ცუდი დამოკიდებულების გამო“, პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ მათ გაასაჩივრეს ეს განაჩენი და საქმემ მანამდე იარა ერთი სასამართლოდან მეორეში, სანამ იმათ სასარგებლოდ არ დამთავრდა, ვისაც ფული ჰქონდა.

„მოკლემშარვლიანთა ბაზარი“ კი ძველებურად მოქმედებს — იტალიის სამხრეთში ბავშვებს ჰყიდდნენ, ჰყიდიან და გაყიდიან კიდევ მწყემსებთან. ამ აზრისა არიან მშობლებიც, რომლებსაც უკიდურესი გაჭირვების გამო ღვთისმშობლის მიძინების დღეს ყოველწლიურად ბაზარში მიჰყავთ თავიანთი შვილები.

ალტამურას მოსახლეობას კი პირში წყალი აქვს ჩაგუბებული, თითქოს მღუმარების ალტჰმა აქვს მიცემული და ვერ აპროტესტებს ბავშვების ასეთ ექსპლოატაციას.

— რატომ? — იკითხავთ თქვენ. იმიტომ, რომ უფროსებს ძალიან უჭირთ სამუშაოს შოვნა და ეს პატარა მწყემსი ბიჭუნები არჩენენ ოჯახს. უბედურებაც რომ შემოხ-

«მოკლემშარვლიანთა ბაზარი»

საიღუაღოებს

ქანდაკებისათვის საციალური შენობა აგებული.

მარადიული ქალაქი — რომი, მისი იგავიუწვდომელი სილამაზის შადრევნები და ქანდაკებები, მისი ქუჩები და მოედნები — ხმამაღლა მოლაპარაკე ტემპერამენტისანი იტალიელები...

ცნობილი სიქსტის კედელი ვატიკანში...

ყოველივე ეს ტურისტთა სუვენირებად გათვალისწინებულ ლამაზია ბარათებზეც თვალისმომჭრელად არის გადაღებული. მაგრამ ეს ერთია, ეს ის არის, რასაც „თვალში საცემად“ გვაწვდის იტალია.

არის სხვა, მეორე იტალია — შემადრწუნებელი თავისი უღმობლობით, სილატაკით, ბავშვობაწართმეული მოზარდებით, შიმშილით, თვითმკვლელობით.

ალტამურა. ასე ჰქვია პატარა პროვინციულ ქალაქს, რომელიც აპენინების ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს.

ალტამურას სახელი მხოლოდ მას შემდეგ გახმაურდა, როცა აქაურმა 14 წლის მწყემსმა ბიჭმა მიქელე კოლონამ, რომელმაც სამი წელი მართოდ-მართოდ დაჰყო ცხვარში, თავი მოიკლა.

შურისძიებასთან გვაქვს საქმეო. ელოდნენ ძიებას.

ძიებამ, მართლაც, საინტერესო ამბები გახსნა, მაგრამ სრულიად სხვა ხასიათისა: XX საუკუნის მიწურულში იტალიის სამხრეთში აღმოაჩინეს, მართალია, ფართული, მაგრამ მშვენივრად ორგანიზებული მონებით ვაჭრობის სისტემა. — თურმე მონებად იყიდებიან ღარიბი მოქალაქეებისა და გლეხთა შვილები.

„მოკლემშარვლიანთა ბაზარში“ ყოველგვარი გარიგება ღვთისმშობლის მიძინების დღეს, ქალაქის კათედრალურ მოედანზე ხდება. მრავალშვილიან, გაჭირვებულ მშობლებს აქ თავიანთი შვილები მოჰყავთ. მყიდველები — შეძლებული მიწათმფლობელები და მეჯოგეები ბავშვს გულდასმით სინჯავენ და ამის შემდეგ მშობლებს ურიგდებიან. ბავშვის ფასი ერთობ მცირეა.

პირველად მიქელე 40 ათას ლირად გაყიდეს თურმე. ეს ძალიან მცირე თანხაა, ამას გარდა, მისმა მშობლებმა კიდევ რვა კილოგრამი ყველი მიიღეს. 2 წლის მერე კი მიქელე, როგორც გამოცდილი მუშაკი, უფრო ძვირად დააფასეს — 125 ათას ლირად, ათ კილოგრამ ყველად, ერთ

ვეთ, მშობლები ხმას არ ამოიღებენ, თორემ მიწათმფლობელი აღარასოდეს არ აიყვანს ამ ოჯახის ბავშვს სამუშაოდ, ეს კი მთელ ოჯახს შიმშილით ემუქრება.

სწორედ ასე მოიქცნენ დომენიკო დი პაოლოს მშობლებიც, რომლებმაც შვილი მდიდარ მიწათმფლობელს მიჰყიდეს. როგორ მიდიოდა პატარა მწყემსის ღვებები მონობაში? მზის ამოსვლიდან გვიან ღამემდე, სიცხეში, ქარსა და ავდარში, ყინვასა და ქარიშხალში ქანცის გამწყვეტი შრომა. საღამოს ცხვრის წველა და დაბინავება. და მხოლოდ ოთხი-ხუთი საათით მივლდება თვითნაკეთ თივის საწოლზე.

მარტოობა, ჭკუიდან შემშლელი მარტოობა.

თვეში ერთხელ ეს მდგომარეობა იცვლებოდა — პატრონი ნებას რთავდა ბიჭს მშობლები მოენახულებინა და ტანსაცმელი გამოეცვალა. ეს დღე დომენიკოსათვის ღვებსაწაულად ითვლებოდა არა იმიტომ, რომ მობეზრებული ცხვრის რძის მაგიერ ცხელ შეჭამანდს ჭამდა, არამედ იმიტომ, რომ ღვებ-მამას და ღვებ-მამას ნა-

ბდა გამოსავალს. გამოსავალი კი არ ჩანდა. ცხვარი რომ მიეტოვებინა, ღვებ-მამასა და ათ ღვებ-მამას ვინდა არჩენდა? კარგი იქნებოდა ალტამურაში რომელიმე პატარა ტრატორიაში ოფიცინტად დადგომა, მაგრამ ვინ აიყვანდა ოფიცინტად ცხვარში გავლურებულ, წერა-კითხვის უცოდინარ ბიჭს?

დომენიკომ მაინც მოძებნა გამოსავალი. თუმცა კი დიდხანს ეძია, მაგრამ როცა მიაგნო, უკან აღარ დაუხევია. მოფიქრების დრო ბევრი ჰქონდა. ყველაფერი წინდაწინ გაიზარა და მოაშადა.

აღრვევ მომარაგებული მაგარი მავთული ყელზე შემოივლო და ზეთისხილის მაღალ ხეზე ავიდა. მავთულის თავისუფალი ბოლო მსხვილ ტოტზე გამოაბა და...

კარგა ხანს ვერც იპოვეს. ხოლო, როცა გვამი ნახეს, პოლიციაში არ განუცხადებიათ. სინიორ და სენიორა დი პაოლებს კიდევ ათი შვილი ჰყავდათ. ეს ამბავი რომ გახმაურებულიყო, მათ დანარჩენ შვილებს აღარასოდეს არ ეღირსებოდათ სამუშაო.

მშობლებს, ბებებსა და პაპებს, დამბებს. ამ გარემოებას მარჯვედ იყენებენ საწარმოთა პატრონები. მშობლებსა და შვილებს შორის არაა მათ შეგნებულად აშკარად გამოყოფილი მათ მშობლებს; ეს ხელსაყრელია — ბავშვებს ისინი ათქერ ნაკლებ გასამარჯელოს უხდიან.

მოზარდები, რომლებიც ღვებში 10 საათს მუშაობენ მძიმე პირობებში, 30 ლირას იღებენ. ამ ფულით კინოს 20 ბილეთის ყიდვა შეიძლება.

მე თვითონ ვნახე რა აუტანელ პირობებში მუშაობდნენ 13-14 წლის ბიჭები ვენეციის განთქმული შუშისა და ბროლის ქარხანაში. ჩვენს გამოჩენაზე ისინი დასამალად გაიქცნენ, რადგან ინსპექცია ვეგონეთ. ინსპექცია კი ოფიციალურად კრძალავს მცირეწლოვანების მუშაობას მანვან საამქროებში. თუ ინსპექციამ დაგინახა, აიკარი გულა-ნაბადი!

მშობლები კი ინსპექციას უყვირიან:

— თქვენთვის ადვილია კანონის დამცველებად თავის წარმოჩენა, რა გიჭირთ, თბილი ადგილი გაქვთ განადღებულნი. ჩვენ კი! ჩვენ რა ვქნათ!

უმშვენიერესი ქალაქი ნეაპოლი ბავშვთა არალეგალური შრომის მოცულობის მიხედვით პირველ ადგილზეა იტალიაში. ანტონიო ვალდარელიც ნეაპოლელი იყო. მშობლებმა სკოლა მიატოვებინეს მას და პატარა მალაზიაში გაამწყესეს, რომელიც დაკრძალვისათვის საჭირო ნივთებით ვაჭრობდა.


ერთხელ, როცა პატრონმა მარმარილოს საფლავის ქვები მიიღო, დროს მოგების მიზნით ანტონიოს უბრძანა თითო ფილის მაგიერ სამსამი ჩამოეტვირთა მანქანიდან.

ტროსმა დატვირთვას ვერ გაუძლო, გაწყდა და ანტონიო ქვეშ მოიყოლა...

გაჭირვება აჩლუნგებს შიშს.

ნეაპოლში, ქრონიკული უმუშევრობის ქალაქში უფროსები მწარედ ხუმრობენ: — ბავშვები რომ არ აშკარად სამუშაოდ, სამუშაო არა მარტო ყველა ზრდადასრულებული ნეაპოლისათვის მოიძებნებოდა, არამედ სხვა ქალაქებიდან ჩამოსულებისათვისაცო.

მაგრამ იაფი ბავშვური ხელები კვლავ მომგებიან საქონლად რჩება კაპიტალისტურ ბაზარზე. მშობლებს ისლა დარჩენიათ, გულისტკივილით უტყვირონ, როგორ თანდათან კვდება მათ ბავშვებში ბავშვობა.



ეს გრაზილიელი ბიჭუნავი უკვალდა უორიდან ეზიდებინა წყალს. თაბარა სიცხეში უსაშველოდ გრძელდება გზა.

ხულობდა. რამდენ რამეს იგებდა ამ ერთ ღვებში! ტოლებთან თამაშობდა. ეს მთელი ცხოვრება იყო. 12 ასეთი დღე წელიწადში და ერთიც მისი „მფარველი წმინდანის“ დღე — ადამიანური ცხოვრების სულ 13 დღე.

ყოველი ჩამოსვლის შემდეგ დომენიკოსათვის სულ უფრო და უფრო მძიმე იყო ცხვარში — გულისწამლებ მარტოობაში დაბრუნება. საწყალი ბიჭი განუწყვეტლივ ფიქრობდა, ეძე-

სასამართლოში საქმის აღძვრას არამც თუ აზრი არ ჰქონდა, პირიქით, ეს საშიშიც კი იყო. უკიდურესი სიღატაკე პატარა მონების მშობლებს და მათი შვილების დამპირაველებს თითქმის თანამზარაველებად აქცევს.

ქვეყანაში 2 მილიონი უმუშევარია.

ხოლო ნახევარი მილიონი 8-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვი არჩენს

ნარბიზა მგელაძე



ნორა კორუნიანი **№ 6**

აისი
ბავშვთა
ჟურნალი

ამ წერილს მთის ერთი პატარა სოფლიდან გწერთ. ძალიან მინდა თქვენთან სიახლოვე, საქმიანი ურთიერთობის დამყარება. ვიცი, რომ საქართველოს ყველა კუთხიდან ღებულობთ პიონერთა წერილებს, მე ყოველთვის ვკითხულობ მათ და დიდ სიხარულს განვიცდი, სიამაყის გრძნობით ვივსებ, როცა ქართველ პიონერთა სასახელო საქმიანობას ვეცნობი.

ვკითხულობ და ვფიქრობ: ბევრი რამ კეთდება, მაგრამ ხომ შეიძლება უფრო მეტის გაკეთება? ვფიქრობ, შეიძლება.

ჩვენი რაზმი ოლეგ კოშევიის სახელობისაა, მასში გაერთიანებულია 17 პიონერი. დაყოფილი ვართ ორ რგოლად, არა გვყავს არც ერთი ოროსანი. თუ ვინმე რამეს დააშავებს ან სწავლაში ჩამორჩება, ვაძლევთ მითითებას, ვეხმარებით. ჩვენს პიონერხელმძღვანელთან ქ. ნამგალაურთან ერთად ვაწყობთ საღამოებს „აბა, გოგონებო!“, რგოლები ერთმანეთს ვეჯიბრებით სწავლაში, დისციპლინაში, სპორტულ თამაშობებში. შაბათობით ვრჩებით კლასში, ვაუფთავებთ საკლასო ოთახს; თემურელები ვეხმარებით მოხუცებს: ვაწყობთ საუბრებს: „პიონერის ბიოგრაფია“, „ჩვენი ტოლები დიდ სამამულო ომში“. ხშირად ვატარებთ შეკრებებს თემაზე: „როგორ ვამზა-

დებ გაკვეთილს“, „როგორ გავხდეთ სანიმუშონი“...

კლასში მკაცრად ვიცავთ დისციპლინას. ხშირად ვაწყობთ შეხვედრებს სხვა რაზმის წევრებთან.

გვძულს სიზარმაცე. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი დევიზია: „არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით“.

ვიცი, რომ ყველაფერი ეს სულაც არ არის საკმარისი, რომ კიდევ უფრო მეტის გაკეთება შეგვიძლია.

როდესაც ვიხსენებ პიონერების შემართებას წარსულის ქარიშხლიან დღეებში, გული სიამაყით მევსება და ხალისი მემატება — უფრო უკეთ მუშაობის ხალისი.

მწამს, კვლავაც მოწინავეთა რიგებში იქნება ჩვენი რაზმი.

მანანა ჯუხარაშვილი,
დუშეთის რაიონის ლაფანანთქარის
საშუალო სკოლის VI კლასი.

**ჯავახულის
დილა**

ფრთაფარფატა, ანცი სიო
გაღუქროლებს ველებს,
ნაკადული ყელყარყარა
ვარდებს აამღერებს.

მოთქრიალებს, მოშხაპუნებს
კლდიდან ჩანჩქერები...

და მე ამ დროს ყოველივეს
გულში ვეფერები.

ნუპარი ნაღარბია,
ზუგდიდის მე-2 საშუალო
სკოლა, VII კლასი.

**ყველაზე
გუზია
გოგონა**

მალა, დიდ, გამჭვირვალე სასახლეში ცხოვრობს პატარა, ცისფერი გოგონა ცა. იგი ყველაზე უფრო ბუტია გოგოა. როდესაც ყველაზე ბუტია გოგო ყველაზე უფრო გაბუტულია, მაშინ იგი ღრუბლების თეთრ მოასხამში გახვეული სასახლის კიბეზე ჩამოჯდება. და მანამდე ზის ამ კიბეზე, სანამ მზე არ შეამჩნევს და მისკენ გაემართება თავისი ცეცხლოვანი ამალით, რომელმაც კარგად იცის, რომ ყველაზე ბუტია გოგო მათ მბრძანებელ მზეს ეპრანჭება.

მზის დანახვაზე ბუტია გოგო თეთრ მოსასხამს მოიხსნის და ცისფერ, პავროვან კაბაში გამოწყობილი სასწრაფოდ თავისი ბროლის ტახტრევანიკენ მიემართება.

ყველაზე ბუტია გოგო ტახტრევანზე წამოსკუბდება და მარაოს ქნევით მზეს ელოდება. იგი მოუსვენრად წრიალებს ტახტზე და ცდილობს გამოიცილოს, რა ზღაპარს მოუხვეება მას მზე.

თქვენ ალბათ, არც კი იცით, რომ მზე საუკეთესო მეზღაპრეა. ჰოდა, ეს მეზღაპრე მზე ყოველ დღე პატარა ბუტია გოგოს ახალ-ახალ ზღაპრებს უხვეება. ბუტია გოგო კი გაფართოებული თვალებით უსმენს მას.



* თბილისის ახალი დასახლება. აკაკი კახიანი, 11 წლის.

ვინ მოსთვლის, რამდენი ზღაპარი მოუყოლია მზეს ყველაზე უფრო ბუტია გოგოსათვის. ზღაპარი ჭრელ-კაბა ცისარტყელაზე, ცივ, გესლიან ვარსკვლავებზე, თავის თავზე შეყვარებულ მთებზე, თმაგაშლილ ტირიფებზე, გაბლენძილ მხატვარ ჭირხლზე, გოროზ სეტყვაზე, მტირალა დეიდა წვიმაზე და სხვა და სხვა და სხვა...

ამ ზღაპრების მოსმენისას ყველაზე ბუტია გოგოს ავიწყდება, რომ იგი ყველაზე უფრო ბუტიაა, ავიწყდება და იღიმება, იღიმება მშვენიერდება და ისეთი კამკამა თვალები უხდება, რომ მათში მზის მოყოლილ ზღაპრები აირეკლება.

ბუტია გოგოს სილამაზით გაოგნებული მზე თავს ველარ იკავებს, მხურვალედ კოცნის მას და თავისი სისუსტით გაწბილებული ზღვაში გადაეშვება.

ბუტია გოგო მორცხვად იღიმება და... წითლდება.

როდესაც მზე ავად ხდება, ბუტია გოგო შავ წამოსასხამს მოისხამს და ტირილს იწყებს, მწარედ ტირის. სანამ მზე არ მორჩება და თავისი ცეცხლოვანი ამალით კვლავ მისკენ არ გაემართება საოცარი ზღაპრების მოსაყოლად.

თუ გაინტერესებს, რა ზღაპრებს უყვება მზე ბუტია გოგოს, ხანდახან

ზევითაც აიხედე, სულ მიწას რას მიმტერებხარ, აიხედე, დააკვირდი და გამოიცანი, მზის რომელ ზღაპარზე ფიქრობს ცა!

ლიპა პარაზი,

ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ შემოქმედთა სტუდიის წევრი, მოსწავლეთა რესპუბლიკური სასწავლო შემოქმედებითი XXXV კონფერენციის მონაწილე.

რა მსურს?

რა მსურს?

მსოფლიოს თავზე სრიალებდეს მშვიდობის მტრედი.

ხალხმა აროდეს

ინყველოს ბედი!

უღრუბლო ცა იყოს,

კამკამა მუდამ,

ოქროსფერ ტბაში დაცურავდეს

უშფოთვლად გედი,

მზე აბარჩხალებდეს

სხივებს გუნდ-გუნდად!

სულ სამშვიდობოდ

ლენავდნენ კალოს,

აღამის მოდგამამ

სისხლი არ ღვაროს!

რა მსურს?

მსოფლიოს თავზე სრიალებდეს

მშვიდობის მტრედი,

კაცობრიობამ არასოდეს

ინყველოს ბედი.

სათუნა კახიანი,

დიდი ლილოს საშუალო

სკოლა, VII კლასი.



ვერცხლისფერი მთვარე სარკმელში იყურებოდა და მძინარე თამუნისას ხახეზე უხვად აფრქვევდა სხივებს.

თამუნისას დედა ექიმია, მამა კი არა ჰყავს. ბებია უვლის პატარას, საბავშვო ბაღშიც მას მიჰყავს და გამოჰყავს.

თამუნისას მეზობლად მასზე უფროსი ბიჭი ცხოვრობს. იგი ხშირად აწვალებს თამუნისას — ხან სათამაშოს წაართმევს, ხან თმაში წაეტანება. გამწარებულ გოგონას თვალები ცრემლით ევსება და ბიჭს მიაძახებს:

— აი, ნახავ, ჩამოვა ჩემი მამა! ჩამოვა და ყველაფერს ვეტყვი.

სალამობით თამუნია ბებიის გვერდით ზის და საოცარ ჯაღოსნურ ზღაპრებს ისმენს. მერე, იმ იმედით გამხნეებულ, რომ მამა მალე მოვა, რულმორეული საწოლს მიაშურებს. ხშირად ესიზმრება მამა.

ამ საღამოსაც, ჩაეძინა თუ არა, სიზმარი ნახა: გვირილებით მოჩითულ მდელოზე მამა მოაბიჯებს. თამუნია გარბის მისკენ. კაბის კალთებზე ყვავილები ელამუნებიან, პეპლები თავს დაჰფარფატებენ, ჩიტები ტკბილად დასტიკტიკებენ... მამა-შვილი ერთმანეთს ჩაეკრა. ირგვლივ ყველაფერი აცეკვდა, ამღერდა... მერე თამუნია და მამამისი ხელიხელჩაკიდებულნი შინისკენ გამოიქცნენ...

მთვარემ ერთხელ კიდევ სიყვარულით დახედა მძინარე გოგონას, რომელსაც სახე სიხარულისაგან გაბადვროდა. ძილი არ დავუფრთხოო, — იფიქრა მთვარემ, სხივები აკრიფა, სარკმელს მოსცილდა და ნელა გასცურა ცაზე.

ია ჰილაშვილი,

თბილისის 101-ე საშუალო სკოლა, VI კლასი.



ჩემი სოფელი.

მარინე ნადარეიშვილი, 12 წლის.



ახალგაზრდობას

აპა, დაიჭი, ეს დედამინა
შენ შეგიძლია მხრებით ატარო,
რადგან დიადი რწმენა გაქვს

მკერდად,
ძალგის, სამყაროც შეაზანზარო.

აპა, დაიჭი ეს დედამინა,
მის მაჯისცემას მიუგდე ყური.
შენ უმკურნალე მაშვრალის

კვნესას
და შეაშველე მართალი გული.

აპა, დაიჭი ეს დედამინა,
ახლა შენა ხარ პრომეთე მისი,
იშრომე, შეჰქმენ, აშენე, სჭედე,
მხოლოდ სიმართლის და

მშვიდობისთვის.
შენ ოლეგი ხარ, შენ —

კორჩაგინი,
შენ მსოფლიო ხარ წრფელი
გულისა.

იარე მედგრად და შემართებით,
არ დაგავინყდეს, ვისი გორის ხარ.
საუკუნეებს ხელს ჩამოართმევ,
შენში სამყაროს სული ანთია.
კომუნისტურად იარე წინ და
გზას გაგინათებს ჩვენი პარტია!

მაია ჯალიაშვილი,

ქ. ლავოდების მე-3 საშუალო სკოლა,
X კლასი, მოსწავლეთა რესპუბლიკურ-
ი სასწავლო-შემოქმედებითი XXXV
კონფერენციის მონაწილე.

ჩემი

პირველი

მასწავლებელი

ექვსი წლის ვიყავი, როდესაც
დედამ მითხრა, სკოლაში წაგიყვანო.
მაშინ ჩემს სიხარულს საზღვარი არ
ჰქონდა და ვთხოვე დედას, წინას-
წარ ეყიდა ჩემთვის სასწავლო ნივ-
თები.

მალე დადგა სანატრელი დღე —
1 სექტემბერი. დედაჩემმა შემიყვა-
ნა კლასში და მერხზე დამსვა. მეუ-
ცხოვა საკლასო ოთახი, მერხი და
გაკვირვებული ვიყურებოდი აქეთ-
იქით. ჩემს წინ, მაგიდასთან იდგა ჭა-
ლარაშერეული უცხო ქალი, — ჩე-
მი პირველი მასწავლებელი ტატიანა
ჭკადუა.

გავიდა რამდენიმე დღე. მე და ჩე-
მმა ამხანაგებმა დედა ენისა და ან-
ბანის შესწავლა დავიწყეთ. ჩვენი

მასწავლებელი ჩვენზე ზრუნავდა,
გვეფერებოდა.

ახლა მე-4 კლასის მოსწავლე ვარ.
დავშორდი ჩემს საყვარელ მასწავ-
ლებელს, მაგრამ მაინც გულით და-
მაქვს ჩემი პირველი მასწავლებლის,
პატივცემული ტატიანა ჭკადუას სა-
ხე.

დაუვიწყარი იქნება თქვენი პირვე-
ლი შეხვედრა ჩვენთან, ტატიანა მა-
სწავლებლო. თქვენი ღიმილიანი
თვალების შემოხედვა გვეუბნებოდა:
„ისწავლეთ, ბევრი იკითხეთ გამოა-
დექით სამშობლოს“.

გაივლის წლები. ჩვენს ცხოვრე-
ბაში მოხდება ბევრი ცვლილება.
ბავშვობა დამთავრდება, მაგრამ ყო-
ველთვის მეხსილება ჩემი ძვირფასი
პირველი მასწავლებელი.

ნანა თოლორაია,
სოხუმის მე-11 საშუალო სკოლა,
IV კლასი.

ზინოუსკლელას

— რად ღამდება ნეტავი
დღე, რომელიც თენდება?
ღამით რატომ ვივიწყებთ,
დღისით რაც გვახსენდება?

— საღამოს თუ ვმთავრდებით,
ყოველ დილით ვინწყებთ.
სულში უღერდეს გამირთათვის
ჰიმნი არდავიწყების.

ლალი ბარბაქაძე,
ახალციხის 1-ლი საშ. სკოლა, VIII
კლასი.

გაფხვობა

ეროვნული
ნიშნითაა

სათნობა, სინორჩე,
ნეტარება რამ შობა?
სინმინდით განბანილი
ღვთის ხანაა ბავშვობა.
წლების სეტყვამ თუ უცებ
ოცნებებს დაგაშორა,
თუ სინორჩე მოგპარა,
სიზმარია ბავშვობა.
გრძნობით, ფიქრით დალაღულს
ლექსსაც არ სურს დაშრობა,
რადგან მერე და მერე
წყურვილია ბავშვობა.

ეპსპროზები

ფოთოლთ ჩურჩული
წვიმის წკაპუნი,
ქარის ქვითინი,
ნიავე ღამუნი...
ეს გულის თრთოლვა
ჩუმი, ფარული
პოეზიაა
გადამალული.

მამას

შენს ღრმა, ყურძნისფერ თვალებს
სათვალე აფერმკრთალებს...
ღამით, თამბაქოს ნისლში
ფიქრს ვერ ენევა მთვარე...
ჩაძირვა რაღად უნდათ
შენს მოტივტივე თვალებს.
მამი, მითხარი, მამი,
შენც შეგიყვარდა ღამე?..

ია ხასანიძე,

ქ. ზუგდიდის მე-2 საშ. სკოლა, მოს-
წავლეთა რესპუბლიკური სასწავლო-
შემოქმედებითი XXXV კონფერენ-
ციის მონაწილე.



ჩვენი

პა.

გ ე ლ ა

ბ ე ქ ა ი ა,

4

წლის.

ქუთაისი,

მე-19

საბავშვო

ბაღი.



მე ფოთში ვცხოვრობ. გურიაში, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათში. ბებია და ბაბუა მყავს. ხშირად ჩაუდივარ ხოლმე მათთან.

ლამაზი და მომხიბვლელია მწვანეში ჩაფლული სოფელი ჩოჩხათი. მშვენიერია იგი წლის ყოველ დროს, მაგრამ განსაკუთრებით თვალწარმტაცია გაზაფხულზე. გული სიამოვნების გრძნობით მევეება და ლამის ცას ვეწიო, მაისის ფერადი ჩუქურთმებით შემკულ ჩოჩხათს თვალს რომ მოვაკლებ. მათრობს და ბედნიერების ცრემლსა მგერის ყვავილთა სურნელი. ამ დროს წარმტაცია ყველა კუთხე, ხე, ბორცვი, წყარო... ყურში ნანასავით ჩამესმის ჩიტუნების თავბრულამხვევი ჟღერტული და ფოთლების წყნარი ჩურჩული, მალამოსავით რომ ედება ჩემს გულს.

განსაკუთრებით უხვი და ბარაქიანია აქაური შემოდგომა. ხილით და ხუნძლული ხეები მიწისკენ იხრებიან, დაშაქრული ყურძნის მტევნები კი თითქოს უხმოზენ ადამიანებს: „მოდით, დავეკრიფეთ და პირი ჩაიტკბარუნეთ“.

ზამთარში? ზამთარშიაც დატკბებით ჩემი სოფლის ბუნების მრავალფეროვნებით. თქვენს თვალწინ გადაიშლება ჭაღარა ხეები, თეთრ, ქათქათა ნაბადში გახვეული მთვლემარე ბუნება. ნორჩები გარეთ გამოფენილან, არის ერთი სიცილ-კისკისი და მხიარული შეძახილები.

მაგრამ განა მარტო გარეგნული სილამაზე ახასიათებს ჩემს სოფელს? არა, იგი სულეერადაც მშვენიერი და მდიდარია, აქაურები საოცრად გულთბილნი და სტუმართმოყვარენი არიან. კოლმეურნეები მუხლჩაუხრელად შრომობენ საკოლმეურნეო მინდვრებზე, ცდილობენ, მეტი ხეავი და ბარაქა შესძინონ ქვეყანას, უფრო საამური გახადონ ცხოვრება.

მიყვარს ჩოჩხათი და ამ სიყვარულმა დამაწერინა ეს პატარა ჩანახატი... მაგრამ იგივე სიყვარული სუნთქვას მიკრავს და საშუალებას არ მაძლევს, სრულად გამოვხატო ის დიდი გრძნობა, ჩემი გული და სული სამუდამოდ რომ დაუმორჩილებია... მაგრამ ამას მაპატიებს ჩემი ჩოჩხათი...

ლეილა სისხაულიძე,
ფოთის მე-5 საშუალო სკოლა, V კლასი.



ვოგონა. ირმა ჯორბენაძე,
თბილისის 149-ე საშუალო სკოლა,
VII კლასი.

ჩიხურას ხეობაში

თავისუფალი მთის ლალი შვილი ხეობას გრგვინვით იკლებს ჩიხურა. ნარბეჟუხრელი ბერი ლოდები წყალს უსწორებენ თვალებს ჯიქურად.

წინწკლებიანი მზეთუნახავი — კალმახი სწრაფად მიაპობს ტალღებს, დაულალავი, ცელქი ნიავი ხეობას ლამაზს უამბობს ამბებს.

ცის ფირუზ თალებს გოროზი მთები ზურმუხტ სვეტებად შეხამებიან, მწვანეჩოხიან ვაჟკაცთა ჯარი — ტყე-მთათა კალთებს შეჰყვარებიან.

გრგვინვა-გრილით, გრუხუნ-გრუხუნით მოათამაშებს ტალღებს ჩიხურა. ირგვლივ სიცოცხლის მეფობს ზეიმი, იცქირებიან მთები ჯიქურად.

ლელა კობეზაშვიძე,
თბილისის მე-15 საშუალო სკოლა, IX კლასი.


ვინაც დიდგორზე გამირულად მოკვდა, იმათი სისხლი მიდგას მე ძარღვში; ვარ ვახტანგის და თამარის გორის, აღმაშენებლის და ქორა მახვშის.

გულში ჩაიკრა ვინც კი კრწანისმა, წინაპრებია სუყველა ჩემი; ჰეი, გამირებო, მთის და ბარისა, ლეგენდებად და გამირებად რჩებით. ქართველ დიაცებს,

დედებს ქართველისას, ბევრჯერ სდენიათ ცრემლის ღვარები, და მამულისთვის ვინც კი დამინდა, მე იმ ვაჟკაცებს ვეთაყვანები. დარჩენენ ლაზათად ქართული

სურის, ქვეყნის ზვარაკად და შენირულად, ვინც კი ჩაიკრა კრწანისმა გულში, ვინაც დიდგორზე მოკვდა გამირულად.

მარინე სირგილაშვილი,
თელავის მე-4 საშუალო სკოლა,
მე-IX კლასი.



ტრაქტორი მინდვრად.
ვიტალი ცხადაია,
ზობის საშუალო სკოლა, VI კლასი.

ქანის ნინო

ნინოს თხილი, კაკალი ჯიბეში არ ეტევა, მაგრამ ძამიკოსათვის ერთიც არ ემეტება.

ლოჯინეაზი

ჩემო კარგო თოჯინებო, თქვენ კი შემოგვევლებით, თქვენთან ყოფნა კი მსურს, მაგრამ სკოლას ვერ შევეღვვი.

ხათუნა კვინცხაძე,
ახალციხის 1-ლი საშუალო სკოლა, VI კლასი.

გვერდი ვაზი

ერთი საცოდავი ვაზი ვარ, გამხმარ
კომპის ტოტებს ვაგლახად ჩამოკი-
დებული. დროთა განმავლობაში
თანდათან ვხმები. გულს მიკლავს
ჩემი უსიცოცხლო, დაგრეხილი ტო-
ტების დანახვა. ჩემი პატრონიც ჩავ-
ლისას უკმაყოფილოდ ბუზღუნებს:



ამსომოსი. ნოდარ ლაბარტუაძე.
თბილისის 65-ე საშუალო სკოლა, VI კლასი.

ყურუა

სავსე მთვარეს
უყუფს ყურუა;
თქვით, რას ერჩის
ღამის გუშავს?

ლიას

ლიაო, ციცქნა ლიაო,
ჩემო პატარა ლიაო,
იხარე — შენთვის ღამაში
თოჯინა გიყიდილიაო.

თაგუნა და კატუნა

თაგვი, თაგვი, თაგუნა
ჭრელ ხაფანგში გაბმულა,
მიეპარა კატუნა,
სწრაფად შეაკნატუნა.

ზურაბ ტულუში,
თბილისის 110-ე საშუალო სკოლა,
II კლასი.

ჩხვენი წინაპრები. კარლო კატარაძე,
თბილისის 163-ე საშუალო სკოლა, VII კლასი.

გახმა ეს სატიალე, უნდა ავჩეხოო.
მაგრამ მე ხომ ჯერ ცოცხალი ვარ.
ის კი არ ახსოვს, რამდენი სიამოვნება
განუტდია ჩემი მტევნებისაგან
დაწურული მაჭრით... ეჰ! ფუჭია
წარსულის მოგონება, ახლა მხოლოდ
ბაღების დანახვალა მახარებს, მხო-
ლოდ ისინი არიან ჩემი გამხარებე-
ლნი... მღერიან, კისკისებენ, დახტი-
ან, ზოგჯერ კი... ლერწმებსაც დამამ-
ტვრევენ... მაგრამ სხვა რა გზაა, უნ-
და ვაპატიო.

ვენაცვალე მზეს, დილით ის არის
ჩემი პირველი სტუმარი. გამიღიმებს.
თითქოს მეუბნება: გამხნევი, ნუ გე-
შინია, ჩემს სხივებს არ მოგაკლებო.
შემდეგ ჩიტებიც მოფრინდებიან.
სმენას ატკობს მათი ჭიკჭიკ-გალო-
ბა. ბოლოს ბავშვებიც გამოჩნდებიან
და მეც მათ აყვები, გავმხიარულ-
დები.

მზეო, ისმინე ჩემი ვედრება: შენს
მხურვალე სხივებს ნუ მოაკლებ
ჩემს ბებერ ტანს. ბავშვებო, თქვენ
კი მოდით, იმხიარულეთ, მხოლოდ
ლერწმებს ნუ მომამტვრევთ, მეც
თქვენსავით მწყურია სიცოცხლე...

ზვიად ლასარაიშვილი,
აბაშის რაიონის ტყვიანის საშუალო
სკოლა, VII კლასი, მოსწავლეთა რეს-
პუბლიკური სასწავლო-შემოქმედები-
თი XXXV კონფერენციის მონაწილე.



ნორი კორესპონდენტთა ჟურნალი № 6

ღაღის ჭალარა

გუშინ გვერდით გეჯიქი და თმას
სიყვარულით გიბურდავდი. უცებ
თვალში მომხვდა რამდენიმე თეთ-
რი ღერი. წამსვე ხელი მოგაცილე
და თვალი მოგარიდე — შემეშინ-
და, უფრო მეტი არ მენახა ჭალარა.

სევდამ მომიცვა. მე ვიზრდები,
წლები მემატება და მიხარია, მაგ-
რამ, ჩემო დედიკო, შენც ხომ გე-
მატება წლები და როგორ ვერ შე-
ვამჩნიე აქამდე, რომ თმა გიჭალა-
რავდება? თითოეული თეთრი ღე-
რი ხომ ჩემზე ფიქრში გატარებუ-
ლი წამებია, ეგ ჭალარა ხომ ჩემ-
ზე დარდია...

ახლა უფრო დაკვირვებით გაც-
ქერდები. თურმე სახეზე წვრილი
ნაოჭები გაგჩენია. გული არ გაი-
ტებო, დედი, ამიერიდან კიდევ
უფრო მეყვარები, შენს ჭალარას,
ფიქრით მოღლილ თვალებს ღირ-
სეულად დაფავასებ; სწავლით,
შრომით, კაი ქალობით გაგიმართ-
ლებ იმედებს.

ნიკო ნიკუშაძე,
თბილისის მე-60 საშუალო სკოლა,
IX კლასი.





მოდის ქურჭლის წყალი, გადმოთქრიალებს კლდის გულიდან, ღარში არ ეტევა, იღვრება აქეთ-იქით, იჭვე რიყიანში ქუჩდება, პატარა ნაკადულად რუვდება და ხევ-ხევ მიიჩქარის, ახოვბუშა მიიკლაკნება. მიდის, მიდუღუნებს, კობტა სანაპიროებს უმღერის, — აი იმ მეჭურჭლისაგან აქვს ნახვავლი სიმღერა, მუხლამდე თიხის ცომში რომ დგას და ზეღს და ზეღს თიხას. მეჭურჭლეს გეგა პაპას ეძახიან პატარები, იმიტომ რომ თმაც ჭაღარა აქვს, წვერიც და უღვაშიც, თან ბევრი ზღაპარი იცის და თანაც შვილიშვილები ჰყავს: მთლად უფროსი შვილიშვილი ოცდაათი წლისაა, მთლად უმცროსი კი, კაკო, რვა წლისა თუ იქნება. იცით, რამდენი შვილიშვილი ჰყავს გეგა პაპას? ოცნი არიან, ერთის გარდა სულ ბიჭები, ის ერთი — შავტუხა გოგოა, ლურჯთვალე და თოჯინასავით დახატული; ნანო ლურჯთვალა, ნანო თვალხატულა, ნანო მინდვრის პეპელა — ასე ეძახის გეგა პაპა.

უჰ! რა სიმღერა იცის გეგა პაპამ! ისე ღიღინებს ხოლმე, გულიდან დარდს გადაგურის. ქურჭლის წყალმაც გეგა პაპასგან ისწავლა სიმღერა, ისწავლა და მერე როგორ, ხშირად ეჯიბრებიან კიდეც ერთმანეთს. ნიავსაც იმიტომ უყვარს აქეთ ჩამოქროლება, რომ მათი სიმღერა შორს გაიტაცოს, დამწიფებულ ხოდაბუნებს თავზე გადაავლოს, ისინიც ამღეროს და თვითონაც ამღერდეს... ეჯიბრებიან ერთმანეთს, ეხმატკბილებიან და ბოლოს მათი სიმღერა კოკაში, კოკურაში, სურაში, დოქსა და ჭინჭილებში ჩაბუდდება ხოლმე. აიღებს სურას გეგა პაპა, ბზის ხმელ ტოტს დაუკაკუნებს, იქიდან ხმა გამოხდება ჰანგიანი, ნაზი და საამო. „აი, გენაცვალე, აი, შენს უელს ვენაცვალე, სირინოზივით რომ მღერიო,“ — ილოცება გეგა პაპაც. მერე მეორე სურას ურაკუნებს ბზის ხმელ ტოტს, მერე — კოკას, მერე — დოქს. ისინიც მღერიან, ღუღუნებენ იადონებივით, იმათი მოსმენა კაცის გულს პირამდე შარბათით ავსებს. ამ დროს გეგა პაპა სიხარულით იძახის:

ხელის გულვიდან აფრენილი მტკრედები

ამოხრობა

„მღერიან, კაცო, მღერიან ეს დალოცვილები, სულდგმულები არიან, სულდგმულები“...


გეგა პაპა რომ ამ ამბავშია, მისი შვილიშვილებიც — კაკო და ნანო არჩევენ კოკურებს, დოქებს, სურებს, პაპასა ბაძვენ, ერთმანეთს ეჯიბრე-

ბიან ჭურჭლის ამღერებაში, ყურს ადებენ ზედ, ინაბებიან, თვალებს ხუჭავენ და ოცნებით შიგა ძვრებიან — კოკურის სულში, დოქის სულში, კოკის სულში... ჩადიან და ისევ ამოვლენ. ასე მეორდება ათჯერ, ასჯერ, უთვალავჯერ. მერე რომელიმეს აირჩევენ, გრძელყელიან სურას ან მსხვილტუჩა დოქს. „ეს ჩემი მომღერალიაო“, — იტყვის კაკო. „ეს კიდე ჩემიო“, — იტყვის ნანოც. ასე მიდიან შინისაკენ. უკან გეგა მისდევთ, იცინის მთელი გულით, ხან ერთს მოეფერება, ხან მეორეს, იმათ ჯიბრში კი არ ერევა, მარტო ამას გაიძახის: „შვილებო, ორივეს კარგი მომღერალი აგირჩევიათო“.

შინ შებინდებისას ბრუნდებიან. გზადაგზა კაკო მინდვრის ყვავილებს მოუკრეფს ხოლმე ნანოს და ამით მთავრდება მათი დავა. მერე კი, როცა ტკბილ ძილს მისცემენ თავს, ისეთ სიზმრებს ხედავენ, დილით გაოცებული უყვებიან ერთმანეთს: წუხელ სიზმარში ეს რა ვნახეო, ვითომ ცაში დავფრინავდი და ქვეყანაზე რაც კი მტრედები არიან, ჩემსკენ მოფრინავდნენო, იმათი სიმრავლით ცა დაიფარაო... ან კიდეც: ჩვენს ბაღში იმოდენა ვაშლის ხე იდგა, მისი ტოტები ცასა სწვდებოდა და ზედ კენწეროზე ვაშლის მაგივრად მზე ებაო... ნეტა მართლა თუ ხედავენ ამ სიზმრებს?!

ლაპარაკ-ლაპარაკით გავლენ ხოლმე ქურჭლის ნაპირზე. გეგა პაპა ისევ ზელს თიხის ცომს, შიგ ბუქნას უვლის, მერე დადგება და კოკურებს, სურებს, დოქებს, კოკებს ძერწავს და სულს უდგამს. კაკოცა და ნანოც პაპასა ბაძვენ, თიხის ცომს აგუნდავენ, ჭურჭელსა ძერწავენ. ჭერ არ გამოსდით მეჭურჭლეობა, ჭერ ვერ ოსტატობენ, მაგრამ გულს მაინც არ იტეხენ. აკი პაპა ეუბნება ხოლმე: ჩემოდენები რომ გახდებით, თქვენისთანა ჭურჭლის მკეთებელი ქვეყანაზე არავინ იქნებაო. რაკი გეგა პაპა ასე ამბობს, ალბათ, ასე იქნება.

ქურჭლის წყალი კი მღერის, გეგას სიმღერასა მღერის. აჰყვებიან კაკო და ნანო, აჰყვებიან და სიმღერას



ბოლო არ უჩანს... ამ სიმღერაში იზილება თიხა, იბადება კოკა, კოკურა, სურა, ღოქი, ჯამი, იბადება თიხის სიმღერა.

ახლა ესეც მინდა გითხრათ: იმ მოედანს, სადაც თიხა იზილება და სადაც ნედლი ჭურჭელი შრება, იმ ქურას, სადაც გამომწვარი ჭურჭელი ინახება, ქარი შემოსჩვევია; იმასაც გაუგია ღოქის ტურის გემო, იმასაც აუმღერებია სურის ყელი... მოდის, მოქშუის, ჩაუძვრება იმათ ტურ-კბილში, გრძელ ყელში და აღულუნებს.

— ე, ე, ე, ეს რანაირად ამღერებს ქარი სურებსა და ღოქებს, კოკურებსა და კოკებს?! — იძახიან გოცებულები კაკო და ნანო.

— ქარი ეშმაკია, სულში ჩაძვრენა იცის, ჩაგიდვრება და აგამღერებს. ნამეტნავად ნიაგმა იცის სულისა და გულის ღიღინი, ცელქმა ნიაგმა; ხან გრილმა და ხან თბილმა, ხან აღმა მქროლავმა და ხან დაღმა მონავარდემ! — ბუბუნებს გეგა და დასცქერის ზემოდან პატარა ოსტატებს, რომლებიც თიხის ცომს ზეღენ და აგუნდავენ. — თქვენ რომ გყურებთ, ჩემი სიყმაწვილე მაგონდება, შვილებო, ეგრე ვიყავი მონდომებულები, ეგრე მამხნევებდა მამაჩემი: აბა, გეგავ, ჩემზე კარგი მეჭურჭლე უნდა გამოხვიდეო. ადრე გაგვშორდა, მისი ხელოვნება კი, ჩემგან ნახწავლი, ჩემთან დარჩა, მამაჩემის მოსაგონებ-

ლად, თიხის სიმღერის გასაგრძელებლად.

გეგა მიდი-მოდის ფარდულის წინ, გამოაქვს მეფე-ღოქები, დედოფალ-სურები, ბატონ-კოკები, უფლისწულ-კოკურები, — ასე უწოდებს მათ თვითონ გეგა. ჯამებს ჯამათს ეძახის, გამოაქვს და ერთმანეთის გვერდით ალაგებს. არა, კი არ ალაგებს, აწვენს. და იმათ ტურსა და ყელს ნიავს მიუშვერს, ნიავი კი პირდაპირ პირში უძვრებათ და საამოდ აღულუნებს მათ. კაკო და ნანო გარინდებული შესცქერიან და უსმენენ თიხის სიმღერას. ჭერ ქურჭლის წყალი აჰყვება ამ სიმღერას, მერე გეგა პაპაც აღილინდება და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფარდულის ჭერზე სახურავად დაფენილი ჩალაც კი სალამურივით აკვნესდება ხოლმე, როცა სლიპ ღეროებზე ნიავი გაინავარდებს...

„ეს რა ზღაპრული ჰანგებია!“ — ფიქრობენ პატარები, ფიქრობენ და ამ ჭურჭელივით ივსებიან, დიდებიან, მალღებებიან...


ისევ იზილება თიხა, ისევ იბადებიან მეფე-ღოქები, დედოფალ-სურები, ბატონ-კოკები, უფლისწულ-კოკურები, საჯამათო ჯამები; გვერდებზე კაკოსა და ნანოს პატარა ხელების ანაბეჭდები და ფრთაფარფატა მტრედები აქვთ დაჩნეული. ეს მტრედები ბავშვების ხელის გულიდან აფრინილან... ასე დაუხატავს გეგა პა-

პას, ასე დაუსურათებია თავისი ნახელავი, რომელიც ურმით მიაქვს დასაწყობად. თუმცა არა, გასაყობად არა, ხალხში დასარიგებლად.

უკან კაკო და ნანო მისდევენ: — მალე დაბრუნდი, გეგა პაპავ, ნუ დაგვლოი ლოდინით! შენს დაბრუნებამდე ქურჭლის ხევი ავირბენთ ხოლმე, წავიყვანთ ბაჩანას, ნინოს, გელას, ნათიას, თეას, გიგლას! ყველას წავიყვანთ და მოვასმენინებთ თიხის სიმღერას!

მიდის, მიჭრიალებს ურემი, ხარები ზანტად მიალაჯებენ. მთელი სოფელი გამოდის გზაზე, ეგებება გეგას, არჩევენ სურებს, ღოქებს, კოკებს, კოკურებს, ლიტრებს, ჭინჭილებს, ჯამებს... არჩევენ და ხელში იტაცებენ, უყურებენ ზედ დახატულ სურათს: პატარა ხელის ანაბეჭდებს, ხელის გულიდან აფრენილ მტრედებს. ურემი გზას აგრძელებს, ახლა მეორე სოფელი, მერე — მესამე, მეოთხე... გზას დასასრული არ უჩანს, ისევ ეგებება ურემს ხალხი, ისევ იტაცებენ თიხის ჭურჭელს, მრავლდებიან ხელისგულიდან აფრენილი მტრედები. ნიავიც თან გამოაყვლია გეგას ურემს, ამღერებს თიხის ჭურჭელს...

ახლაც მესმის თიხის სიმღერა! ჩვენსკენ მოფრინავენ ხელის გულიდან აფრენილი მტრედები. გაიხედეთ, ერღოებზე სხდებიან! აბა, გაიხედეთ!



უკულა პრეზერატი
პარსკვლავი
გაქრულია მზად?

ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ. მზედ ვარგისი იქნება მხოლოდ ისეთი ვარსკვლავები, რომელთაც მუდმივი ბრწყინვალება აქვთ. დროის ხანგრძლივ პერიოდში (იგულისხმება მილიონი და მილიარდი წლები). ვარსკვლავები კი სიცოცხლის ადრეულ სტადიებზე ხშირად ენთებიან—ნივთიერების დიდ რაოდენობას გამოაფრქვევენ ძალიან დიდი წამში ასეთი და ათასეული კმ სიჩქარით. სტაბილური არიან შედარებით დიდსაკოვანი ვარსკვლავები. გარდა ამისა, ვარსკვლავის ევოლუცია დამოკიდებულია მის მასაზე. დიდმასიანი ვარსკვლავები შედარებით სწრაფად ხარჯავენ ენერგიას და მალე „ამოიწურებიან“. მაგ. ვარსკვლავი რიგელი (ორიონის თანავარსკვლავების ქვედა მარჯვენა კედელში) წამში 81 000-ჯერ მეტ ენერგიას ასხივებს, ვიდრე მზე. ამ ვარსკვლავის მასა 100 მზის მასის ტო-



ლიც ე. ი. $2 \cdot 10^{30}$ ტ. რომ იყოს (უფრო დიდმასიანი ვარსკვლავები თითქმის არ გვხვდება), მისი ენერგია E აინშტაინის ფორმულით $E=mc^2$ (m — მასა C სინათლის სიჩქარე) $2 \cdot 10^{34}$ ერგი გამოდის. თერმობირთვული რეაქციებით კი მასის მხოლოდ 1%-მდე ნაწილი იქცევა გამოსხივებად. ამრიგად, რიგელის სრული ენერგია 10^{54} ერგია, რაც ენერგიის ხარჯვის თანამედროვე ტემპით გამოილევს $10^{54} : 3 \cdot 10^{38} = 3 \cdot 10^{16}$ წამში, ანუ 10^8 წელიწადში. აქედან ჩანს, რომ ან რიგელის ბრწყინვალება უნდა მკვეთრად მოიკლოს (თუკი მას სიცოცხლის გახანგრძლივება

„სურს“). ან ეს ვარსკვლავი 100 მილიონ წელიწადში ძალიან ჩაქრება. ორივე შემთხვევაში ცივილიზაციის არსებობისათვის იქ მეტად არახელსაყრელი პირობებია. იგივე ითქმის ბეთელჰეიზზე — ვარსკვლავზე, რომელიც მზეზე 22 000-ჯერ მეტ ენერგიას ასხივებს. ოღონდ, სხვა რამეც უნდა ითქვას, ეს ვარსკვლავი წითელი გიგანტია — მისი რადიუსი 350 მლნ კმ-ს აღემატება, ე. ი. მზის რადიუსზე დაახლოებით 500-ჯერ მეტია. ადრეულ სტადიებში მისი რადიუსი გაცილებით ნაკლები იქნებოდა, და ბეთელჰეიზს რომ პლანეტა ჰყოლოდა, თუ



განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამსახურებული მწერთნელი შოთა ინჟკირაშვილი

პირველთაწინაგოსანი ქეთევან არახამია ოჩამჩირის მე-4 საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლეა. 1980 წლის თებერვალში იგი მონაწილეობდა ქალთა შორის საქართველოს პირველობის ნახევარფინალში; (სამტრედია). გავაცნობთ მისი ერთ-ერთი პარტიის ფინალს.

გოგინა



არახამია

პირველი შთაბეჭდილება: ორივე მეფის პოზიცია მეტნაკლებად დასუსტებულია. შავების მსუბუქი ფიგურები პასიურ მდგომარეობაშია, სამაგიეროდ ლაზიერი და ეტლი ერთობლივ მუქარას უქმნიან ხ2 პაიკს და, რადგან თეთრების მხრიდან რაიმე კონტრამუქარა არ მოჩანს (თანაც სხვადასხვა მხარეს როქის შემთხვევაში უკუდაფერი დასწრებაზე), შავები თითქოსდა ეუფლებიან ინიციატივას, მაგრამ სვლის ჭერი თეთრებისაა და, როგორც გამოიკვევა, შავე-

ბის უქანასკნელ 22. ...ლდ7— ხ7? სვლას წარმოუშვია მოტივი კომბინაციისათვის, რასაც შესანიშნავად იყენებს ნორჩი მოქალაქე.

23. მძა!

ერთი შეხედვით შეუძლებელის შესაძლებლად წარმოიხილება არის ტაქტიკის (და მისი უმაღლესი გამოვლინების — კომბინაციის) უპირველესი თვისება. 23. ...e-d-ს შემთხვევაში ა2 კუ გამოავლენს თავის გეომეტრიულ თვისებას — განახორციელებს ორმაგ დარტყმას. მართალია, ორმაგი დარტყმა „კულისებში“ რჩება, მაგრამ მისი არსებობა თეთრების მხედარს საშუალებას აძლევს გადაამწყვეტი ძალით ჩაებას ბრძოლაში.

24. მე7+!

იკვება, რომ შავი ლაზიერი გადატვირთულია — ის ორ ფუნქციას ასრულებს: იცავს ხ2 ეტლს და e7 უჭრას. შეიძლება აგრეთვე 24. ეხ—f1! ე:f1 25. ე:f1 ე:a2 26. ლც8 eწ

(იმუქრებოდა 27. ლხ8+!) 27. ლც8! ლხ2+ (27. ... ლ:ე8 28. მე7+ და 29. ეხX) 28. მფდ2 ლძ4+ 29. მფე2 ლ:ე4+ 30. მე8±

24. ... მფ7 25. მ:ე8 ე:a2 26. ეხ—f1+ მფგ8.

თუ 29. ... eწ, მაშინ 30. ლც4+ dწ 31. ლძ5+! მართალია, აქ „უკუელა გზა რომში მიდის“, მაგრამ ეს უმოკლესი და, რაც მთავარია, ფორსირებული გაგრძელებაა, ამიტომ უპირატესობაც მას უნდა მიეცეს. ქიშები მოწინააღმდეგეს „ამოსუნთქვის“ საშუალებას არ აძლევს. ამ დროს ბუნებრივია, დაზღვეული ვართ ყოველგვარი მოულოდნელობისაგან. 31. ... ლ:ძ5 32. მე7+ მფხ8 33. ეწ8+ ლგ8 34. ე:გ8X 30. ლხ8+!

კიდევ ერთი ტაქტიკური ელემენტი — ხორციელდება „გათრევის“ იდეა.

30. ... მფხ8 31. ეწ8X ქეთევან არახამიას სახით, საქართველოს ეწრდება ნიჭიერი მოქალაქე.

„პიონერის“ 1980 წლის № 1-ში გამოქვეყნებული ცკვიტი-



გნებავთ დასახლებულიც, ვარსკვლავის გიგანტად გადაქცევის შემდეგ პლანეტა მის შიგნით მოექცეოდა! არასასურველი ხვედრია! იმათ დასაშვინებლად, ვინც წარმოიდგინა, ჩვენი მზის გიგანტად გადაქცევისას დედამიწა მასში მოექცევა და ააღდებო, ვიტყვი, რომ ასტრონომთა შეფასებით მზეს ჯერ კიდევ დიდხანს (მილიარდობით წელს) ასეთი საფრთხე არ ემუქრება, ისე კი ცხადია, რომ გიგანტი ვარსკვლავები ხელსაყრელი არაა ცივილიზაციებისათვის. კიდევ რომ არ მოექცეს დასახლებული პლანეტა ვარსკვლავების შიგნით, მისი ცივილიზაცია, თუნდაც რადიაციის ძლიერი ზრდის გამო, მაინც დაიღუპება.

1901 წელს პერსეუსის თანავარსკვლავედში ერთი ვარსკვლავი აენთო და სულ რამდენიმე დღეში 13 ვარსკვლავიერი სიდიდე მოიმატა. მაქსიმუმში იგი თითქმის 170 000-ჯერ მეტს ასხივებდა, ვიდრე მზე. შემდეგ ვარსკვლავმა ქრობა დაიწყო და რამდენიმე წლის შემდეგ დაუბრუნდა წინანდელ დონეს. ამ ვარსკვლავის პლანეტაზე რომ ცივილიზაცია არსებულობდა, ისიც დიდად დაზარალებულიყო, კიდევ უფრო მძლავრად აენთო გედის თანავარსკვლავედის

ერთ-ერთი ვარსკვლავი 1920 წელს, შეუდარებლად მეტად — კიჩოს თანავარსკვლავედში მდებარე ვარსკვლავი 1942 წელს (მან 17 ვარსკვლავიერი სიდიდე მოიმატა და მაქსიმუმში 7 მილიონჯერ მეტს ასხივებდა, ვიდრე ანთებამდე!). წარმოიდგინეთ, რა დაემართება დედამიწის ცივილიზაციას, მზის ადგილზე რომ უცბად 7 მილიონი მზე გაჩნდეს, ალბათ ისიც ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დაემართებოდა ზემოხსენებული ვარსკვლავის „ცოცხალი“ პლანეტის ცივილიზაციას, მართლაც ამ ვარსკვლავს რომ ასეთი პლანეტა ჰყოლოდა. თავდაპირველად ასეთ ვარსკვლავებს ახალი ვარსკვლავები უწოდეს — ეგონათ, რომ ახალი ვარსკვლავი იბადებოდა, მაგრამ დარწმუნდნენ, რომ ანთების ადგილზე თურმე მანამდე არსებობდა ვარსკვლავი, თუმცა ზოგჯერ შეუიარაღებელი თვალისთვის ის უხილავი იყო, „ახალი ვარსკვლავები“ ყოველწლიურად ენთებიან ჩვენს გალაქტიკაში. ზოგი ვარსკვლავი რამდენჯერმეც ანთებულა (მათ განმეორებად ახლებს უწოდებენ). მაგ., ორიონის N ვარსკვლავი ჯერ 1677 წელს აენთო, მერე 1750 წელს, შემდეგ 1892 წელს, ანთების ამპლიტუდა სხვადასხვა დროს 6-11

ვარსკვლავიერი სიდიდე იკარგავდა. მისი T ვარსკვლავი აენთო 1920, 1941 წლებში 6-14 ვარსკვლავიერი სიდიდით და სხვ. აშკარაა, არც ეს ვარსკვლავები მოუტანდნენ ხეირს მათ ახლობელ ცივილიზაციებს.

ალარაფერს ვამბობთ ე. წ. „ზეახალ“ ვარსკვლავებზე, რომლებიც ანთებისას მილიარდჯერ და მეტჯერ აღემატებიან ბრწყინვალეობით მზეს. გარდა გამოსხივებისა, ეს ვარსკვლავები ნივთიერებასაც გამოტყორცნიან. ამასთან უდიდესი, წამში 10000 კმ სიჩქარით; ზეახალი ვარსკვლავის ანთება მართო ამ ვარსკვლავის ცივილიზაციას კი არ გაანადგურებს, არამედ ამ ვარსკვლავის უშუალო სიახლოვეს მყოფ ვარსკვლავთა ცივილიზაციებსაც.

როგორც ვხედავთ, ჩვენთვის საინტერესო რჩება მხოლოდ სტაბილური ერთჯერადი ვარსკვლავები. რომლებსაც აქვთ პლანეტები, თვით ვარსკვლავებს ზომიერი ტემპერატურა უნდა ჰქონდეს — ცხელ, თეთრ ან ცისფერ ვარსკვლავებს სიცოცხლისათვის საშიში ულტრაიისფერი რადიაცია და უცვლელი ნათობა ახასიათებს მილიარდობით წლის მანძილზე.

ნიმე-ბერბიჭაშვილის პოზიციაში თეთრები იგებენ 1. ლმზ+! სვლით.

სწორად ამოხსნეს: ი. გულუაშვილმა, ა. თვალთაშვილმა, ე. და ი. ნიკოლეიშვილებმა, კ. ჩაჩანაშვილმა, მ. შიშხილაშვილმა, მ. შავგულიძემ, გ. კემულარიამ, მ. და ბ. თავაძეებმა, ა. შალამბერიძემ,

ძემ, გ. ნეფარიშვილმა, ნ. იბრაგიმოვმა (თბილისი), ტ. ძნელაძემ (სამტრედიის რაიონი, სოფ. იანეთი), მ. გოგუამ (ჩხოროწყუ), კ. ივანოვმა (ჭიათურა), რ. ბაზაძემ (თერჯოლის რაიონი, სოფ. ზემო სიმონეთი), მ. აბუაშვილმა (სოფ. გლდანი), მ. თოდუამ (სამტრედია), რ. კობახიძემ (ამბროლაურის რაიონი, სოფ. ნიკორწმინდა).



პენრი ლონგფელო

პაიავათას სიმღერა

ეს შესანიშნავი პოემა, რომელიც ამერიკელ ინდიელთა ფოლკლორის უშუალო გავლენით შეიქმნა, მოგვითხრობს სახელგანთქმულ გმირ პაიავათაზე. ქართა ბატონ მარკეიუსისა და მთვარის შთამომავალი ასულის, მინდვრის სოსანივით ნაზი იუნონაჰის ვაჟზე. პაიავათა ბუნების წიაღში იზრდებოდა. პატარაობიდანვე ისწავლა მცენარეების, ფრინველებისა და ცხოველების ენა; ისეთი ღონიერი დადგა, მეთე ისარს რომ გაისროდა, პირველი ჯერ კიდევ ცისკენ მისრიალებდა;


ისეთი სწრაფი იყო, რომ გატყორცნილ ისარს ასწრებდა.

პაიავათას ძალზე უყვარდა მშობელი ხალხი, ზრუნავდა მასზე, ებრძოდა ბოროტ ძალებს. ხალხს მან დამწერლობაც შეუქმნა.

პოემა თარგმნილია მსოფლიო-



ოს ეველა კულტურული ხალხის ენაზე. ქართულად კი იგი ოსტატურად რა დიდი გემოვნებით თარგმნა პოეტმა ოთარ ჭილაძემ. წიგნი გამოსცა გამომცემლობა „ნაკადულმა“.




უსიტყვოდ მხატვარი დავით თოთიბაძე



ალღანა ისტორიის პირი გამომცემლობა, გამხმევაა, აფმოს გაგაა და წარმართვაა, მერმისის გამკვევაა სიხნლისაგან.



პირველყოფილი საზოგადოების ისტორია მოიცავს იმ დროს, როდესაც ჯერ დამწერლობა არ არსებობდა. ამიტომ იმ პერიოდის ადამიანთა ცხოვრებასა და ურთიერთობას, მათი კულტურის განვითარებას ვსწავლობთ ნივთიერი ანუ არქეოლოგიური წყაროებით — საყოფაცხოვრებო საგნებით, ბრძოლისა თუ შრომის იარაღებით, წარმოების ნაშთებით, სამკაულებით, ნასახლართა და ნასოფლართა ნარჩენებით და სხვა. სწორედ მათი მეშვეობით დადგინდა, რომ უძველესმა ადამიანმა თავისი განვითარების ხანგრძლივი დროის მანძილზე განვლო სამი ძირითადი საფეხური: ქვის, სპილენძის, რკინის და აკრინის ხანა. აქედან ქვის ხანა დროის ყველაზე ვრცელ მონაკვეთს მოიცავს.



სურ. № 6

ცავს. ამ პერიოდში შრომისა და საბრძოლო იარაღებს ადამიანი ძირითადად ქვისაგან ამზადებდა; შემდეგ საფეხურზე მან ისწავლა სპილენძისა და კალის შენადნობის — ბრინჯაოს მიღება, მისგან სატევრების, შუბის პირების, სამკაულების და სხვა საგნების დამზადება; კიდევ უფრო მოგვიანებით ადამიანი დაეუფლა რკინის მადნის დამუშავებისა და გამოყენების საიდუმლოს.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის საფუძველზე მეცნიერები ადადგენენ ძველი ადამიანის კულტურას, უოფას და საქმიანობას.


ხელოვნების პირველი ნიმუშები, ძველი ქვის ხანის შუა საფეხურს განეკუთვნება. ეს არის ძვლის ორნამენტირებული ნივთები, ცხოველებისა და ადამიანების ძვლისა და

ქვის ქანდაკებები და ა. შ. ცოტა მოგვიანებით უკვე გვხვდება პირველყოფილი ადამიანის მიერ თავისი საცხოვრებლის — მღვიმეებისა თუ ეზების კედლებზე, ქერზე, გამშვლებული კლდის ზედაპირზე შესრულებული ნახატები — ცხოველთა და ადამიანთა კონტურული, სილუეტური და ხაზოვანი გამოსახულებები, რომლებიც შესრულებულია ფერადი მინერალური საღებავებით, კლდის ზედაპირის ამოტეხვით ან ამოკაწვრით. ასეთი ტიპის გამოსახულებებსა და ნახატებს პეტროგლიფებს უწოდებენ.

ადამიანი ხატავდა ძირითადად იმ ორგანულ საშუაროს, რომელიც მას გარს ერტყა, ცხოველებს, რომლებზეც ნადირობდა. ნადირობის სცენებს, საყოფაცხოვრებო საგნებს, და ა. შ.

ამგვარად, ნათელია, რომ პირველყოფი-

სურ. № 1



ქვეყნის გამოსახულებები — კერძო — კულტურის — ფეხები



სურ. № 2



სურ. № 3

საქართველოში

ლი ადამიანის კულტურის შესასწავლად კლდეზე ნახატებს ისეთივე მნიშვნელობა აქვთ, როგორც არქეოლოგიურ ნივთებს. სხვადასხვა ადგილებში დაცულ პეტროგლიფებში სხვადასხვა შინაარსისა მოთხრობილი, სხვადასხვა ცხოველთა საშუაროსა გამოხატული.

დღეს უკვე ძალიან ბევრი პეტროგლიფია ცნობილი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით კი საფრანგეთსა და ესპანეთში; აგრეთვე საბჭოთა კავშირში, მის ევროპულ თუ აზიურ ნაწილში, განსაკუთრებით კი ჩრდილოეთ კავკასიაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ამიტომ გავიყრებინებ იწვევდა, რომ უაღრესად საინტერესო არქეოლოგიური ძეგლებით ასე მდიდარ საქართველოში დღემდე ძველი მხატვრობის

არც ერთი ანალოგიური ნიმუშის არ არსებობს.

მართალია, გასული საუკუნის დასასრულიდან შემორჩენილი იყო ერთი ცნობა, თითქმის პირველყოფილი ადამიანის მხატვრობა არსებობდა სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში, თრიალეთში, პატარა ხრამის ხეობაში. უფრო მოგვიანებით არაერთი მკვლევარი გაპოვდა ამ ცნობის კვალი, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ძებნას შედეგი არ მოჰყოლია.

1976 წელს არქეოლოგიური ჯგუფი,




სურ. № 4

რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, თრიალეთის ესტუმრა. ჩვენი ექსპედიციის ძირითადი მიზანი იყო, ქვის ხანის ადამიანის კულტურის ნაშთების ძიება. მაგრამ ის აზრი, რომ სადღაც აქ შეიძლება ძველი მხატვრობის ნიმუშებიც უოფილიყო შემორჩენილი, მოსვენებას არ გვაძლევდა...

ერთ დღიას, ობიექტის დათვალიერებისას, გამოკვებულის გვერდით კლდის ზედაპირზე რაღაც ნაკაწრი ხაზები შევნიშნეთ, რომლებიც უდავოდ ადამიანის ნახელავი იყო. დროისაგან გამოფიტული ზედაპირი ფორიანი გამხდარიყო, ნახევრად წაშლილი და ძლივს შესამჩნევი ხაზები ალაგ-ალაგ ხავსი.




სურ. № 5



სურ. № 8

სა და მღიერების ქვეშ იმალებოდა. დავაკვირდით ამ ნაქაწრს, თვალი გავაყოფეთ მის გავრცელებას და დავრწმუნდით, რომ საქმე ცხოველთა კონტურების გამოსახულებასთან გვქონდა. მეზობელ უბანზე სხვა გამოსახულებებიც აღმოჩნდა და მალე ჩვენს წინაშე გადაიშალა უძველესი მხატვრობის ნიმუშების მთელი გალერეა.

ძნელი არ არის ამ ნაქაწრ ნახატებში გაარჩიოთ ცხენის, ირმის, ნიამორის, მელიის და ზოგიერთი სხვა ცხოველის გამოსახულება (სლ. 1) ასევე განმარტობით მდგომი ცხოველების გამოსახულებები: ჭიჭვი გრძელი, გადახლართული რქებით (სურ. 5), შვე-



სურ. № 7

ლი (სურ. 6), ორკუწიანი აქლემი (სურ. 7). უურადლებას იპყრობს ფანტასტიკურ ცხოველთა გამოსახულებები: აი, ორკუწიანი ცხენი (სურ. 1); რომელიღაც უცნობი, ასევე ორკუწიანი უჩვეულო ცხოველი (სლ. 2) და ფრინველი-კუ; იზოლირებული ფიგურების გვირდით გვხვდება გარკვეული კომპოზიციის გამომსახველი ნაქაწრებიც. მაგალითად, ირმის ნუკრი, რომელიც დედაირემს ძუძუს სწოვს (სურ. 8).

ადამიანის ფიგურები თითქმის ყველა ერთნაირია: ერთი ზომის, ერთნაირ პოზაში მდგომი, საკმაოდ მკაფიო სახის ნაკვთების მქონე კაცუნები, რომელთაც კეტი თუ შუბი უჭირავთ ხელში და მშვილდ-ისარი აქვთ

გადაკიდებული. (სურ. 4, სლ. 1) ზოგან ამოკაწრულია მზე ან გაურკვეველი დანიშნულების გეომეტრიული ფიგურები.


ბუნებრივად ისმის კითხვა: რისთვის, რატომ ხატავდა ადამიანი? რა უნდოდა ეთქვა, რა მიზანს ისახავდა? მართალია, მას ალბათ უჩნდებოდა ხატვის, თავისი საბინადროს კედლების შემკობის სურვილი, მაგრამ მთავარი მაინც, როგორც ფიქრობენ, სხვა რამ უნდა იყოს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ პირველყოფილი ადამიანი გონებრივი განვითარებით დაბალ დონეზე იდგა. ის უძლური იყო ბუნების ძალების წინაშე და რაკი ბუნების მრისხანე მოვლენათა ახსნის უნარი არ მქონდა, უჩნდებოდა რწმენა, რომ არსებობს ბუნებრივი ძალები, რომლებსაც შეუძლიათ სიკეთეც მოუტანონ მას და ბოროტებაც. პირველყოფილ ადამიანს სჭეროდა, თუ ბოროტ ძალებს მოისუიდავდა და გულს მოუღობოდა, შეიძლება თავის სასიკეთოდ განეწყო ისინი, გამოეთხოვა მათთვის ნადირობისათვის იმუამად ყველაზე სასარგებლო ცხოველების მომრავლება და ა. შ. ამ მიზნით ის სხვადასხვა რიტუალს ასრულებდა. ზოგიერთი რიტუალი, უთუოდ, კლდეზე ნახატებშიც აისახებოდა. ამიტომ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ სფეროს ეკუთვნის ნახატთა დიდი ნაწილი: ფანტასტიკური ცხოველები, ირემი მახეში (სურ. 3), ცხენი მახეში (სურ. 8) და ზოგიერთი სხვა.

ამ პეტროგლიფთაგან ყველაზე ადრეულები, შესაძლოა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-12-10 ათასწლეულებით თარიღდებოდნენ (შუა ქვის ხანა), ხოლო ნაწილი — ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-3-2 ათასწლეულებით (ადრე და შუაბრინჯაოს ხანა).

ეს აღმოჩენა რომ მეცნიერებისათვის უდიდეს ინტერესს შეიცავს, უეჭველია, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პეტროგლიფები გვაცნობენ ძველი ადამიანის საცხოვრებელ გარემოს, გეოგრაფიულ ლანდშაფტს და ცხოველთა სამყაროს.

ასეთია, მოკლედ, პატარა ხრამის კლდეზე გამოსახული ნახატების შინაარსი და მნიშვნელობა.

მანანა ბაბუნიძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.



სურ. № 8



აი, რა ძალუძს მახსნიერებას

ცნობილი კიბერნეტიკოსის ფონ ნაიშანის გამოანგარიშებით, ადამიანის ტვინს ძალუძს ინფორმაციის 10²⁰ ერთეული დაიტოვოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს, რომ თითოეულ ჩვენგანს შეუძლია დაიხსომოს მთელი ინფორმაცია, რაც თავმოყრილია მსოფლიოში უდიდეს, ვ. ი. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის წიგნებში.

ფერადი ბუშბაგი დიდებას ეკუთვნის



თურმე ფერადი ბუშტი ბავშვების გახართობდ როდი უოფლა გამოგონებული. იგი ოფიციალური ატრიბუტი იყო საღმრესა-წაულო აღლუმების, საიუბილეო ზეიმების,




არისტოკრატიულ წრეებში მიღებისას. სწორედ ამას იუწყებოდა 1856 წელს ინგლისში გაცემული პატენტი. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ფერადი ბუშტი საფრანგეთში მოხვდა, მისი გამოყენება დაიწყეს მხიარულ კარნავალზე, მერე კი ბავშვების სათამაშოდაც.

თახვების ნაბრძალი


კურსკის ოლქის ერთ-ერთ ღელეში თახვები დაბინავდნენ. იქ მათ ბევრი იზრომეს — ღელე წაქცეული ხეების ჭებირებით გადაღობეს, ტოტებისაგან ქოხები აიშენეს.



სურ. № 1



სურ. № 2



სურ. № 3

**გაკვეთილი V
თვლაზის მატება**

იმისათვის, რომ ნაქსოვს სასურველი ფორმა მივცეთ, საჭიროა ვიცოდეთ თვლების კლება და მატება.

მატება შეიძლება შემდეგნაირად:

1. ძაფი გადავიტანოთ თვლების წინ მარჯვენა ჩხირზე ისე, რომ საწინააღმდეგო მიმართულებით წავიდეს. (სურ. № 1).

2. მარჯვენა ჩხირის წვერი ძაფს წაშოვლოთ ისე, რომ ძაფი ჩვენსკენ იყოს მომართული. (სურ. № 2).

3. ერთი თვლიდან შეიძლება ორი, სამი და მეტი თვლის ამოღება. ამისათვის, მარჯვენა ჩხირის წვერს შევიყვანოთ გამოსაქსოვ თვალში, გამოვიქსოვ ერთხელ (გამოქსოვილ თვალს არ გადავიტანო ჩხირიდან), მარჯვენა ჩხირზე გავაკეთებთ ნამატს და ისევ იმ თვალში გამოვიღებთ მეორე თვალს; ასეთი ხერხით შეგვიძლია, ერთ თვლაში რამდენიმე თვალი გამოვიქსოვოთ და

შემდეგ გადავიტანოთ მარცხენა ჩხირიდან მარჯვენაზე. (სურ. № 3).

4. გამოსაქსოვი თვლის ქვედა რიგის თვალში შევუყუროთ მარჯვენა ჩხირის წვერს, წამოვღებთ ძაფს და გამოვიღებთ, შემდეგ გამოვიქსოვოთ მარცხენა ჩხირის დანარჩენ თვლებს.

ჰაეროვანი თვლაზი

ქსოვის დროს ზოგჯერ ჰაეროვანი თვლების აკრეფაც გვჭირდება. მაგალითად, ჯიბის ჰორიზონტალური ჭრილისა და ლილიკოსს გაკეთების დროს, იაპონური სახელოს ქსოვის დროს და სხვა შემთხვევებში. ჰაეროვან თვლებს ჩვეულებრივ, მარჯვენა ჩხირზე აკრეფთ. გორგლიდან მომავალი ძაფი ხელის გულზე უნდა გავატაროთ, შემოვიზნოთ ცერა თითზე გარედან შიგნით, შევუყაროთ ჩხირის წვერი თითთან მოხვედრილ ძაფებს შუა. გადავიძროთ ძაფი თითიდან და გორგლის ძაფი ქვევით დავჭიმოთ. ამნაირად შეიქმნე-

ბა ჰაეროვანი თვალი. (სურ. № 4).

გრძელი თვლაზი

აუფრული ანუ თბელი, ნახვრეტებიანი ნაქსოვის დროს ზოგჯერ გრძელი თვლების გაკეთება აუცილებელია. თუ ნამატს მარჯვენა ჩხირზე ძაფის ერთხელ გადახვევა სჭირდება მხოლოდ, გრძელი თვლის შეთხვევაში ორჯერ, სამჯერ და მეტჯერ უნდა გადავახვიოთ ძაფი, რომ მომდევნო თვალი გამოვიღოთ. ქსოვისას კი გადახვეულ ძაფს ერთ თვალად გამოვიღებთ. (სურ. № 5).

თვლაზის კლება

თვლებს ვუკლებთ ასე: თუ წაღმა პირიდან გვინდა დაკლება, უნდა ორი ან რამდენიმე თვალი ერთად გამოვიღოთ — ზვიდან წაღმით ან ქვეშეიდან წაღმით. (სურ. № 6).

თუ უკულმა პირიდან გვინდა დაკლება, ორი ან მეტი თვალი ერთად უნდა გამოვიღოთ უკულმით. (სურ. № 6).


თვლაზის დამატება

როდესაც ნაქსოვს მოვამთა-


ვრებთ, საჭიროა უკანასკნელი რიგის თვლების დამატება ანუ გადაქნა. ამისათვის, პირველი თვალი მოუქსოვლად უნდა გადავიტანოთ, მეორე თვალი კი გამოვიქსოვოთ, მარცხენა ჩხირით გავაფართოვოთ პირველად გადატანილი თვალი და მარჯვენა ჩხირზე გამოვიქსოვილი მეორე თვალი ამ გაფართოებულ თვალში გავატაროთ. ამის შემდეგ, გამოვიქსოვილი მომდევნო თვალიც ამავე წესით უნდა გადავქნათ; ბოლოს დარჩენილი თვალიც ამ თვალში ამოვატაროთ და გავამატროთ. (სურ. № 7).

თვლების დამატება შეიძლება სხვაგვარადაც: სასურველი ლეტალების მოქსოვის შემდეგ ბოლო ერთი რიგი უკულმა უნდა გამოვიქსოვოთ, შემდეგ 4 ან 6 რიგი — წაღმა, ნაქსოვი უკულმა რიგზე გადავიკეცოთ და ნემსით და შესაფერისი ძაფით ამოვუხვიოთ.


ლილი ზურაბაშვილი



სურ. № 4



სურ. № 5



სურ. № 6



სურ. № 7

სახელმწიფო სამონადირეო ინსპექციამ თახვების სამფლობელო მიკრონაკრძალად გამოაცხადა და ამ ბანკგლიან მშენებლებს იქაურობა საუკუნოდ დაუმკვიდრა.

ხელ აცლის შხამს. გამომშრალი, დაკრის-ტალებული ფხვნილი რესპუბლიკის ფარმაცევტულ საწარმოში და შრატების ქარხანაში იგზავნება.


25-დან 50-მდე კლიენტს უფორმებს ნასყიდობის საბუთს.

გველების შერმა

გასულ შემოდგომაზე ბერლინის გარეუბან ვაისენზეუში (გღრ) მდებარე გველების მომშენებელ ფერმაში ათი მილიონი გველისაგან მიიღეს სამკურნალო შხამი, რომლისგანაც რევმატიზმის საწინააღმდეგო მალამო მზადდება. ერთი გრაში შხამი (იგი გრამ ოქროზე 12-ჯერ ძვირად ფასობს) საკმარისია ათასი კილოგრამი შალამოს დასამზადებლად. „გველების ფერმერი“ ჰორსტ ჰეტელი, რომელიც ოცდაათი წელია აქ მუშაობს, ყოველ გველს ორ კვირაში ერთ-

იყიდება... ირმის ნახტომი

ამ რამდენიმე ხნის წინათ ლოს-ანჯელოსის გარეუბან ვან-ნისში გაიხსნა საშუამავლო კანტორა, რომლის აბრაზეც წერია: „გაერთიანებული საკომისიო ვაჭრობა პლანეტებით“. მსურველს შეუძლია ამ კანტორის მეოხებით „იყიდოს“ მიწის ნაკვეთი მარსზე, ვენერაზე, იუპიტერზე, მზეზე, ირმის ნახტომის ნებისმიერ კოსმოსურ ობიექტზე. ფასი ძალზე იაფია: ნაკვეთი სულ ოთხი დოლარი ღირს. კანტორის დამაარსებლის რიჩარდ სტარის თქმით, იგი დღეში



სურათი



ავტომობილი

განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ შსს ავტოინსპექციის სააღრიცხვო-საგამოცდო ქვეგანყოფილების სახ. ინსპექტორი პ. კანდილაძე.

გააფრთხილავთ ნიშნები

ამ ნიშნების დანახვისას ავტომობილის მძღოლს ან ველოსიპედისტს უკიდურესი ყურადღება მართებთ, — მათ უნდა შეამცირონ მოძრაობის სიჩქარე, რომ აუცილებლობის შემთხვევაში შეეძლოთ გაჩერდნენ და თავიდან აირიდონ საფრთხე.

საშიშროების ადგილთან მოახლოებისას განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოს ქვეითად მოსიარულე.

ნიშანი „შლაგბაუშიანი რკინიგზის გადასასვლელი“ (1.1) იდგმება რკინიგზის გადასასვლელთან გზების მიახლოების ადგილებში და მძღოლებს და ქვეითად მოსიარულეებს აფრთხილებს საშიში უბნების შესახებ. რკინიგზის გადასასვლელთან მიახლოებისას მძღოლებმა უნდა შეამცირონ სიჩქარე. თუ შლაგბაუმი დაკეტილია, მასთან მიახლოებამდე უნდა გაჩერდნენ (შლაგბაუმი არის გზის განივად დაყენებული ხის ან ლითონის თეთრად შეღებილი წითელწოლებიანი კოჭი).

თუ შლაგბაუმი დაშვებულია და სასიგნალო წითელი ნათურა ანთია, ქვეითად მოსიარულეებს და მძღოლებს ეკრძალებათ რკინიგზის გადასასვლელზე გადასვლა. მოძრაობის დაწყება შეიძლება მატარებლის გავლის და შლაგბაუმის აწევის შემდეგ.

ნიშანი „უშლაგბაუმი რკინიგზის გადასასვლელი“ (1.2)

ამ ნიშანზე გამოსახულია ორთქლმავალი. მასთან მიახლოებისას განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ ავტომობილების მძღოლებსაც და ქვეითად მოსიარულეებსაც. საჭიროა მიყურადება, ხომ არ მოისმის მოახლოებული მატარებლის ხმაური, ყურადღებით გახედვა რკინიგზის ლიანდაგების ქველა მიმართულებით.

რაკი დარწმუნდებით, რომ ახლოს არ ჩანს მატარებელი. შეგიძლიათ გადასასვლელი გადაიაროთ.

მეტი სიფრთხილისთვის და ავტომობილების მძღოლების და ქვეითად მოსიარულეების ადრე გაფრთხილების მიზნით საგზაო ნიშნებს საშიში უბნების შესახებ შლაგბაუმიან და უშლაგბაუმი რკინიგზის გადასასვლელზე ორ-ორსა დგამენ: ერთი გზაზეა დიდგმული რკინიგზიდან მოშორებით, მეორე — რკინიგზის ახლოს.

ნიშანი „ტრამვაის ხაზის გადაკვეთა“ (1.5)

ზოგიერთ დასახლებასა და ქალაქში გზებს ხშირად ჰკვეთავენ მძღოლებისა და ქვეითად მოსიარულეებისათვის რკინიგზაზე არანაკლებ საშიში ტრამვაის ხაზები. ამ სახიფათო უბნის ახლოს იდგმება გამაფრთხილებელი ნიშანი „ტრამვაის ხაზის გადაკვეთა“.

ქვეითად მოსიარულეებმა და ველოსიპედისტებმა მხოლოდ მაშინ შეიძლება გადაკვეთონ ტრამვაის ლიანდაგი, როცა სრულიად დარწმუნდებიან, რომ არსად არ ჩანს მოახლოებული ტრამვი.

ნიშანი „თანაბარენიშნელოვანი გზების გადაკვეთა“ (1.6)

ავტომობილების და ქვეითად მოძრაობის გზაზე ხშირად გვხვდება გზების გადაკვეთა და გზაჯვარედინები. ამ გადაკვეთებზე და გზაჯვარედინებზე ბევრი მანქანა და ქვეითად მოსიარულე გროვდება. ამიტომ გადასვლისას დიდი სიფრთხილეა საჭირო.

იმ გზაჯვარედინებზე, სადაც უშუქნიშნები ანთია, მძღოლები თვითონ შენიშნავენ მათ და შეანელებენ სიჩქარეს. მაგრამ როგორც გაუფრთხილოთ სწრაფად მოძრაობა ტრანს-

პორტის მძღოლები და ველოსიპედისტები გზების გადაკვეთასთან მიახლოებისას უკიდურესი სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ და გზების გადაკვეთიდან გარკვეულ მანძილზე დგამენ გამაფრთხილებელ ნიშნებს.

ნიშანი „სახიფათო მოსახვევი“ (1.12. 1—1.12. 2)

გზებს ხშირად აქვთ მოსახვევები. თუ მათზე დიდი სიჩქარით ვივლით, შეიძლება მოვყვეთ ავარიანი, შესაძლებელია მოცურება და გადაბრუნება.

სახიფათო მოსახვევის შესახებ მძღოლებისა და ველოსიპედისტების გასაფრთხილებლად, მისგან გარკვეულ მანძილზე მოძრაობის მიმართულების საწინააღმდეგოდ დგამენ ნიშანს „სახიფათო მოსახვევი“, რომელზეც მითითებულია მოხვევის მიმართულება.

ქვეითად მოსიარულეებისათვის სახიფათო ამ ადგილებში გზის ერთი მხრიდან მეორეზე გადასვლა.

ნიშანი „მკვეთრი აღმართი“ „მკვეთრი დაღმართი“ (1.13—1.14)

გზებზე ხშირად გვხვდება მკვეთრი აღმართები და დაღმართები. მათ შესახებ მძღოლებს და ველოსიპედისტებს აფრთხილებენ ნიშნები „მკვეთრი აღმართი“, „მკვეთრი დაღმართი“. ამ ადგილებში საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილი და დიდი ყურადღებით მოძრაობა.

ნიშანი „მოლიკული გზა“ (1.15)


ხშირად ზამთარში — წვიმიან ამინდში, ქარბუქში, თოვლისა და გზის ცალკეული უბნები ილიბება. ამ სახიფათო ადგილების შესახებ მძღოლებს და ქვეითად მოსიარულეებს საგანგებო ნიშანი აფრთხილებს. მის დანახვაზე მძღოლებმა უნდა შეამცირონ სიჩქარე და ეს უბანი განსაკუთრებული სიფრთხილით გაიარონ. გზის ნაპირზე მიმავალი ქვეითად მოსიარულეები ყურადღებით უნდა იყვნენ. შეიძლება მიმავალი მანქანა მათ მხარეს მოცურდეს.

ნიშანი „ძვის ასხლება“ (1.17)

ნიშანს აყენებენ გზის იმ უბანზე, სადაც სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს და მოსალოდნელია ავტომობილების ბორბლებიდან ხრეში (ლორღი, ქვები) ასხლტეს და გზაზე მიმავალ მგზავრს მოხვდეს.

ნიშანი „ორმხრივი მოძრაობა“ (1.19)

იდგმება გზის ან ქუჩის იმ უბანზე, სადაც შემხვედრი მოძრაობაა და რომელსაც წინ უძღოდა ცალმხრივი მოძრაობის გზის უბანი. ვთქვათ, მიმდინარეობს გზის რემონტი. საგზაო სატკეპნები ტკეპნიან მოძრაობის ერთ-ერთ ზოლს, მაგრამ მოძრაობა სრულიად რომ არ დაიკეტოს. ერთ თავისუფ-



ლად დარჩენილ ზოლზე დროებით ნებას რთვენ ორმხრივ მოძრაობას. ამაზე წინასწარ გვაფრთხილებს ნიშანი „ორმხრივი მოძრაობა“.

მძლოლებმა და ველოსიპედისტებმა გზის ეს საშიში უბანი უნდა გაიარონ განსაკუთრებული სიფრთხილით და დაბალი სიჩქარით.

ნიშანი „ჰვეითად მოსიარულეთა გადასასვლელი“

გზებზე გამოყოფილია ადგილები, სადაც ქვეითად მოსიარულეები გადადიან გზის სავალი ნაწილის ერთი მხრიდან მეორეზე. ამის შესახებ მძლოლების, ველოსიპედისტების, ქვეითად მოსიარულეების გასაფრთხილებლად გადასასვლელიდან გარკვეულ მანძილზე დგამენ გამაფრთხილებელ ნიშანს. თუ მძლოლმა ქვეითად მოსიარულეთა გადასვლის ნიშანი დაინახა, სიჩქარე უნდა შეამციროს.

ნიშანი „ბავშვები“ (1. 21)

ამ ნიშანს დგამენ სკოლასთან, საბავშვო ბაღთან, საბავშვო პარკთან, პიონერთა ბანკთან და სხვა საბავშვო დაწესებულებებთან. იგი აფრთხილებს მძლოლებს და ველოსიპედისტებს, რომ ქუჩის ან გზის სავალ ნაწილზე შესაძლებელია ბავშვების გამოჩენა. მის დანახვისას მძლოლებმა და ველოსიპედისტებმა უნდა გაამახვილონ ყურადღება, გზის ეს მონაკვეთი გაიარონ დაბალი სიჩქარით და განსაკუთრებული სიფრთხილით.

ნიშანი „ველოსიპედის ბილიკთან გადაკვეთა“ (1. 22)

სავალი გზის ველოსიპედის ბილიკთან გადაკვეთისას სიფრთხილე მართებს, როგორც მძლოლებს, ასევე ბილიკზე მიმავალ ველოსიპედისტებს.

ნიშანი „საბზაო სამუშაოები“ (1. 23)

გზებზე გვხვდება ცალკეული უბნები, სადაც მიმდინარეობს გზის ფენილის შეკეთება, სწორედ ამის შესახებ აფრთხილებს მოძრაობის მონაწილეებს აღნიშნული ნიშანი.

ნიშანი „ჰვეთის ცვენა“ (1. 26) ნიშანი იდგმება გზის იმ უბანზე, სადაც მოსალოდნელია ჩამონგრევები, მეწყერი, ქვების ცვენა.

ნიშანი „სხვადასხვა საშიშროებანი“ (1. 30) გვაფრთხილებს იმ ადგილების შესახებ, სადაც შეიძლება იყოს კლდის შვრილები, ფლატეები და სხვა. მასზე გამოსახულია ძახილის ნიშანი. ამ ნიშნის დანახვისას მძლოლებმა უნდა შეამცირონ მოძრაობის სიჩქარე. ქვეითად მოსიარულეები ყურადღებით უნდა იყვნენ.

„პიონერის“ № 1-ში გამოქვეყნებულ ექვსივე საკონტროლო კითხვაზე სწორად უპასუხეს: ხობის რაიონის შუა ქვალონის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე ნანული ალანია და თეორიწყაროს რ-ნის ბორბალოს რვაწლიანი სკოლის V კლასის მოსწავლე ლევან ლევანიშვილი. ხუთ კითხვაზე უპასუხეს: წყალტუბოს ზონის საყულის საშ. სკოლის VI კლასის მოსწავლე დათო ცქიტოშვილი, ქ. ჭიათურის № 7 საშ. სკო-

ლის VII2 კლ. მოსწავლე მზია გამეზარ და შვილიშა და ლანჩხუის რ-ნის სოფ. ჩოჩხათი-შრომისუბნის VII კლ. მოსწავლე ომარ ტიკარაძემ. ორ-ორი კითხვა ვერ გამოიცნეს: ქ. ქობულეთის სოფ. კონდიდის რვაწლიანი სკოლის მოსწავლეებმა მზია და მამია გიორგაძეებმა, ბოლნისის რ-ნის რატევანის საშ. სკოლის VII კლ. მოსწავლე რუსუდანი კოლიაშვილიშა, მესტიის რ-ნის ხაიშის საშ. სკოლის მოსწავლე ზურაბ ნიუჯარაძემ, თბილისელმა VI კლასის მოსწავლე სოსო ფეიქრიშვილიშა, საჩხერის რ-ნის სოფ. კობოლულის საშ. სკოლის VIII კლ. მოსწავლე ჭონდო სადღობელიშვილიშა, ქ. ბათუმის ი. გოგებაშვილის სახ. № 17 საშ. სკოლის VII კლ. მოსწავლე ქეთევან კვაჭაძემ, ზესტაფონის რ-ნის II სერის საშ. უალო სკოლის VI კლ. მოსწავლე ნინო კაკაურიძემ და ხაშურის რ-ნის ბროლის რვაწლიანი სკოლის VII კლ. მოსწავლე მეტეა იმერლიშვილიშა. კონკურსში მონაწილეობის უფლებას ინარჩუნებენ: ყვარლის ქ. მარჯანიშვილის სახ. № 8 საშ. სკოლის VII კლ. მოსწავლე მარიკა სეფაშვილი, ოჩამჩირის რ-ნის ახალი კინდლის საშ. სკოლის VI კლ. მოსწავლე ნანა ჯოჯუა და გარდაბნის რ-ნის სართიქალის VII კლ. მოსწავლე ჭუმბერჯამაგაძე.

„გამაფრთხილებელი ნიშნები“ იხილეთ გარეკანის მე-4 გვერდზე.

საკითხვანი

| | |
|---|----------|
| 5. ხარაზიშვილი — ჩვენი მეგობარი ოქტომბრელები (ნარკვევა) | გარეკ. 2 |
| გუგუშვილი ნ. — ოლიმპიადის დაბადება (წერილი) | 3 |
| ილინი ი. — მზის ჩირადანი (პოემა) | 4 |
| მუმუზრიძე ზ. — დიდი აკაკი (წერილი) | 6 |
| წარბაქაძე ა. — ანდერძი (ლექსი) | 8 |
| ჰინინაძე ბ. — წიკო-წიკო, გარმონიკო; ყანა (ლექსები) | 9 |
| კარძეშვილი მ. — ხუთასმეჩვიდმეტე (მოთხრობა) | 10 |
| მგაღბაძე ნ. — „მოკლეშარვლიანთა ბაზრის“ საიდუმლოება (წერილი) | 17 |
| აისი | 19 |
| ბაჭყალიშვილი ზ. — ხელისგულიდან აფრენილი მტრედები (მოთხრობა) | 24 |
| საბაშვილი შ. — ყველა ერთგვარადი ვარსკვლავი გამოდგება მზედ? (წერილი) | 26 |
| მხედრიონი | 26 |
| ახალი წიგნები | 27 |
| ბაბუნიანი მ. — კლდეზე გამოსახულებები — პეტროგლიფები საქართველოში (წერილი) | 28 |
| ჯადოსნური სარკე | 29 |
| ზურაბაშვილი ლ. — ქსოვა (წერილი) | 30 |
| ფრთხილად, ავტომობილი! | 31 |
| ცხრაკლიტული | გარეკ. 3 |
| თამაშობები | გარეკ. 3 |

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა ნანა მისხიძის.



საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია
 სარედაქციო კოლეგია: ნუმბარ აფხაზაშა, ზურაბ გოცვაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, ბაიოზ ვოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ბიორბი ძლიშაძე, რობერტ ღარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამგრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შენირული, ზურაბ წვერიკაშაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. გელეფონები: რედაქტორის 93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-03, 93-53-05 განყოფილებების 93-97-02 93-97-01

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. ლენინის ქ. № 14 «ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14. გადაცემა ასაწყობად 24/IV-80 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/VI-80 წ. ქალაქის ფორმატი 60x90/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. საიდრიცხო-საგ. მომცემლო თაბახი 5,35. შეკვ. № 1209. ტირ. 152.800. უფ 08528.


ფასი 20 კაპიკი



საქრებულო

სარტყულად: 5. ქართველი სპორტსმენი ქალი, 1947 წლის სსრკ ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში; 6. ბრაზილიელი ფეხბურთელი; 9. ქართველი ფეხბურთელი; 10. აზიის კუნძული; 11. ფეხბურთის სამშობლო; 14. თევზის საჭერი კაუჭი; 15. დასავლეთ-გერმანელი ფეხბურთელი; 18. ფიზიკური ვარჯიში; 19. კონტინენტებს შორის მოქცეული წყლის დიდი აუზი; 23. ქართველი სპორტსმენი ქალი, 1944 წ. ჩემპიონი სივრცეზე ხტომაში; 25. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდის — „მონაკოს“ მეთავე; 26. ჩეხოსლოვაკიის საავტომობილო ფირმა; 27. სავარჯიშო იარაღი; 28. პოლანდიელი მოკადრე.

შევეულად: 1. ამერიკული კინოფილმი; 2. რეჟისორი; განთიადი; 3. მოჩვენებითი ზეზუნებრიობით ჩატარებული იღვთი; 4. მოკლენიზიანი



სპორტული ნავი; 7. ბადმინტონის ბურთი; 8. „ჰამბურგერ ნიუს“ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი; 12. ვისიმე თანმხლები სამხედრო ავაცა; 13. სპორტის სახეობა; 16. ძველბერძნული მონათმფლობელური სახელმწიფო; 17. ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. ქართველი

ფეხბურთელი; 21. ბულგარეთის ფეხბურთელთა გუნდი; 22. მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონი ჰიდაობაში, ქვემსუბუქ წონით კატეგორიაში; 24. მოკლე ხმალი.

მ. შურდოვანიძე,
თბილისის 55-ე საშუალო სკოლის მოსწავლე.



კენჭურ

მოთამაშეები ორ ხუთხუთ კაციან გუნდად იყოფიან. ორივე გუნდის პირველ მოთამაშეს თითო ბურთი აქვს. ბურთი მუხლებში ან წვივებს შორის უნდა მოიქციონ და ასე, ხტუნვა-ხტუნვით 15-20 მეტრი გაიარონ. ამასთან, თითოეული ცდილობს რაც შეიძლება, ჩქარა დაფაროს მანძილი ფინიშამდე, და თავის გუნდს დაუბრუნდეს.

ბურთი თუ გაგივარდა, ისევ უნდა აიღო და განაგრძო ხტუნვა. ხტომის დროს ორივე ფეხით ერთდროულად უნდა გადახტე, თორემ ბურთს ვერ დაიმარგებ. ამიტომ ჰქვია ამ თამაშს „კენჭურ“. რომელი გუნდიც უფრო ადრე შეასრულებს დავა-

ლებას, გამარჯვებაც მას დარჩება.

არქონული

მოთამაშეები ორ კაციან გუნდში იყოფიან. მოთამაშეები წვივლებად დგებიან. პირველ წვივს აძლევენ ბურთს, რომელსაც ისინი თავებით იჭერენ. ასეთნაირად უნდა გაიარონ 10 მეტრი და დაბრუნდნენ თავის გუნდთან, ისე რომ ბურთი არ დაუვარდეთ. გამარჯვებს ის გუნდი, რომელიც უფრო სწრაფად დაამთავრებს ესტაფეტას.

მოთამაშეები ერთმანეთის ზურგს უკან დგებიან. გუნდის კაპიტნებს აძლევენ ბურთებს. თამაშის წამყვანის ნიშანზე, კაპიტნები მათ ზურგს უკან მდგომ მეორე მოთამაშეებს თავსზე მოთავსებენ ბურთს, მეორენი — მესამეს და ა. შ., ვიდრე ბურთი გუნდის ბოლო მოთამაშემდე მიადევნებს. ბოლო მოთამაშე კი ბურთს რომ მიიღებს, გაიქცევა და გუნდის წინ დგება, ახლა უკვე ის აგზავნის ბურთს უკან, ოღონდ ზუსტად თანაგუნდელების ფეხებს შორის. ბოლო მოთამაშე, რომელმაც ეს ბურთი მიიღო, გარბის, გუნდის წინ დგება და ახლა ისევ თავსზე მოთავსებულ ბურთს, ამ თამაშში მნიშვნელოვანია არა მარტო მოთამაშეების სწრაფი ცვლა, არამედ ისიც, რომ ბურთის გადაწოდების ხერხის მონაცვლეობა არ აგერიოს.


ბავშვები წრეს აკეთებენ. ხელმძღვანელს თამაშში შეაქვს 2 ან 3 ბურთი. ყოველი მოთამაშე ცდილობს, სწრაფად გადასცეს ბურთი სხვას, რადგან ხელმძღვანელის სასტვენმა შეიძლება უცებ შეწყვიტოს გადაცემა და ის, ვისაც ბურთი ხელში შერჩება, წრეში უნდა გამოვიდეს და რაიმე შეასრულოს: იცეკვოს, იმღეროს და სხვა.


კვანძები № 5-ში დაბეჭდილ „ცხრაალიტმულზე“

შარკაღები
იორი, შინდისი.

გამოცანები
თხუნელა, ტყე.

თავსატახნი





გაეაფრთხიეხეაი ნიუნიუი

- | | | | |
|--|---|--|---|
| <p>1.1 — ულაგაუმიანი რკინიგზის გადასასვლელი.</p> <p>1.2 — ულაგაუმიანი რკინიგზის გადასასვლელი</p> <p>1.3.1 — ერთლიანდაკიანი რკინიგზა</p> <p>1.3.2 — მრავალლიანდაკიანი რკინიგზა</p> <p>1.4.1-1.4.6 — რკინიგზის გადასასვლელთან მოახლოება</p> <p>1.5 — ტრამვის ხაზის გადაკვეთა</p> <p>1.6 — თანაბარნივზე</p> | <p>ლოვანი გზების გადაკვეთა</p> <p>1.7 — წრიული მოძრაობის გადაკვეთა</p> <p>1.8 — უქნიუნის რკაული რკაა</p> <p>1.9 — გასასხნელი ხიდი</p> <p>1.10 — სანაკროფა გასასვლელი</p> <p>1.11.1-1.11.2 — სანივამო მოსახვევი</p> <p>1.12.1-1.12.2 — სანივამო მოსახვევი</p> <p>1.13 — მკვეთრი დაღამოტი</p> | <p>1.14 — მკვეთრი აღმართი</p> <p>1.15 — მოლიკული გზა</p> <p>1.16 — უსწომასწომო გზა</p> <p>1.17 — ქვის ასხლეა</p> <p>1.18.1-1.18.3 — გზის უკვიწროა</p> <p>1.19 — მომხრივი მოძრაოა</p> <p>1.20 — მკვეთრად მოსიარულია გადასასვლელი</p> <p>1.21 — გავეწვი</p> <p>1.22 — ველონიკედის გილიკთან გადაკვეთა</p> | <p>1.23 — საგამო საგუშაოა</p> <p>1.24 — კირუბუკის გადაკვეა</p> <p>1.25 — გარეული ცხოველები</p> <p>1.26 — ქვის ცვენა</p> <p>1.27 — გვერდითი ქარი</p> <p>1.28 — დალა მურიწაი ტკითმურიწაი</p> <p>1.29 — გვიწაი</p> <p>1.30 — სხვადასხვა საუიწროაანი</p> <p>1.31.1-1.31.3 — მოსახვევის მიმართულია</p> |
|--|---|--|---|